

9 772298 095006

პ

საზოგადოებრივ-ცოტარაბუნადი ჟურნალი

გაზეთის
საბუნადო

რილი

1134
2014

კოვანოსი
ილიადა

ლუკა აქიშიკა
დავინყებული
ადგილები

ჰონ ბანჯილი
ედღვნება ფილიპ
ლარკინს

დალილა გოგია
ბიტნიკები „წმინდა
თავისუფლების“
ძიებაში

ახლი ჰორჰოლი
სახელგანთქმულთა



2014/სოკობანი
9 (229)

ირაკლი საბსოწაქა
ტრუნაილა და ავრილის ჟურნალი

პროზა	1	ირაკლი სამსონაძე ტრულილა და აპრილის ქარები
პოეზია	13	ლუკა აქიმიძე დავინყებული ადგილები
თარგმანი	17	ჰომეროსი ილიადა ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა
	35	ტედ ჰიუზი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა
ესე	42	ჯონ ბენვილი ეძღვნება ფილიპ ლარკინს ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	49	დალილა გოგია ბიტნიკები „ნმინდა თავისუფლების“ ძიებაში
	59	ჰერბერტ შანკი სიმღერა საკუთარ თავზე ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ
ხელოვნება	60	ენდი უორჰოლი სახელგანთქმულობა ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariil"

რედაქტორები

მალხაზ ხარბეღია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბეღია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, თამარ ლუბანიძე,
ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყეღიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@ariimag.ge

ვებგვერდი: ariimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© თურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფუნდანილი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ინაკლი სამსონაძე

ტრულაილა და აპრილის ქარები

ნანვეტი რომანიდან

190



მოსაღამოვებულსაკენ რესტორნის მხარბეჭი-
ანმა, ღიპნამოგდებულმა ადმინისტრატორმა მერ-
აბ კა...ვამ თავისი თეთრი ჟიგული, სახელმწიფო
ნომრით **ГРV 55-55**, იმ კაბინეტთან გააჩერა, სად-
აც ტრულაილა და მისი მეგობრები ისხდნენ.

ოთახიდან მოგუდულად აღწედა ხმა, გოგონას
შეფხვლებს უმღეროდნენ.

მერაბ კა...ვამ საქარე მინის სარკეში მოძებნა
უკანა საბარგულზე მჯდომი ხანდაზმული ქალის
თვალები.

- კარს მე გავაღებ, ქარია, - თქვა ადმინისტრა-
ტორმა.

ქალბატონმა სარკეში გაუსწორა მზერა მერაბ
კა...ვას და რომელიღაც სიმორიდან, რომელიღაც
გამტკბარი გარინდებიდან სასიამოვნო ხმით ნაუშ-
ღერასავით:

- "ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის"...
- ბატონო? - იკითხა ადმინისტრატორმა.
- არაფერი, არაფერი, ჩემთვის, ისე - იყო პასუხი.
- ასაკთან შედარებით ეს ტანმორჩილი ქალი უფ-
რო ახალგაზრდულად, ამავე დროს მოვლოლად გა-
მოიყურებოდა: მხრებამდე ცემული თმა შინდისფ-
რად შეეღება; ოდნავ, სულ ოდნავ გადაეხედა ღია ში-
ნდისფერი პომიდა ტურნეზე, ოდნავ, სულ ოდნავ
დაეჭრძლებინა თვალის ჭრილი ტუშით, შემჭქნარ
ღანვებზეც ოდნავ შეეფრქვია ფერუმარილი; შავი,
თეთრკანტიანი შლაპა ეხურა, შავ კაბას ყელთან და
სახელოვებთან თეთრი, ნაქარგი ქუბა უმშვენივდა,
თეთრი პორტმონე და შავი მარაო შემოეწყო კალ-
თაზე, თეატრისთვის გამზადებული მანდილოსნის

იერი ჰქონდა.

ადმინისტრატორმა საკეტი გამოსწია, შესაშუ-
რი სიჩქარით გადაზიდა მუცელი, რამაც ქარშელ-
ლი მანქანაში მეტი ტორტმანი გამოიწვია, წარმოი-
ზნიქა, წამოდგა და ელვისისურაფესად მოიჯახუ-
ნა კარი; ქალბატონის კარს მიეხალა შემდეგ, გაა-
ლო, სახელურს ჩაეჭიდა, თავისუფალი ხელი შეს-
თავაზა. ქალმა მარაო და პორტმონე ამოიღლიაგა,
მამაკაცის გამონვდილ მარჯვენას დაეყრდნო, მეორე
ხელით შლაპა დაიმავრა თავზე და მანქანიდან
გადაბარგდა.

იქვე იყვნენ, სულ ორ ნაბიჯზე კაბინეტიდან.
როდესაც ოთახში შეღწეეს, სუფრის წვერები ჯერ
კიდევ მღეროდნენ. შექეფიანებული, ღვინისგან ნა-
მონთებული მათი სახეები ნაკლებად თუ აფიქრე-
ბინებდა ვინმეს, ამ თავყრილობის მიზეზი ქელები
რომ იყო.

- ოო, ლამარიე! ლამარიე, შე ძველო! - ნამოი-
შალენე მამაკაცები, ქალი გადაკოცნეს, მხატვარი
გერა ნი...ძე ხელზე ემთხვია მას, ხლო წარბამ, იმ
წარბამ, რომელიც ასეთი გაცეცხლებით შეხვდა
ლამარიეს მოპატიჟებას, თავაზიანად ჩამოართვა
ქალს თეთრკანტიანი შლაპა და მხატვარი გერა
ნი...ძის ბერეტის გვერდით მოათავსა, საკიდზე;
ასეა, ღვინოს თუ მიეძალე, იმასაც უნდა შეეგუო,
რომ თავის ჭკუაზე გატარებს. ისმოდა შეძახილე-
ბი: "დედა, დედა, რაფერ განიწკვებულა", "შეხედე,
გათხოვებას აპირებს მგონი", - და ასე შემდეგ და
მესთანანი, ლამარიე კი ხან ერთს ახვდავდა, ხან -
მეორეს და გრძობააშლილი ხმით იმეორებდა: -



ბიჭებო, ბიჭებო...

ბოლოს და ბოლოს დალაგდნენ, სუფრას შემოუსხდნენ, ლამარიე ტრულაილას პირისპირ, მაგიდის მეორე თავში დაბრძანდა, პორტმონე შეხსნა, ჯიბის სარკე ამოიღო, ლოყები შეისრუტა, შესაბამისად, ტუჩებიც ნაშობურუნა და ასე შეითვალაღერა პირსახე.

ადმინისტრატორი ტრულაილას მიუახლოვდა, კრძალვით შეეხო მხარზე, მიმართა:

- ბატონო დიმიტრი, გადავად შე, საქმეს მივხედავ.
- ჩამოჯექი, გადასარევი ღვინოა, - შეიპატიჟა ტრულაილამ.

- რიონის პირას ახალი რესტორნის გახსნას ვაპირებთ, კაცი მყავს დაბარბუთი, დავილაპარაკებ იმასთან და მერე... - თქვა ადმინისტრატორმა და კარისკენ გაემართა.

- დიდი მადლობა გარჯისათვის, შემოგვხედე, საქმეს რომ მოიღვე, - დაადევნა ტრულაილამ.

მერაბ კა...ვა ოთახიდან გასვლას აპირებდა, ლამარიეს ხმა რომ გაისმა:

- "ალუბლები ისევ ჰქვრიან - სევიდიანნი სიონი, და სახელად რიონს ჰქვიან ისევ იგი რიონი".

- ბატონო? - ქალისკენ იბრუნა პირი მერაბ კა...ვამ.

ლამარიე ვარცხნილობას ათვალაღერებდა ახლა, მაგრამ, რატომღაც, მინც ისრუტავდა ლოყებს. ადმინისტრატორის მზერა იგრძნო, თვალი არიდა საჩივრს.

- მე მითხარით რამე? - ჰკითხა მერაბ კა...ვას.
- არაფერი, არაფერი, კარგად გნახეთ, გაამოთ, - დაიბარა ადმინისტრატორმა და ოთახიდან გავიდა.

ქალმა მხრები აიჩეჩა, სარკეს მიუბრუნდა, იკითხა თანაც:

- რას ვზეიმობთ?
- ზეიმის რა მოვახსენო, - მძიმედ ნამოიწყო ტრულაილამ, - ქელეხია, უნდა გვიხამადო.

სარკე პორტმონეს დაუბრუნდა, ლამარიე ტრულაილას მიაცქერდა:

- ვისი ქელეხია? - იკითხა მან.
- ჩემი საოხრის, - თქვა როყოოდ ბაგეგახსნილმა ტრულაილამ.

ხელი თითქოსდა თავისდაუნებურად, განკერძოებულად დაიძრა მარაოსკენ, ქალმა რამდენჯერმე შეაქან-შემოაქანა გაშლილი მარაო, ჰაერი მოისულდგმულა, შემდეგ დაკეცა, მაგიდაზე დადო და ისევ იკითხა:

- ჰა?
- ჰო, არ მოგესმა, შენგანა დაგზაკვალანებულნი, ბოლოგზახეც შენ უნდა გაააცილო, - თქვა ტრულაილამ.

ლამარიემ სუფრის ნევრები შეათვალაღერა. უღიმოდნენ.

- მე რომ თეატრში ვაპირებდი წასვლას? - უთხრა ლამარიემ ვიღაცას ამბავან - არცერთს, ოთახის რომელიღაც ნერტილი ამოეჩემებინა, იმას მიმართავდა.

- რომელ თეატრში? - დაინტერესდა მხატვარი გერა ნი...ძე.

- ლადო მესხიშვილის სახელობის, - თქვა ლამარიემ; ისევ იქ იყო, იმ უხილავთან საუბრობდა.

- ამაშას მოგვარი თვალი, პრემიერა, მგონი, - თქვა ვიღაცამ.

- კი, - თქვა ქალმა, - "ალუბლის ბაღი", ჩეხოვის, ბიჭები არ მინახავს-მეთქი რახანია და ნაშოვედი, აქ ქელეხი ყოფილა თურმე.

- აბა, აბა, - თავი გადაიწვია ბიჭოიამ, - შავ დღეში ვართ, - თქვა და გაიღმა.

რალაც ისეთს ელოდნენ ლამარიესგან, რაც ღვინით გაბრუნებულ ატმოსფეროს ორთქმავალივით დაძრავდა, აქცევდა ოხუნჯრობად, სიცილად, მხრებისა და მუცლის თუხთუხად აწყვეტილ ხარხარში; იმ ხარისხის რეაქციას ელოდნენ და უსიტყვოდ თხოულობდნენ კიდევ, რაც უძრაობას ამოძრავებდა და უდარდლობის რამდენიმე საათს ნაიყოლივდა ერთიმეორეზე ჩაბმული ვაგონებივით. ქალმა იგრძნო ეს მოლოდინი; გაბრუნებული მზერა ერთხელაც შეახო მათ გამამძღარ ღმილს და თავი ჩახარა. ცოტა ხანს გაიგრძადა ასე - ეულად თეატრული, მერე ნელა, ძალიან ნელა ამომართა სისხლმონოლილი, მოცრემლილი თვალები; მარცხენა თვალის კუთხე ოდნავ, სულ ოდნავ გადაბნობდა ტუშით და ეს ერთი ბენო შავი ლაქა გუგებში ჩამდგარ სველ სინთოლეს უფრო საჩინოს, ცხადს, საზარელს ხდიდა.

მამაკაცები გახევდნენ, ღიმილი კი არ შეაცივდათ, შეაშრათ სახეზე.

ლამარიემ ამოჩემებული ნერტილი მოძებნა, იმას თუ გაუღიდა, ამათ - არა, მასვე თუ სთხოვა. - არ დამისხამ?

ნარბამ ჩამოუსხა.

ქალმა მოზომილად, აუჩქარებლად მოსვა ღვინო, ერთ ყლუპს მეორე მიაყოლა, შემდეგ ბოლომდე ჩაცალა სასმისი და ფიქრში დაკარგულმა, უცხოვად გაფანტულმა თქვა:

- მე რომ ღვინოს არ ვსვამ...

მეგობრებს ერთმანეთს გადახედეს, ტრულაილა ლამარიეს აკვირდებოდა. ნანობდა ახლა, თავისი რომ ვახტანდ და ეს ქალი მოაყვანიდა ადმინისტრატორს, ანკი, რა რჯიდა, რად აიხირა? თუმცა, ასე ხოლმე, - ზედმეტი მონდომება ხშირად გაკარგვინებს ბუნებრიობას, სილალედ ჩაფიქრებულს იმ სიციტედ გიქცევს, ტვირთად რომ დაგანება მხრებზე. "კოლორიტი, კოლორიტულობა, მგონი, დავიწვალე", - იფიქრა ტრულაილამ და შეღურჯებულ საღამოს გახედა, სადაც ტირიფის შექლიავისფრებული სხეული ნრიალებდა.

ლამარიეს ხმამ გამოაბრუნა აქეთ, სუფრისაკენ:

- კეთილი, ჩემო ბატონო, - თქვა მან, - რადგან ასე ვადამწყვიტეთ, ვიქნები თამადა.

დამშვიდებული მოეჩვენა ლამარიე, მაგრამ ის ლაქა, ტუშის ის ერთი ბენო ნადლაბნი ყურადღებას იქცევდა თავისკენ, გაუთვალისწინებელის, არასასიამოვნოს მოლოდინს აჩენდა.

- ასე, თუ ქალო, შენ თუ არა, სხვა - ვინ? - შესცივნა ბიჭოიამ.



არ გაუხედავს ბიჭოიასკენ, ტრულიაილას მიმა-
რთა:

- როდის მიივალა? - იკითხა ლამარიემ სერო-
ოზული, საქმიანი გამომეტყველებით, დაახლოებ-
ით ის, ექიმები რომ კითხულობენ პაციენტის ამბ-
ავს, ექიმები - პაციენტისას, ანდა, კრიმინალისტე-
ბი - ცხედრისას.

- რა მნიშვნელობა აქვს, - უგერგილოდ უპასუხა
ტრულიაილამ.

- რა იცი, იქნებ არც ისე მკვდარია, - ივარაუდა
ლამარიემ; კაცი ვერ გაიგებდა, ხუმრობდა თუ არა,
ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ მსჯელობდა ხმამა-
ლად - ეს იყო და ეს.

- ეჰ, - ამოთქვა ტრულიაილამ.

- ხომ გითხარი, შავ დღეში ვართ-თქვა, - გაიკ-
რიტა ბიჭოია.

- არ დაიბარდო, - ჩაილაპარაკა ლამარიემ თა-
ვისთვის, განმარტოებულად.

- ანაირად უსამძიმრებენ ახლა? - იკითხა ნარ-
ბამ.

ქალმა ნარბას ამოხედა:

- არა, - თქვა მან, - ფილშია ასეთი, იქაც მომაკ-
დავი კაცის ქელეხია, მაგრამ იქ კაცზეა ლაპარაკი,
აღამიანზე; ამ მოცემულ ვითარებაში სხვა სურათს
ვანწყნებთ, რაც სიმპტომატურიცაა და ბევრზე და
ბევრზე ღალადებს.

- ღალადებსო? დედა, რა სიტყვაა! რაზე ღალა-
დებს, გამაგებით, რაზე? - სახე გაუბარდა ბიჭოი-
ას.

ლამარიეს არც ამჯერად მიუტყვევია მისთვის
ყურადღება, გაიხედა იქით, M სადღაც, ამათ მიღმა
და თქვა. - არ დაიხსნამ?

მხატვარმა გერა ნი...ტიმ შეუვსო ჭიქა.

- სად გასწავლეს ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ლა-
პარაკი, საინტერესოა ძალიან, - თქვა პარტიულმა
ფუნქციონერმა, თონის პური გამოციტქნა, ცერა და
შუა თითებით შესორსლა ნერვიულად.

- კულტსაგანმანათლებლო დავამთავრე დაუს-
წრებლად, თბილისში, - მიმართა ლამარიემ ამოჩე-
მებულ ნერტილს, კიაზო ბა...იას - არა.

- უფურცე, - თქვა პარტიულმა ფუნქციონერ-
მა და მობურთაგებულ პური მაგვიდას, თავისი თე-
ფშის ქვეშ შეაგორა, სიგარეტს გაუკიდა მერე.

- რაზე ღალადებსო, რაიო? - საოხუნჯოდ აღე-
რდილი ბიჭოია ყურადღების მიქცევას ცდილობდა,
მოახერხა ქოქია, ლამარიემ ბიჭოიასკენ იბრუნა პი-
რი, მის გუგეებს კვლავაც დაბრუნებოდა სველი სი-
ნითლად.

- ღალადებს, კი, ღალადებს, - ჩუმად თქვა ლამ-
არიემ, ტრულიაილას გამოხედა, დაძაბული სიმი აუტე-
ოკდა სახეზეც, ხმაშიც: - მოზიარე ვარ მწუხარების,
ცვლილებებისათვის გაეშადაც, ფაში ახლოა! -
თქვა ქალმა, მონყურებულად შესვა ღვინო, ჭიქა
ხმაურით ჩამოაგდა მაგიდაზე და გამჭოლი მზერა
ჩამოურია სუფრის თითოეულ ნევრს.

ტრულიაილას მოეჩვენა, რომ ქარის ანახსლები
შემოიჭრა ოთხბმი, ლამარიეს ჩაუსახლდა გულგვა-
მში და ახლა მისი თვალებიდან ექებდა გამოსა-
ვალს, რათა გამოთავისუფლებულიყო, გამონთებუ-

ლიყო, თავის ნებაზე აბორიალებულიყო, ეძებდა,
მაგრამ ვერ პოულობდა და ამით შურაცხცოფილი
იქ, ლამარიეს თვალებში ატრიალებდა ქარბორბა-
ლას.

"გაგედა?" - იფიქრა ტრულიაილამ, - "კი, კი, აქ-
ვე გაგედა, სახელდახელოდ, ჩემი გამოისობით" -
იფიქრა ესეც და შეეშინდა ლოდისა, რომელიც გულს
დაუშმიძებდა; ლამარიესიც შეეშინდა, რადგან ასე-
თი ლამარიე არ ენახა და იყრც ვერასდროს წარმო-
დგენდა; ეს სხვა ლამარიე იყო - გაუგებარი, შეუც-
ნობელი, უცხო და სახიფათო, - "ჰო, სახიფათო, რო-
გორც ხანძარი ქარში", - იფიქრა ტრულიაილამ.

ის ლამარიე, კი, ის შავთვალეხა კნაჭა ლამა-
რიე - ბაბუა-ბებუიას ანაზარ დაწინდელი ის გოგო,
ვისაც მამა გარდაცვლიდა, დედა კი სოფელე კაცს
გაჰყოლოდა ცოლად და ქმართან გადაბარგებული,
ვერ თუ არ იხედებოდა ქუთაისისკენ, მაგრამ არც
ქალთმულს ახედებდა სოფლისკენ, ის ლამარიე, ის
- სიყვარულსა და სიბოძის დანატრებული ლამარიე
ცისფერთვალეხა შაკიოზე ისეთ ლექსებს წერდა
თავის დღიურში, სადაც ლამის ყველა სტრიქონი
შორისდებულ - "ოი"-თი იწყებოდა და სადაც ლა-
მის ყველა სტრიქონში იყო ნახსენები სიტყვა - "სი-
ყვარული"; ჰოდა, ის მოსულელი თუ გასასულელი-
ებლად გამზადებული ლამარიე, რას გასაკვირია, შა-
კიოისნაირ ბიჭს გაუბახბინა, შემდეგ ზურგი ექცია
მისთვის, მაგრამ ეს არ ეკმარა და ხმაც დაეგდო ქა-
ლქმი - სულელიაო, მომცემიაო, იძლევაო და იქნებ
იყო კიდევ ასეთი, რადგან ნაადრევად შეიცნო მამა-
კაცი, ნაადრევად მიიჩნია, რომ ქალია უკვე, მაგ-
რამ, როგორც ჩანს, ლამარიეს სხეულს ლამარიეს
სულთან სჭირდებოდა თავის მართლება, ამიტომ-
აც თხოულობდა ლამარიე სათავისოდ სულ მცირე
ტყუილს და ამათგან პირველად ბიჭოიამ გაიკვლია
ლამარიემდე გზა, გაერთო ერთხანს, ტრულიაილა
დაარია შედეგე: - მიდი ბოჯო, მიდი, კინოში წეიყ-
ვანი, ხელი გადახედე, რაფერც შეყვარებულემა იც-
ნა, სი, მერე შენია, ჰო, მიყვარხარო, უთხარო, არ
დეიზარო; და რას დაიზარებდა, როგორ დაიზარებ-
და როცა სული უკანკანებდა ქალის სურვილით,
როცა მზად იყო, კაბანამოცქალი ჯობიც ეხმარა,
ამ მოსულელი ლამარიეს კი სიტყვა - "მიყვარხარ"
ჭრიდა თურმე და აკი გაჭრა კიდევ და - ჰე ლამა-
რიე, ჰე, ასეთი მაქნევიე ახლა! ასეთ გინდა? მინდა,
ლამარიე მინდა ახლა ასეთი, ლამარიე! გიყვარვარ?
მიყვარხარ, ლამარიე, მიყვარხარ! კაი, თუ გიყვარე-
არ, მოდი, ასეთი! და - ჰუუ, ჰუუ, ჰუუ, არ კაია ასეთი,
რაფერ მანობა ხურუმი, როცა ასეთი, ლამარიესთან,
ლამარიეს სახლის გადაღმა, იმ მიტოვებული, გა-
მოყურებული სახლის სარდაფში, ლამარიეს გამო-
ყრებული ბაბუა-ბებუიის ცხვირინი, და ჰუუ, ლამა-
რიე, ჰუუ, ჰუუ, ლამარიე, და აჰ! - და ეს ხიფათი,
ლამარიეს იოლად გაცურების შესაძლებლობა და
ისიც, რომ ლამარიე ყველაფერზე მზადაა შენთვის
- ისეთ იქნება, თუ ასეთი, იმნარად, თუ ანაირად,
რამდენიმე კვირის მანძილზე ცეცხლს უნთებდა მის
ვნებას, მაგრამ მერე დაცხრა, მოილია, მოიბაღახა
და მერე სხვა გამოჩნდა, მერე კიდევ სხვა და როცა
მოსაღამოებულზე გადაეყვანა კინოსთან, ჰკითხა

ლამარიემ: - აღარ გიყვარვარ? და ამანაც უპასუხა:
 - არა, ლამარიე, აღარ მიყვარხარ, და ლამარიეც
 მშვიდად, შეგუებულიად, გულგრილადაც კი ამბობს.
 კაი, აბა, თუ აღარ გიყვარვარ, ნაი შენ გზაზე, - გე-
 გონება, მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ნიშნავსო ლამა-
 რიესთვის რაღაც მაგიურსა და ზებუნებრივს, და
 თუ ეს სიტყვა არსებობს, მაშინ შეიძლება, თუ არ
 არსებობს, რას გახდები, "ნაი შენ გზაზე", ღმერთმა
 ხელი მოგიმართოს, თითქოს არც ყოფილაო არა-
 ფერი, მაგრამ იგივე სიტყვა ამათთვის გასაღებია
 მხოლოდ, რათა შეაღწიონ ლამარიემი, და ოჰ, ლა-
 მარიე, ოჰ, ჩემო მოსულელო ლამარიე, მე კი ნავალ,
 მაგრამ კიაზომ რა ქნას და ახლა კიაზოს ასწავლი: -
 "კიაზო, ბიჯო, მომცემია უეჭველი, კინოში წეიყვა-
 ნე, ხელი გადახვიე, რაფერც შეყვარებულებმა იცი-
 ან, ისე, მიყვარხარ-თქვა, უთხარი, არ დეიზარო, და
 არ დაიზარებდა, როგორ დაზიარებდა კიაზო, რო-
 ცა აქვე, მათ უბანში არსებობდა ლამარიე, სხეულ-
 ით ქალი, ასაკით ჯერ კიდევ გოგო, მოწონებთი სუ-
 ლელი, ვინც ვერ, ან ჯიუტად არ სწავლობდა ჭკუას,
 ვინც, შეიძლება ითქვას, სიყვარულში იყო შეყვარე-
 ბული, ანდა, ვისაც თავი დაეჯერებინა, რომ უზუნა-
 ეს იდეას ემსახურებოდა და ამისთვის თავისი სხე-
 ული გაარიგა თავისსავე სულთან, სინამდვილეში
 კი იოლად მისადგომო ძუკნად იქცა; ჰოდა, რანაირ-

ად არ ესარგებლა ამით კიაზოს, მაგრამ ჰარიფობ-
 ით მოუვიდა თუ გულწვილობით, გაუხანგრძლივდა
 ლამარიესთან ურთიერთობა, შეუყვარდა ლამარიე,
 და ის იყო მიზეზი, რაც ასე აღიზიანებდა ახლა, ის,
 ის, ის მოგონება ასორსლინებდა პურს ასე წერვი-
 ლად, მაგრამ შეუძახა ნარბამ კიაზოს: "ცოლად ხომ
 არ გინდა დაისვაო" და მერე ნარბაც ენია თავისას
 და მხოლოდ გერა ნი...ძე დატოვა ლამარიემ გულ-
 ნაკლული, და როცა ნარბამ კითხა გერას, სიყვარუ-
 ლი თუ აუხსენიო, - კიო, - მიუგო გერამ, - აეუხსენი,
 მარა სხვა ყვარებია ახლაო, და - რაიო? - ნარბამ, -
 შე ჩანჩურა, შენო, - თითიც დაიტრიალა საფეთქე-
 ლთან, - შენ, ბიჯო, სრულ ჭკუაზე თუ სხარ, ვერ შე-
 აქანჯარე, ხელი ვერ შემოკარიო?! - და ახლა, ახლა,
 ახლა მიხვდა, ახლა გააცნობიერა, რომ მაშინ, იმ
 შორეულ სიყმანვილეში, სწორედ ამგვარად მოიქცა
 ნარბა, ძალა იხმარა ლამარიასზე და ის, ის იყო მიზე-
 ზი, ასე რომ გაცეცხლდა ლამარიეს ხსენებაზე, რა-
 დგან ცოცხა-მადლისა ყველას გაეგება, განსაკუთ-
 რებით კი ამათ ასაკში, როცა არც ისე შორია დასა-
 სრულამდე და აი, ახლა, ამდენი წლის შემდეგ, სხვა
 ლამარიე დაინახა და არა ის, - ყმანვილკაცობისხუ-
 რუშთავან ერთი ხურუში, ყმანვილკაცობისთავა-
 დასავალთავან ერთი თავგადასავალი, ყმანვილკა-
 ცობამა აკრეფილი გამომცდლებიდან ერთი გამო-



ცდილება, ვინც, თითქოსდა, არც კი იყო ადამიანი, ვისაც ამითი ფინის მოსაკლავად მიიღო ქალის სახე, გასაცემი გაეცა და თანაც, არავის ამაღლიდა თავს, არავის ანუხებდა, ერთ სიტყვას თხოვლობდა მხოლოდ და თუკი ამ სიტყვასაც არ გაიმეტებდა, არც მაშინ დაგამუნათებდა: - აღარ გიყვარვარ? კი, თუ აღარ გიყვარვარ, ნაი შენ გაზაზუო", - ასე იოლად ჩამოგვირდებოდა და მაშინვე რა იოლი და მოსახებრებელია ასეთი ლამარიეს ხიყვარული, რა მარტივად მისაწინეებელია ეს მოსულელი ლამარიე, რომელიც მიივინეებს კიდევ, როცა ქალაქიდან გაქრა ლამარიე, მხოლოდ საოხურჯოდ შემოინახეს მესხიერებაში, როგორც ძველი, ნაცადი ანეკდოტი, ათასში ერთხელ რომ გაგახსენებს თავს და იმასაც არ ჰყვები ბოლომდე, მიანიშნებს რაღაცა უპიზოდს, დეტალს, გაიღებ და იქვე იფიქრებ მორიდ გახსენებამდე, მაგრამ გამოჩნდა ლამარიე, მერე ისევ გამოჩნდა ქალაქში, თეატრთან გადააწყდა, როცა მანქანით ელოდებოდი ვიღაცას, - მოდიოდა, მოიპუნკებოდა, უფანდო შლაპა ეხურა, ეს არა, სხვა, და შესცინა სახეში, - რავა ხარ, ლამარიე, რას შობიო? იმან კი: გამარჯობა, დიმიტრი, როგორ ბრძანდებიო, და - რას დიმიტრი, რას გბრძანდებიო, რა უცხოისავით მელაპარაკებიო, - ეს რომ უთხარი, უგრესულად გაელიმა ლამარიეს, შეცდომის გამოსწორებას დაეჩქარაო თითქოს, სასწრაფოდ მოგმართა ძველებურად - დიტილით, ბიჭების ამბავიც მოიკითხა, - კარგად არიან ბიჭები, შევიყვართ ერთხელ, გავისვენოთ ახალგაზრდობაო, - თქვი, მაგრამ ბიჭების ხსენებაზე გავეფიქრა: "ეს სულელია, რომელ ბიჭებს კითხოვლობს, ნაკლა ეს", - და დააკვირდა ლამარიეს, ვინც თვალაკიაფებით ამბობდა: - კი, კი, კი იქნება, თუ შევხვდებით, ჩემთან შევიყვართ თუნდაც, ხაჭაპურებსაც დავიცხოვთო, - და იქ კი ისევ ის ლამარიე, მოსულელი და უპრობლემო, წუთიერი და იოლად ჩამოსაშორებელი; აკი ჩამოიშორე კიდევ, საათზე დაიხედე, რა დრო გასულაო, - თქვი, გაუდიმე, ჩაჯექი მანქანაში და ქალს, ვინც მამაკაცად გაქცია, ისე გაეცალე, არც მის ოჯახზე გიკითხავს რამე, არც სამსახურზე, მაგრამ ვანა იმიტომ, რომ უგულო ხარ, არა, არა, თვითონ ლამარიეა რაღაც ნაირი - მალე მოსალევი, უპატრონო, გამოლაშქრული სახლის სარდაფში ჩარჩენილი შენთვის, სადაც სიტყვებსაც და ურთიერთობასაც ერთი დანიშნულება ჰქონდა მხოლოდ, ხორცი გარიგებინა სულთან და ამ ვირეშმაკული გარიგების შედეგად მოეკლა ხორცის ნადილი; ლამარიე ხომ ყოველთვის ზედმეტი ტვითი იყო ფიქრისთვის, - ანდა, რატომ შეინუხებდით თავს, როცა თათვად არასოდეს შეუნუხებიათ, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვს, და, აი, ლამარიეც მოგადგა სათხოვარზე - მაშინაც დიმიტრიო, მოგმართა, მაგრამ შეცბა უტებ, თავადვე გამოასწორა, დიტილით, - დაამატა საჩქაროდ, ხელთიანთიდან დიპლომი ამოიღო, - შტატების შეცვრება თეატრში, ქვეყნის ხალხს იცნობ, იქნებ ბიბლიოთეკაში გამიფრსო ადვილი. და ის შენი გაცემა გასოსეს, - რა ვინდოდა, გოგო, თეატრში, მსახიობობდით? - ჰკითხე; თეატრის მუზეუმში მუშაობდა თურმე, როგორც თვითონ ვითხრა, პოეზია

და მემუარული ლიტერატურა ჰყვარებია განსაკუთრებით და ესეც სიახლე იყო შენთვის, მაგრამ არა ხარ უგულო, არა, ამაზე ისიც მტყვევებს, რომ მართლა მოინდობ და როცა ეს საქმე გახაზრებ, კმაყოფილება იგრძენი, ჰოდა, მოვიდა შენთან, მადლობა გადაგიხადა, გალაკტიონის ორტომეული მოკრებოდა, ნასვლისას ისევე მოიკითხა ბიჭები და შენც ძველებურად გავეფიქრა: "რას ბიჭებს კითხოვლობს ეს ნაკლა, მაგრამ დღეს კი, დღეს, სწორედ ამ ბიჭებთან მოიპატოე ლამარიე, რათა უფრო დასამახსოვრებელი გაგეხადა შენი საოხრის ქელები, და იფინე, შენიც გაიტანე და ის ლამარიე, ის, აქ რომ შემოგდა ფეხი და გრნობამორეული ხმით რომ იმეორებდა - ბიჭებო, ბიჭებოო, ძველი, ნაცნობი ლამარიე იყო, და ისიც ძველი და ნაცნობი ლამარიე იყო, დიმიტრისთვის რომ ითვალისწინებდა სარკვეში პირსახეს, მაგრამ მერე ქარბორბალა დაუტრიალდა ამ ქალს თვალეში და სხვა ლამარიე დაინახე და აერიდე მის მზერას.

"ისევ მიყურებს, ისევე? რას აკეთებს? - იფიქრა ფანჯრისკენ პირმიტყეულმა ტრულიალიამ, - "ერთი მაგისიც", - გული მოუვიდა თავის თავზე, გახედა.

ლამარიე ნივთიან მხალს შეეცდებოდა. ვემლორდით მშენებრად, - თქვა ნარბამ, ამით მიანიშნა, ყველაფერი შენი პრაიაო.

"იქნებ არაა გიფი, მიირთმევს კერძს, არის თავისთვის", - იფიქრა ტრულიალიამ.

"რა სადღეოდმელო გვიბრძანე? - მიმართა ქალს.

- ცვლილებების, აუცილებელი ცვლილებების, - თქვა ლამარიემ და ხაჭაპურს მისწვდა.

"უთხრას ვინმემ, ტუში რომ გადაღებინა თვალთან, ანდა, მე რატომ არ ვუუხებები"? - იფიქრა ტრულიალიამ.

- გაუმარჯოს ნარმოთქმულს, - დაზუსტებისა და განვრცობის გარეშე გამოაცხადა ნარბამ, ტრულიალიად დასანახად ამოისუნთქა ღრმად, შემდეგ შესვა.

შესვეს სხევემაც. ოფიციატმა მწვადი შემოამატა სუფრას, თეფშები და საფურელები გამოცვალა, მხატვარმა გერა ნი...ქმე შამფურ დააცრა ლამარიეს თეფშზე, მოკეცილი პურით ჩაუცურა ორი ნაჭერი, ლამარიეც თბილად გაუღიმა ვიღაცას, ამბობდა - არც ერთს, რამდენიმე ლუკმად დაინანერა მწვადი, გასინჯა, მხატვარს გამოხედა, ახლა მას გაუღიმა.

- გემრიელია ძალიან, გამადლობო, - თქვა ლამარიემ, წამით გააუხრდა და ისევ თქვა: - მაგრამ, ხორცს რომ არ ვჭამ...

"გიფი იყო, ანდა, აქ გაგიყდა, მაგრამ მივექარე", - იფიქრა ტრულიალიამ.

- გამრა ყელი! - გამოაცხადა ბიჭოიამ.

- კეთილი, - თქვა ლამარიემ, იდაყვი დააყრდნო მაგიდას, ქტა შემართა.

"არა, არა, მგონი, არაა გიფი", - იფიქრა ტრულიალიამ.

- ბუნებში არაფერი ქრება უკვალოდ, - ნამიერი გარინდების შემდეგ ნამიონყო ქალმა, - შემოდგომაზე ფოთოლი წყდება ხის ტოტს, მინაზე ეშვება ფარფატი, დროთა განმავლობაში ნემომბა-

ლად იქცევა...

- "აუჰ", - იფიქრა ტრულიალიამ.
- ძალიანაც წუ დაუძმძიმებ, თავისი გაჭირვებითა,
- გაიცინა ბიჭოიამ.
- არაა ასე? არ იქცევა ნუმომპალად? - იკითხა
ლამარიემ.

- წინვოვან, მარადმწვანე ხეებზე ვერ იტყვი მა-
გას, - მკერდზე დაიკრა მჯიღი სახეგაბადრულმა
ბიჭოიამ.

- როგორ შეიძლება ხე იყოს მარადმწვანე, რო-
ცა მარადილი არაფერია, ისიც იქცევა ნუმომპალ-
ად. ნუმომპალა, ეს ხომ ხვედრია ერთგვარი, - თქვა
ქალმა, ისევ გაირინდა, შემდეგ იკითხა: - სად გავ-
ჩერდი?

- ნუმომპალაზე გაჩერდი, - შეახსენა წარბამ და
ტრულიალას გამოხედა.

- ჰო, - თქვა ლამარიემ, - ნუმომპალა...
"ოჰ, შენი დედას"... - გულში შეუკურთხა ტრუ-
ლიალიამ ლამარიეს, - "დაგვცინის ეს ქალი, ყველას
დაგვცინის უეჭველი".

- ის ნუმომპალაა სწორედ, - წამოიღო ლამარიემ
აუჩქარებლად, მაგრამ ტრულიალიამ განაყვეტინა:
- ე, გოგო, რა გამიტრაკე საქმე ამ ნუმომპალით,
თქვი ადამიანისად სადღეგვრელო...

- თამადა ვარ, თუ არა ვარ თამადა? - იკითხა
ლამარიემ მშვიდად, განონასწორებულად.

- მართალია ქალბატონი, - ნიშნისმოგებით გა-
მოხედა წარბამ ტრულიალას. ქალს მიუტრიალდა
შემდეგ, - დახხ, ნუმომპალაო, ესე იგი...

- ჰო, ის ნუმომპალაა სწორედ, მინას რომ ანო-
ყიერებს, - თქვა ლამარიემ, წამით გაყურდა, თვა-
ლში აუკიფდა, - ტყემ მოისხა ფოთოლი, - ნაუმ-
ღერასავით ლამარიემ, ნუმომპალით გამდიდრებუ-
ლი ნიდადი ახალ ყლორტს გამოადებინებს ხეს, რო-
მელიც ნუმომპალადვე იქცევა დროთა განმავლო-
ბაში და ასე, სამყაროს დასასრულამდე, - თქვა ქა-
ლმა და ღვინო მოსვა.

- გაუმარჯოს წარმოთქმულს, - ამჯერადაც არ
განურცია სადღეგრძელო წარბას. ბიჭოიამ და კი-
აზომ უსიტყვოდ შესევეს, მაგრამ მხატვარ გერა
ნი...ძესაც წამოუკიფადა თვალები:

- მე რომ მკითხოს კაცმა, შესანიშნავი სადღე-
გრძელოა: "ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალ-
იც წყვილის", გაზაფხულს გაუმარჯოს, - დაასკენა
მხატვარმა და შესევა.

- გაზაფხულის სადღეგრძელო იყო ვითომ? - იკ-
ითხა ბიჭოიამ, - პირველად შევეცნარი ქელესში გა-
ზაფხულის სადღეგრძელოს.

- და ამწარი ქელესს რამდენჯერ შესწრებია?
- მიმართა წარბამ ბიჭოიას.

- ეგეც მართალია, - თქვა ბიჭოიამ, - უფალმა
თამადამ ცოცხლ მონდომებულად რომ განგვიმარტ-
ოს სადღეგრძელო, არ იქნება ურიგო.

- ვეთანხმები ბიჭოიას, - თქვა პარტიულმა ფუ-
ნქციონერმა, - თემას წუ ავცდებით, მაგისტრალურ
ხაზს მიყევით.

- ჰო, - სახე დაისევდიანა ბიჭოიამ, - მარა, ველ-
არ არის მაინცდამაინც მაგისტრალური, - ტრულა-
ილასკენ გადააქნია თავი, - მეიკაკე, მეიკაკე, -

თქვა და გაიცინა.

როცა სიცოლი ჩაცხრა, ლამარიემ თქვა: აკაკი
წერეთლოს "ჩემი თავგადასავალი" გეცოდინებათ
რასაკვირველია, იქ ერთი თამაშია აღწერილი, ტი-
რილობა ჰქვია, ხომ გახსოვთ?

- კი, რაა არ მახსოვს, მარა გამახსენო იქნებ
ერთხელაც, - თქვა ბიჭოიამ.

- ცოცხალი კაცის გამოტყობებით ერთობოდნენ
გლეხები, ფიჩხის კონას გადააფარებდნენ ნაბადას
და ტიროდნენ, მერე იცინოდნენ.

- ეს რო ცოცხალია, ისე მოიტყვეს ჩვენი მტერი, -
ჩაიფხუუნა ბიჭოიამ.

- თანაც, რას გვიბრძანებ, ჩვენ რას გადავფა-
როთ ნაბადი, სტაფილოს? - ჩაილიმა წარბამ.

- სტაფილოს ფერი არ მომწონს, ცინცხლად ყვი-
თელია და ჭყეტელა, მიმჭნარი ბადრიჯანი აჯობე-
ბდა, - გაიცინა ბიჭოიამ.

- ჩვენი ქელესის თემასთან ტირილობიას თამა-
შია ახლოს, სადღეგრძელოს თქმას რა უნდა, - თქვა
ლამარიემ.

- ჰოდა, გვიბრძანე რამე ისეთი, გულს რომ მოე-
ბლაუტოს, - დოქს შეავლო ხელი ბიჭოიამ.

- კეთილი, - თქვა ლამარიემ და ამოჩემებულ წე-
რტილს გაუშტურა თვალში.

"გიჟია, კი", - იფიქრა ტრულიალიამ.
- ნინასწარმეტყველებისა გჯერათ? - მიმართა
ლამარიემ ვილატას, ამათვან - არც ერთს.

"ჰო, გიჟია", - დაბეჯითებით იფიქრა ტრულია-
ლამ.

- მე მჯერა, - თქვა ქალმა, - ნიშნისსაც მჯერა.
იოანეს გამოცხადებაში წერია, "ვიხილე სხვა მინა
და სხვა ცა"-ო, ე. ი. რაზე ღალადებს ნინასწარმეტყ-
ველი?

- ეს სიტყვა შემშლის ჭკუიდან! რაო, რაზე ლა-
ლადებო? - თქვა ბიჭოიამ.

- რაზე და იმაზე, რომ დიდი კატაკლიზმების შე-
მდეგ სამყარო სახეს იცვლის.

- ტრულიალას მისავალებულ მდგომარეობას წუ
დავამთხვევით სამყაროს სახეცვლილებას, ვიყოთ
ერთხანს, ვისუთქოთ ჰაერი, - თქვა წარბამ.

- თანაც, ითქვა უკვე ცვლილებების სადღეგრ-
ძელო, რატომ ითქვა, ის არ ვიცი, მარა, რომ ითქვა -
ცხადია, - განაცხადა პარტიულმა ფუნქციონერმა.

- აჰ, ითქვა? სამუშაოაო... - ჩაილაპარაკა ჩა-
ფიქრებულმა ლამარიემ და ღვინო მოსვა.

"არც გიჟი, არც დაგვცინის, ერეკება თავისთვის,
სულელია", - იფიქრა ტრულიალიამ.

- სხვათა შორის, ძალიან მალე სსკ ელარ იარ-
სებებს, - მიმართა ლამარიემ ამოჩემებულ წერტ-
ილს.

"გიჟია, გიჟი" - იფიქრა ტრულიალიამ.
- ლამარიემ, კარგად ხარ? - ჰკითხა პარტიულმა
ფუნქციონერმა ქალს.

- კი, კარგად ვარ, ცუდად რატომ უნდა ვიყო? -
თქვა ლამარიემ.

- რა ვიცი, - თქვა პარტიულმა ფუნქციონერმა, -
აბა, რა შუაში იყო ახლა სსკ?

- უჰ, რას ვმღეროდით, - ჩაილაპარაკა წარბამ.
- ნოსტრადამუსის ერთ-ერთი კატრენი ღალად-



ებს ამაზე, - თქვა ლამარიემ და ისევ მოსვა ღვინო.

- რაიო, რაიო, რა ლაღადებსო? - ჩაეძია ბიჭოია.
- კატრენი, კატრენი, - თქვა ლამარიემ, - იგავუ-
რი ფორმით წერდა; მე ამოვიცანი და გავშიფრე.

“აქ არ გაგიფებულა, რომ მოვიდა, უკვე იყო გი-
ჟი, იმათ იცანს ანნაირი ლაპარაკი, გიფებმა”, - იფი-
ქრა ტრულიალიამ.

- ჩვენც გავგიშოფრო იქნება, - არ მოეშვა ბი-
ჭოია.

- 73 წლის და შვიდი თვის თავზე არსებობას შე-
წყევტსო; ჩემი გათვლებით, 1991 წლის აგვისტოს
არ უნდა გადაცდეს.

- მოგეჭამა, აბა, ჭირი სსრკ-მ?
- კი, ამ ამაზეც წყალი არ გაუფა, წინასწარმეტყ-
ველება აუცილებლად ახდება, - თქვა ლამარიემ.

- ერთი რამე გამაბრებთ, - თქვა ვარბამ, - რა
ხდება აქ? სსრკ-ს პანაშვილია თუ ტრულიალას სი-
რის ქალები? მაპატიეთ, მარა ვერ ვიტყვიდი ახლა
სხვანაირად...

- ვინ ბრძანდებოდა ეგ შენი ნოსტრადამუსი? -
ჰკითხა ლამარიეს პარტიულმა ფუნქციონერმა.

- მეგონა, იცოდით, - თქვა ლამარიემ.
- ვიცო, რაფა არ ვიცო, მარა, ამოვიწარადა თავი-
დან, - გაიკრიჭა ბიჭოია.

- ალქიმოკოსი და წინასწარმეტყველი იყო ასე-
თი, XVI საუკუნეში ცხოვრობდა.

პარტიულმა ფუნქციონერმა ჩაიცინა:
- და იმ სიშირიდან იწინასწარმეტყველა სსრკ-ს
დაშლა? ვინ დაშლისო, ისიც ხომ არ იწინასწარმე-
ტყველა, შემთხვევით?

- არა, ეგ არ წერია კატრენში, მაგრამ მე ჩემე-
ბურად გავშიფრე, - თქვა ლამარიემ.

“აუჰ, რას ურიკინებს”, - იფიქრა ტრულიალიამ.

- რა გაშიფრე? - ჰკითხა ქალს.

- თვითონ ეგენი დაშლიან სისტემას, - კიაზო
ბა...ისაც გადააქვია ლამარიემ თავი, - მერე სხვა
ძალებიც ჩაერევა და ამით აღსრულდება წინასწარ-
მეტყველება. მე ამ დღეს შევესწრები, ვგრძნობ...

- ესე იგი, მე დავშლი სსრკ-ს? - მიაცქერდა პარ-
ტიული ფუნქციონერი ლამარიეს, - რანაირად დაე-
შლი? რატომ დაეშლი?

- რატომ და, ფული რომ იშოვეთ და იდიოლოგი-
ის გამო თქვენს გემოზე ვერ ხარჯავთ, პატარა მი-
ზეზია? - კიაზოს მიმართა ქალმა უშფოთველად,
წყნარად, მიაშიტურად...

“უყურე შენ ამას, შეიძლება გიფიცაა, შეიძლება
სულელიც, მარა...” - იფიქრა ტრულიალიამ.

- ეს ინტრიგანია - ვიღაცა, რა ფული ვიშოვე,
სად მაქვს ფული, - თქვა კიაზო ბა...იამ, ერთხელაც
გამოიცინა პური, შესორსლა, თავის თეფშზე მია-
გდო.

- ფულიც გაქვთ და გამავლობაც, აკრობატები-
ვით დგახართ ერთიმეორეზე; ერთი ესაა, ტანჯუ-
ლა, ეს, - მხატვრისაკენ გადააქვია ლამარიემ თავი.
“შეიძლება მართლა ინტრიგანია, რა იცი”, - იფი-
ქრა ტრულიალიამ.

- რა დალია ამ ქალმა ასეთი? ლამარიემ მეღაპა-
რაკება თუ მოგზავნილია, ვინცაა?! - სახეზე წამო-
ნითლდა პარტიული ფუნქციონერი.

ლამარიეს წამისწამში აევსო თვალები სველი
სინითლით.

“ასე, ერთ წამში როგორ გიფდება და როგორ
წყნარდება”, - იფიქრა ტრულიალიამ.

- ლამარიე ვარ, ლამარიე, ღვინო მომეძალა და
ახლა მეტირება, - თქვა ქალმა, ხელისგულები აიფ-
არა თვალებზე, ერთხანს ასე იყო, ხელები რომ ჩა-
მოსხნა, ორივე ყვრიმალე გასვროდა ტუშით; სამა-
გიეროდ, აღარ ტიროდა, პირიქით, უღიმოდა ვიღა-
ცას, ამთავან - არც ერთს, სხვას, ამათ მიღმა მყოფ-
სა და უხილავს, მას თუ მიმართა, მას თუ სთხოვა: -
ვითამაშოთ, რა, ტირილობია, შევიცხადოთ მიცვა-
ლებული!..

“არაა გიჟი, არც დაგვიცინის, საცოდავია და
მეთვალა” - იფიქრა ტრულიალიამ, გული მოუსანყ-
ლდა ამ ქალზე და უთხრა: ლამარიე, სახე გაგედლა-
ბნა, სააბაზანო აქვებ; ე, იქ მობრძანდი! - მიუთითა
სააბაზანოს კარისაკენ.

- უი, მომიკედეს თავი, - შეფუცხუნდა ლამარიე,
პორტმონე შესხნა, ჩაიხედა სარკეში, - ახლავე, ახ-
ლავე, - თქვა და სააბაზანოსაკენ გაეჩქარა. ოდნევე
ერეოდა ფეხი.

- ეს გინდოდა? - მიმართა ნარბამ ტრულიალას,
როცა სააბაზანოში დაიგულა ქალი.

- რაჯაა - ისაა, - თქვა ტრულიალიამ, - ჩვენ ჩვე-
ნი ვთქვათ, გამარა ყელი; ღმერთო, შენ გვიშველე!
შესვეს ჩუმად, ჩაფიქრებულად.

ადმინისტრატორმა მერაბ კა...ვამ შემორგო თავი,
თავს ტანიც მოაყოლა, უშველებელი იყო, პირ-
მოთნედ სახეგაბადრული:

- ნასასკელი დამირჩა, ბატონო დიმიტრი,
თქვენს უნახავად ვერ წავიდოდი, - თქვა ადმინისტრ-
ატორმა.

- კაი კაცი ხარ, - შეაქო ტრულიალიამ, - დაილო-
ცე და მიბრძანდი.

მერაბ კა... ვამ დაახლოებთ სამი წუთი ილაპა-
რაკა ქალაქზე და აქ დამსწრე რჩეულ საზოგადოე-
ბაზე, სასმისი ბოლომდე დაცალა, ერთხანს გაირი-
ნდა და მოწონების ნიშნად თქვა: - იფ! ახლა ამათი
ჯერი დადგა, ფეხზე წამოუდგნენ შემოსწრებულს,
დაიოცეს, როგორც სამაგალითო ახალგაზრდა კა-
ცი.

პარტიულიმა ფუნქციონერმა კიაზო ბა...იამ პი-
ჯაკის შიდა უშიდან წიგნაკი და ოქროსკალმინი კა-
ლმისტარი ამოიღო, რაღაც ჩანწარა წიგნაკში, ფურ-
ცელი ამოხია და ადმინისტრატორს გაუწოდა:

- ჩემი მძლოლი იქნება ამ ნომერზე, უთხარი, სა-
ათში - საათნავევარში აქ იყოს.

- ახლავე დაერეკე, - მიუღო ადმინისტრატორ-
მა, კარისკენ გაეშურა და ის იყო, სახელურს შეე-
ვლო ხელი, რომ სააბაზანოდან გამოსული ლამარი-
ეს ხმა გაისმა.

- გეთაყვა, გეთაყვა!

- დიახ, - ადმინისტრატორი მთელი სხეულით
შემობრუნდა ქალბატონისკენ.

- რამე გექნებათ ისეთი... თუნდაც, ჯოხი... -
თქვა ქალმა.

- ბატონო? - დაიბნა ადმინისტრატორი.
- ჯოხი, ჯოხი... ერთგვარი...

- რანაირი ჯოხი? - იკითხა ადმინისტრატორმა.
- იყოს მომცრო, ჯანდაბას, მაგრამ სიმპათიური იყოს, - თქვა ლამარიემ.

- სიმპათიური ჯოხი? - ისევ იკითხა ადმინისტრატორმა მერაბ კა...ვამ.

- ჰო, სიმპათიური ჯოხი და ნაჭერი რამე, თუ შეიძლება შავი, ან, იმ ბატონის პიჯაკისფერი, მუქი ლურჯი.

ტრულაილამ თავისდაუნებურად დაიხედა პიჯაკზე, მე დამცინის ეს დედაფეთქებულო, - იფიქრა და ადმინისტრატორს მიმართა შემდეგ:

- კაი, ჩემო მერაბ, აღარ შეგანუხებთ...

- კეთილი, ბატონო, გამამთ, - ადმინისტრატორმა ფრთხილი მზერა გააპარა ქალბატონისკენ, კარი გამოიღო და გავიდა.

ლამარიემ პარტიული ფუნქციონერის ხელში შერჩენილი კალმისტარი შენიშნა, მიუახლოვდა კიაზო ბა...იას, კალმისტარს დააცქერდა:

- ოქროსკალმიანია? - ჰკითხა ლამარიემ კიაზოს.

- კი, ოქროსკალმიანია, - თქვა კიაზომ, ისიც დაბნეული ჩანდა.

- მათხოვე, რა, - თქვა ლამარიემ და კალმისტარი ჩამოართვა. თავისი სკამისკენ გაემართა, თვალს არ ამორებდა კალმისტარს.

- რად გინდა? - მაიღევნა კიაზომ.

- ეს იყოს ის, - თქვა ლამარიემ.

- რა? - ვერ მიხვდა კიაზო.

- რაც უნდა დავიტოროთ, - თქვა ქალმა, - მოეხაზე გონებაში შეცხადების გეგმა, ეს ივარგებს... ზედამოჭრილია ამ საქმისათვის...

- რა საქმისათვის, რა უნდა ამ ქალს? - მიმოიხედა კიაზომ.

- მოტივალე ქალების მოწვევაც შეიძლება, თუ მაინცდამაინც, - თქვა ბიჭოიამ.

- რა საჭიროა, აქ არა ვარ? - თქვა ლამარიემ.

პარტიულმა ფუნქციონერმა სახე გაიმკაცრა და თქვა:

- მაგ კალმისტრით ლენინის ორდენზე წარსადგენი კანდიდატების სიას მოვანერე დღეს ხელი.

- არ ვთქვი, ზედამოჭრილია-მეთქი? - სახე გაუნათდა ლამარიეს, - უყვართ კერძებს ოქრო და მავხოლეულები, - გაახალგაზრდავებული, გახალისებული, სრულად ფხიხელი ჩანდა ახლა; სახეგაცისკროვნებულმა განაცხადა. - იმისთანას შეეცხადებ, შეცხადების უნახავს გაგხდით.

კიაზო ბა...იამ ნიკაბთან ნაჭერილი ჰალსტუხი შეიღვლა:

- გამორიცხულია, - თქვა კიაზომ, - ეს ამბავი არ დაიშლება ქალაქში, მოხსნას არ მაქარებენ, ციმბირს მომატოვებინებენ უკან...

- კაი ახლა, კიაზო, აღარაა ის დრო, გავხალისდეთ! მიდი, ლამარიე, მიდი, მე აქ ვარ, მოყვობი ტირილში, - გაიცინა ბიჭოიამ.

- ჰო, - თქვა ლამარიემ, ერთხელაც დააცქერდა კალმისტარს და ისევ თქვა: - ზუსტად ეს მჭირდება, ესეც ლენინია ერთგვარი...

- ბოდიში მომიტხოვია ამ სიტყვებზე, მარა გამაგებინოთ იქნებ კარგად, რა გამოდის ახლა, ესე

იგი ტრულაილას "მიმჩორებული" სირია ლენინი? - იკითხა წარბაზე.

- კი, - თქვა ლამარიემ, - ერთგვარად, კი...

- აუჰ, - ხელი ხელს შემოჰკრა ბიჭოიამ, - ჩვენ ბადრიჯნის დატირებას ვაპირებდით, ეს გენაცვალე, ხალხთა ბელადი ყოფილა თურმე...

- ბლადი - არა, კერაი, - გაუსწროა ლამარიემ, - მაგრამ რა გადაფუაროთ ამ კერას?

- მე რომ მკითხოს კაცმა, - თქვა მხატვარმა გერა ნი...ქემ, - თანთულის გაუთოებული ცხვირსახოცი ივარგება მაგ საქმისთვის, თავისი ნილი საჭიროსუფლო თანთულსაც ეკუთვნის ამ მწუხარებაში.

ტრულაილას ბაგე გაეხსნა, თამაშის იშტაზე მოვიდა, ლამარიეს მართლსაყენ თურმარა თითი და თქვა:

- შენი მარაო გვდააფერე, თუ მაინცდამაინც...

- კარგი აზრია, - თქვა ლამარიემ, მარაო გაშალა, იდაყვები მაგიდას დააყრდნო, მარჯვენა ხელში გაშლილი მარაო ეჭირა, მარცხენაში - პარტიული ფუნქციონერის კალმისტარი, ხან ერთ გახედავდა, ხან - მეორეს, ილიმებოდა თანაც.

- დაუბოროე გაჭირვებულს, დაუბოროე, იქნება მოხდეს სასწაული, სული მოიბრუნოს, - გაიცინა ბიჭოიამ.

ლამარიემ მარაო შემოუქნია კალმისტარს.

- არ შობა აფერს? - იკითხა ბიჭოიამ.

- უგრძნობია, რაფერც ლენინი მავხოლეუმი, - გაიცინა ლამარიემ.

- საცოდავი ეგ, უბედური, შავ დღეზე გაჩენილი... - აჰყვა სიცილში ბიჭოიაც.

- მომეცი კალმისტარი! - ხელი განივდინა პარტიულმა ფუნქციონერმა ქალისკენ.

- კაი, რა, კიაზო, შეხედე, რა სათუთად ეყრობათ, ეჰ... - სიცილში მიმდგარი ცრემლი ცხვირსახოცით ამოიშმურა ბიჭოიამ.

კიაზო წამოდგა, ბიჭოიას მიმართა:

- შენ მუღბნები მაგას? გათენებული არ იქნება, რომ მთელ ქალაქს გააგებინებ, რაც აქ ხდება; რას მიბრძანებ მერე, როგორ ვარჩინო ცოლ-შვილი?

- ე, ბიჭო, "პერესტროიკაა", - ჩაერთო ტრულაილა, - დაჯექი, თუ ძმავი ხარ!

- ამნაირი "პერესტროიკა" არ იცის პარტიამ, მომეცი კალმისტარი! - მეტი დაბეჭდვითა გაირია ხმაში კიაზომ.

- აღარაა მაგი კალმისტარი და დადე ახლა საჯდომი სკამზე, - უთხრა წარბამ პარტიულ ფუნქციონერს.

- მაშინ, გავალ, რაც გინდათ, ის გიქნიათ უჩემოდ, - თქვა კიაზო ბა...იამ, მაგრამ, არ გასულა ოთახიდან, ჩამოჯდა სკამზე და ფანჯრისკენ გაიხედა.

- რას გვთავაზობ, ლამარიე, რაფერ აპირებ შეცხადებაზე? - მიმართა წარბამ ქალს.

- მაგიდის შუაწელი გამითავისუფლეთ, მერე გაგაცნობ შენს გეგმას, - თქვა ლამარიემ.

თევზები მისნი-მოსნივს, მაგიდის შუაწელი გამოათავისუფლეს. პარტიული ფუნქციონერი არ მონაწილეობდა ამ ფაციფუცში, თუმც მასაც ლამარიესაკენ ეჭირა ცალი თვალი.

ლამარიემ წამოდგა, მაგიდის შუაწელისკენ დაი-



ძრა, გამოთავისუფლებულ ადგილზე დაასვენა კალმისტარი, ხელი გადაუსვა, სანახევროდ შეხსნილი მაროა გადააფარა შემდეგ.

- შეხედე, შეხედე, როგორ ყვარებია, უბედური ევა, საბრალო... - გაიცინა ბიჭოიამ.

- ჩუ, ბიჭოია, აქ კერპი დაემხო, მივაგოთ პატივი, - თქვა ლამარიემ.

- კაცო, - ნამოინყო ნარბამ, - გამაგებოთ, ბოლოს და ბოლოს, სსრკ-ს პანაშვიდია, ლენინს ვგლოვობთ მავზოლეუმში, კერპის დამხობას, თუ...

- ყველაფერს ერთად, ნარბა, დამიჯერე, ყველაფერს ერთად... - გაანყვეტინა ლამარიემ ნარბას, თვალს არ აშორებდა ოქროსკალმიან კალმისტარს, რომელსაც სანახევროდ ფარავდა თავისი შავი მარო: - მე დავინყებდი ასე, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ ლამარიემ, - დაეცა, ველარ დგება, გართხმულა!

- უჰ, ნამეტანი კაია! - მოინონა ბიჭოიამ.

- მერე, მერე, - დაინტერესდა ნარბა.

- ვინ მოთქვამს და გოდებს ამის თაობაზე, ისიც ხომ უნდა აღინიშნოს, - თქვა ლამარიემ, - ასეთ გაგრძელებას გთავაზობთ, - დაეცა, ველარ დგება, გართხმულა, ისმინეთ გოდება ამ კერპის პირველმხევალისა, ლამარიის!

- ჩემი საოხრის ქელეხში რომ მეგულეობოდეხ ამისთანა დამტირებულთ, აქვე ვარ ნამჭრელი... - გამოაცხადა ბიჭოიამ.

- ჩუ, ბიჭოია, ვფიქრობ, - თქვა ლამარიემ, ერთი წრე შემოუარა მაგიდას და ნამოინყო: - მართალია,

დაეცა, გართხმულა და ველარ დგება, მაგრამ ერთ დროს ხომ დაიბადა? ამიტომ, ასე განვავრძოთ: - შესწავლინებას ყოყინით შეხვდენ, თქვეს, - რა კარგია, იგი იშვა, აბა, ყანნები!

- მე რომ მკითხოს კაცმა, - თქვა მხატვარმა გერა ნი...მემ, - თოფის გასროლაც უნდა შევიტანოთ მაგ ტყეში; ტრულაილა რომ დაიბადა, კონია ბიძია აუცილებლად გაისროდა თოფს.

- კეთილი, - თქვა ლამარიემ და მეორე წრეზე დაიდრა, - შენიშვნა მიღებულია, მარტივად გადავწყვეტ ამ პრობლემას, შესწავლინებას ყოყინით შეხვდენ, თოფი დასჭექეს, თქვეს - რა კარგია, იგი იშვა, აბა, ყანნები!

- შეაერთე, აბა, შეაერთე, რაფერ უღერს, - იკითხა ბიჭოიამ.

- მოიცა, ბიჭოია, ნუ ჩქარობ, მოვლენათა რიგი დავანყოთ ჯერ, - თითი შემართა ლამარიემ.

იმ პედაგოგს ჰგავდა, აუჩქარებელ მიმოსვლაში რომ ხსნის გაკვეთილს. მესამე წრეს ურტყამდა მაგიდას, მამაკაცები მონაფეხებივით იხსდნენ, თვალს აყოლებდნენ ქალს.

- თუ მოვლენა გვანტერესებს, - თქვა ნარბამ, - ნათესავი და მოკეთი, ხომ მოიკითხავდა ოჯახს.

- ყოჩაღ, კარგია! - შუაქო ლამარიემ ნარბა და იქვე ნამოინყო: - გარსემოგერტყნენ, განაცხადეს - დავგანახეთ, დავგანახეთ, რათა ვირნმუნოთ, გული ავივსოთ, სიხარულით და აღტაცებით!

- დამზრინა ტანში, - თქვა ბიჭოიამ, - რა პერს-

პექტივა ჰქონდა მაშინ და უნაიროდ, უდროოდ დაეცა ეს გაჭირვებული, საცოდავი ეს...

- ნინადადება შემომამქვს, - დაეცა, ვეღარ დგებდა და გართხმულა, რეფრენად ვაქციოთ შეცხადებში, - თქვა ლამარიემ.

- რაიო, რაიო, რად ვაქციოთ? - იკითხა ბიჭოიამ.

- რეფრენად, რეფრენად, - ჩაილაპარაკა ლამარიემ, მაგრამ არაფერი განუმარტავს ბიჭოიასათვის, მეოთხე წრეს ურტყამდა მაგიდას, დროდადრო გამოხედვდა ხოლმე კალმისტარსა და მარაოს, გეგონება, იქიდან შთაგონებას ექაჩებო, ამჯერადაც მიაცქერდა, შეყოვნდა, თქვა: დაანახეს, - ჰოი, საოცრება! საარაკოა, საარაკო, დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე! - გაქებდნენ მათი ბაგეები ხარბი ჩურჩულთი.

- ხარბი ჩურჩული რა უბედურებაა, - ამოიგდენა პარტიულმა ფუნქციონერმა.

- არსებობს ასეთი ჩურჩული, კიაზო, - თქვა ლამარიემ, - კერპთან მიმართებაში უხდება ხარბი ჩურჩული.

- რატო ჩემი კალმისტარი კერპი, ეს გამაგებია და... - თქვა კიაზომ.

- ჩუ, კიაზო, ჩუ! - თითი შემართა ლამარიემ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კიაზოს ზურგსუკან აღმოჩნდა, ისე ჩამოადო ხელი მხარზე, მასწავლებელმა რომ იციან ბავშვის დასამშვიდებლად, მისი ყურადღების მისაქცევად, - ჩუ, - ჩაილაპარაკა ისევ და მეხუთე წრეზე შემდგარმა თქვა: - კერპს მსხვერპლი სჭირდება; ჩემი აზრით, თვითონ დიტოია ამ კერპის მსხვერპლი, მარა ჩვენ სხვანაირად შევიცხადოთ.

"ეს გიჟია, ძალიან გიჟია", - იფიქრა ტრულილამ.

- არ ვარ, დიტოია, გიჟი, - თქვა ლამარიემ და გამჭოლი მზერა მიაბჯინა ტრულიალას.

"ვაი" - იფიქრა ტრულიალამ, "გულთამხილვე-

ლია"?

- არც გულთამხილავი ვარ, - თქვა ლამარიემ; ნელა, აუწარებლად მიაუხლოვდა ტრულიალას, მასაც ჩამოადო მხარზე ხელი, თქვა - ჩუ, და მსვლელობა განავრძო.

"ღმერთო, შენ მიშველე", - იფიქრა ტრულილამ, თვალს ვერ ამორებდა ქალს, რომელიც წრეებს ურტყამდა მაგიდას და მის მსვლელობაში იგრძნობოდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის სამზადისი.

"ალბათ ასე იწყება ქარი", - იფიქრა ტრულილამ.

- ჰოი და ვაი, წარმავლობავ სოფლისაო, რიგინად არც კი გვახსოვს, იყავ თუ არა; მართლა იყო?

- ვეკითხებით საკუთარ თავს, პასუხი არ გვაქვს, - თქვა ლამარიემ და ისევ თქვა, დაახლოებით ვიცი, ცვაძლოთ, შეეკრიბოთ.

- ის სიტყვა ამიხსენი, თუ ქალი ხარ, რაიო, რეფრენიო? - თქვა ბიჭოიამ.

- ჩუ, ბიჭოია, ჩუ, - მიუგო ლამარიემ, მაგიდის შუაწელთან შეჩერდა, იატაკს ჩააცქერდა, თანდათან ამომართა თვალები, კალმისტარსა და მარაოზე მობოჭა მზერა და ცრემლებგამშრალი ხაფი ხმით დაიწყო:

1. დაეცა, ვეღარ დგებდა, გართხმულა! ისმინეთ გოდება ამ კერპის პირველმხვეალისა, ლამარიესი!
2. შენს მოვლინებას ყოყინით შეხვდნენ, თოფი დასტყექეს, თქვეს - რა კარგია, იგი იშვა, აბა, ყანები!
3. გარს შემოგერტყნენ, განაცხადეს - დაგვანახეთ, დაგვანახეთ, რათა ვირმუნოთ, გული ავივსოთ სიხარულით და აღტაცებით!
4. დაანახეს, - ჰოი, საოცრება!
5. საარაკოა, საარაკო, დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე! - გაქებდნენ მათი ბაგეები ხარბი ჩურჩულთი.
6. ნასუქი ხბო და ნასუქი ვერძი შემოგნირეს, ღვინო გიკმეის!



7. იზრდებოდი; მოინადინე, შეეცნოთ შენი ბრე-ქი, მძლეოთამძლეობა.

8. ჰოი და ვაი, ლამარიე, იგი დაეცა, ველარ დგე-ბა, უსუსურად გართხმულა, ვგოდებ და ვშიშობ, ჰოი, ჰოი!

9. რა ჰქნას ფუტკარმა ნესტრის გარემუ? ტარ-შეტეხილმა ორშიმომ ჰქნას? ქვევრის ყელთან მიუგდით საბრალოლად ხახვამშრალი!

10. ჰოი და ვაი, ლამარიე, იგი დაეცა, ველარ დგება, უსუსურად გართხმულა! პარტმუშაკის ოქ-როსკალმიან კალმისტრად იქცა, მელანი გამრო-ბია!

11. ჰოი და ვაი, ნარმავალოზავ სოფლისაო; რი-გინანდ არც კი გვახსოვს, იყავ თუ არა; მართლა იყოო? - ვეკითხებით საკუთარ თავს, პასუხი არ გვაქვს.

12. დაეცა, ველარ დგება, გართხმულა... - თქვა ლამარიემ და კალმისტარზე მიბჯენილი მზერა სუ-ფრის წვერებისკენ მიმართა.

“დაუტრიალდა ქარბორბლა, დაუტრიალდა, რა ძალა აწევბა თვალბეში ამ ქალს”, - იფიქრა ტრუ-ლიალიამ.

მონუსხულები მისჩერებოდნენ ლამარიეს; ბი-ჭოიამ დააპირა რალაციის თქმა, მაგრამ უეცრად სულ სხვა ხმა ამოიზიდა ლამარიედან - მუქარით სავსე, შებოხებულიც თითქოს, შემლილობის ზღვა-რზე მოსულა: - ჩუუ-მეთქი, ბიჭოია, ჩუუ, თვარა, გიხმარე ახლა აქვე, ამ მაგიდაზე!

ვაისუსნენ.

ტრულიალიამ აშვერდაც აარიდა თვალი ლამა-რიეს მზერას და როცა მისკენ გახედვა გაბედა, თავის სკამზე მჯდომი იხილა. ლამარიე ამოჩემებულ ნერტელს უეცერდა, მას თუ მიმართა, ამათგან - არც ერთს და მის ხმაში აღარ იყო მუქარა, მაგრამ მაინც გნუსხავდა ეს ხმა, იქნებ იმითგონა, რომ სრულ სიტოლმად დაიდრა და დაიწყო ლამარიემ იქ, იმ ნერტელთან და: მოიშორეო, თუ გიყვარვარ, მო-იშორეო და მიყვარდა და კი-მეთქი, ჰო, მარა რაფ-ერ-მეთქი, მასწავლე, და კიო, - მითხრა, გავიკითხე უკვე და კიო, გასწავლიო, ნაცარმწენდილი არ გა-ვიგიაო? რაა-მეთქი ნაცარმწენდილი და ამიხსნა, მაკოცა თანაც და მიდიო, შენ იცი ახლაო და მივა-დექი ბუზარს, გამოეკრიფე ნაცარი, ჩაყვარე ტაშტ-ტაშ, გავცერი ბებიაჩემის წერლი საცერში, რაც გა-მოვარჩიე, მანვინი ქილაში ჩაყვარე, დავასხი წყა-ლი, ავურიე სტოლის კოვზით, ვურიე და ვურიე, დავლიე ის მოჟამული, უგემური ის, სასახე მრჩე-ბოდა, მაზიხედება იმის გემოზე, მარა მაინც დაე-ლიე და დავეტეი ჯორკოზე, ველოდები - რა იქნე-ბა, არ ვფიქრობ არაფერზე, ველოდები და გული მაქვს დამძიმებული - არაფერს ვგრძნობ სხვას, ვე-ლოდები, ვარ ჩემთვის და ბაბუა ახველებს მეზობ-ელ ოთახში, მემახის ბაბუა - ლამარიე! ლამარიე! ჰო, ბაბუ, ჰო, - ვპასუხობ, ვდგები და მივდივარ ბა-ბუსთან, წვეს ბაბუა ტახტზე, წითელ მუთაქაზე უდევს თავი, თვითონაც წამოწითლებულია სახე-ზე, თმა თეთრი აქვს, სახე - წითელი, ხველებისგან, ალბათ, ახველებს ისევ, მანიშნებს - საბანი შემო-მიკეცეო, შემოვუკეცე საბანი, ვაკოცე შუბლზე,

ცელი მომჩვენა იმისი წითელი შუბლი და ვეკი-თხები: - სიცხე გაქვს, ბაბუ-თქვა, ჩაიქნია ხელი, წამოახველა, წამოვედი აქეთ, მომყობა ბაბუას წა-მობხურებული წითელი შუბლი, ტურჩებზე მოწყობა, შევიხოცე ტურჩები ხელით, არა, ვერა, იქა ბაბუას წამოხურებული წითელი შუბლი, ჩემს ტურჩებზეა, რატომ ვაკოცე-თქვა, ვფიქრობ, მარა ძილის წინ ვკოცედი შუბლზე, ასე მიმაჩვია და ვიკოცე და რომ მომყობა? - არ მანებებს თავს, შევიხოცე მაჯ-ით, შენც არ მომიკვდე, ისევ იქაა, ტურჩებზეა, ჯან-დაბას შენი თავი-თქვა და დავეცი და ვიცი უკვე, იმოქმედებს, მარა, ჩემის და რანაირად იმოქმედ-ებს, არ ვიცი, ვნევარ ჩემთვის და ველოდები, მარა მანუხებს ის, რაც ჩემს ტურჩებზეა და წამოვდექი, ჩამოვედი ქვემოთ, პირსაბანთან, ავიღე კბილის ჯა-გრისი, ვიხებავ ტურჩებს, მიხურს უფრო, რომ ვიხეხ-ვა, ვივრილებ წყლით, ისევ ვიხებავ და ვივრილებ და წამოვედი, ავეყვი კიბეს, წამოვწევი და ველო-დები, როის დაიწყება, მზად უნდა დავხვდე - ვიცი და ველოდები და ვარ ჩემთვის, არ ვგრძნობ არაფ-ერს, გული მაქვს ცოტა დამძიმებული და ტურჩები მიხურს ბაბუას წითელი, წამოხურებული შუბლით, სხვა - არაფერი თითქოს, მარა ტურჩები კი მიხურს. და აღვეფრედა მეზობლის ძალით, მურიე ერქვა, ღავრავებს მურიე, უყევს ვილაცას, მურიეს ღავრ-ავს მოვუსმენ და სხვაზე არაფერზე ვიფიქრებ-თქვა, გავივლე გულში, მარა მოზურდა იმასაც, მი-ჩემდა და მურიესთან ერთად ყველაფერი მიჩუმდა იმ ლამეში, ვნევარ ჩემთვის და ველოდები, როის დაიწყება, მარა ტურჩები მიხურს და ისაა, რომ მა-ნუხებს, წამოვდექი საწოლიდან, მივედი ფანჯარა-სთან, გავხედე მთვარეს, თეთრი იყო, საწახეგრად მიჩურთული იმ ლამეში, მოსაწყენი მთვარე იყო რა-ლაცნაირი, ვდგავარ ფანჯარასთან და მეტერება ტურჩები, ბეჩა, სადავად შეიძლება გაიბეროს-თქვა, - ვფიქრობ, არ იმლის თავისას, იბერება და იბერე-ბა, და უცებ გასკდა მარა გარედან კი არ გასკდა, შიგნით ჩამელვარა სხეულში, გულს ჩაყვა ჯერ და მუცელსაც ჩაყვა და გამოდის ჩემგან მდინარესავით, ჰო, ფეხებზეა გამდის წითელი მდინარესავით, ვდგავარ ხიდივით, ასე, ჰო, ხიდივით ვდგავარ და ჩემგან გამოდის წითელი, სველი, მოაქვს ხორცილი თეკრული წითელ-წითელი რაცხა მოაქვს და არ ვიცი რაა ის რაცხა და მინდა, რო დავინახო და ავი-ლო, მარა ვერ ვიხრები, და რატომ ვერ ვიხრები-თქვა, ვფიქრობ, მართლა ხიდი ვარ-თქვა, წითელ მდინარეზე გადებული ხიდი-თქვა - ვფიქრობ, იქ-ით კიდე ის მთვარე საწახეგრად მიჩურთულა იმ ლამეში, მოსაწყენი მთვარეა რალაცნაირი, მარა მთვარეა მაინც, თეთრია ასე თუ ისე და ვუყურებ მთვარეს და აღარ მინდა ქვემოთ დავიხელო, ვიცი ისინდაც, რომ წითელ მდინარეზე გადებული ხიდი ვარ და მთვარეს ვუცქერ და ისიც ვიცი, რომ ნაილო უკვე ის, მდინარემ ნაილო და ვერ დავიხარე და ვერ ავიღე, იმიტომ, რომ ხიდი ვარ და როის იყო, ხიდი იხრებოდა და წყალნაღებულს შევლოდა, ჰოდა, მო-ვიდა ნანულიც, იქამდეც კი უნდა მოსულიყო, მარა, რაც მთავარია, მოვიდა და ვიშვიშებს ნანული - გასულელი, გოგო, ვერ დამელოდე, შე შეჩვენე-



ბულო, და კაი, ნანულიე, - ვეუზნები, კაი, დავნობი ახლა დ მიყვარა საწლოთან და მირბდა და მორბის, არის ერთ ამბავში, ვედროთი უზიდება წყალს, ვნეკარ და ვფიქრობ, - ბებიამ არ გაიგოს, ჩუმად, ნანულიე, ჩუმად, ნანულიე, ბებიამ არ გაიგოს, მარა მახსენდება, რომ არაა ბებია სახლში, თავის ძმასთან ნავიდა ბებია ყველგან, ის რომ ჩამოვა მოთავებული ინება ყველაფერი, მარა ეს დამე უნდა გავატანი როგორმე და აღავლავდა მურიე ისევე და ვატყობ - მამშვიდებს მურიეს ყეფა, იღავლავოს და იყოს, ნანულიეც აქაა და მურიეც, ის დედაკაცი არაა აქ, დაჩევი ნინილები, მე - ვითომ არ ვარ, ქმარს არ უნდა აწყენიოს, გეგონება, ისაა მისი პირველი მამაკაცი, ის, მისი ქმარი, მე არ ვარ საერთოდ - არც კი დავბადებულვარ, მაგრამ, რომ არ დავბადებულვარ, შაკოია - ტრაკია როგორ მეყვარებოდა, ჰოდა, მოიშორე იმ ტრაკმა, მოიშორე, მოიშორე, თუ გიყვარვარ, მოიშორე და მიყვარდა და მოვიშორე და აღარც ამყოლია მერე და ჩემთვის მინდოდა, ჩემთვის, სხვისი შემწუხებელი არ ვიყავი, მარა სიყვარულით მინდოდა ჩასახულიყო და აღარ ჩაისახა, იმიტომ, რომ ხიდი ვიყავი იმ დამემე, გაყვა ნითელ მდინარეს და ვერ დავიხარე და ფეხშიძმეს რომ დავინახავდი, მომწუხებდა გული, მომწუხებოდა, რატომ ვერ დავიხარე-თქვა მაშინ, გამეფიქრებოდა ასეთი სიხადლე, მარა ეს მერე, მერე, რომ გადავრჩი და გამოვატანე ის დამე და კიდე ორი დღე და ორი დამე რომ გამოვატანე, და რომ გამოვიხედე თვალში, მერე დამჩემდა ის, - ფეხშიძმე ქალზე თვალის მიმტერება და იმედიც რაღაც-ნაირი, იქნება ამყვეს-თქვა, იქნებ, მარა არ ამყოლია და ნანულიე მეჩურჩულება, ნანულიე, - უჩივლე, გოგო, უჩივლე. ვის უჩივლო, და უჩივლო-მე-თქი? მარა არ ჩერდება ნანულიე და იმეორებს და იმეორებს, - დამიჯერე შენ მე, უჩივლე, გოგო, უჩივლეო, და - ჩუუ, ნანულიე, ჩუუ, ნანულიე, და აღარ გკუხავს, ის ბოლმა გალაპარაკეს-თქვა და მიდის ნანულიე გაბუტული, მიდის და ნავიდა და მოკვდა სანყალი, გაიგებდათ.

ქალი გაყურდა. ერთხანს ასე იყო, შემდეგ თქვა: - სად დამაბრუნეთ ამ თქვენი ქელებით; ან მე რას მერჩოდით, ან საკუთარ თავს, აღარ მინდა მე თქვენთან, - ნამოდა, - ჩემგან შეცხადებულია შენი საოხრე, დიტობა, თქვენც შეცხადებულია ხართ, ყველა; იმიტომ, რომ ის ხართ, ის! - თითი გაიშვირა ლამარნიმ ოქროსკალიმანი კალმისტრისკენ, შემდეგ მხატვარ გერა ნი...ძეს ჩამოაღო მხარზე ხელი, - ამათზე მტკად შენ მახსოვარ, რომ იცოდე, ჩანჩურა, შენ... - პორტმონე ამოილილია, მაგიდის შუა წელს მიუახლოვდა, მარა აიღოდა კარისკენ გაემართა, გზად თქვა: - აღარ მინდა მე თქვენთან, ნავიდე, - კარი გაიხურა, ნავიდა.

მხატვარი გერა ნი...ძე გამოერკვა პირველად, ნამოდა, ბერეტი დაიხურა, ლამარიეს ქუდს მისწვდა, ოთახიდან გაექარა.

ტრულილამ ფანჯარას გახედა. ჩაქვესკნელიე-ბულ ლამეში ტირიფი აღარ ჩანდა. რაღაც კრთებოდა, მივიზგიზებდა თეთრად, ლამარიეს თეთრი ქუბა და თეთრკანტიანი ქუდი, ალბათ.

- ეს რა იყო, - სული ჩაიბრუნა წარბამ, - დავგესვა ტრაკებად ამ ბოზმა.

- უბედური ქალია, - თქვა პარტიულმა ფუნქციონერმა, - შეგვით ერთი სტაქანი, ცუდად ვარ...

- ის შაკოია დიდი ბინძური კაცი იყო, - თქვა წარბამ, - ფუფლოვმიკი და აფერისტი... ადლერში მოკლეს.

- აიღე შენი კალმისტარი, კიაზო, დამთავრდა ქელები, ისლა დავგრჩენია, ვიქეიფოთ, - თქვა ტრულილამ.

კიაზო ბა...ია კალმისტარს მისწვდა, უბისკენ ნაილო.

- გაფრთხილდი, კიაზო, ნუ მიითბობ მაინცდამაინც, რა იცი, რა ხდება, არ გაისროლოს... - თქვა ბიჭოიამ.

გავლიმით მიძიმე, მაგრამ მაინც გაელინათ. კარი გაიღო, ოფიციატმა ლანგარი შემოიტანა, ლანგარზე ხავერდის შავი ნაჭერი და სალამური იყო შემოდებული.

- მერაბმა დამავალა, აი, მოვართვით, - თქვა ოფიციატმა.

- ეს რაა? - გაუკვირდა ტრულილას.

- ვერ მიხვდი, რაცაა? - მიმართა ტრულილას ბიჭოიამ, - სიმპათიური ჯოხი და გადასაფარებლი; ჩასტვინე, ბიძიკო, ჩასტვინე, ხმა გამაგებე მაგ სალამურის, - ოფიციატს მიუტრიალდა ბიჭოია.

ოფიციატმა უარი ვერ შეკადრა მუშტარს, დაბნეული ღიმილით ყაროდა სალამურს.

ტკილხმოვანიც ყაროდა და არ ვიცოდით, ეჰ... - თქვა ბიჭოიამ და გაიცინა.

დაახლოებით ნახევარ საათში მოადგა რესტორანს შავი 24-ი, სახელმწიფო ნომრით, **FPY 88-88**; დიდხანს ესენიც არ შეყოვნებულან, ლამარიესგან ჩატოვებულმა სიმძიმემ ველარ აქეიფათ, რომ გამოდიოდნენ, წარბამ ერთხელაც იკითხა: - ეს რა იყო?

- ქარი, - უპასუხა ტრულილამ, - ქარი...

- ჰა? - ვერ გაუგო მეგობარს წარბამ.

- ქარი... - გაბიეორა ტრულილამ, - გიფი მარტივ მოტრიალდა ამირლის ქარებში.

- რატომ? - დაიბნა წარბამ.

- ნახესხებია, - თქვა ტრულილამ.

- ააა, - თქვა წარბამ მე თქვე ისევე თქვა: ლამარიე გიფია?

- არა, - თქვა ტრულილამ, - ანდა, არ ვიცი, - თქვა შემდეგ.

ვინ იცის, იქნებ იყო კიდევ გიფი, ანდა, ამათ თვალში ვაგიჟდა, ან იქნებ არ იყო გიფი ლამარიე, - ესეც არ ვიცი იცის, ცხადი ისაა, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში, იმ სისხლიან ცხრა პირილამდე დააკავეს სამართალდამცავმა ორგანოებმა პროკლამაციების გაკვირისთვის, წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს ჯერ, ამის შემდეგ ფსიქიატრიულში უერეს თავი, სადაც 1991 წლის 21 აგვისტომდე, ანუ იმ დღემდე დაჰყო, როცა ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სსრკ, როგორც სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტდა და როცა ეს წინასწარმეტყველებდა ახდა, უცაბედად გარდაიცვალა ლამარიე, გეგონება, ისიც წინასწარმეტყველების ნაწილი იყო.

ლუკა აქიმიძე

დავინწყებული ადგილები

1. სიზმარი

ქარხნებს, სადაც ესენი ცხოვრობენ;
ტაძრებს, სადაც მათ სძინავთ;
ჯვრებს, რომელსაც ზურგით ათრევენ...

შედიან ტაძრებში დასაძინებლად
და ივინყებენ ჯვრებს, რომელსაც ზურგით ათრევენ,
სანამ
არ ახსოვთ თვალის გახელა
ბოლოს
რკინის ტროსებზე დაკიდებულები
მიდიან
ქარხნებში,
სადაც აღარ ახსოვთ თვალის დახუჭვა.

2. სანოლი

სანოლი სიზმრების არქივა –
მეორე სხეული.

მე სხეულს ვიცვლი გაღვიძებისას
და დილის ცივ ჰაერში გადმომაქვს
სიფრიფანა მიშველი ტანი –
ბუნდოვანი გზით მივირწევი წყლისკენ

3. ID

წყალი ლოკავს ორივე ცხოვრებას –
წყალს მიაქვს სიზმრები
წყალს მიაქვს დაღლა.

წყალი ირეკლავს ნამძინარევე,
ახალგამოფხიზლებულ ჩემს პორტრეტს
და მიაქვს 1000 კილომეტრის იქით
ახეთქებს ქვებზე
ანახებს ადგილებს, რომლებსაც ვერასდროს ვნახავ.

ბოლოს
მთელ ჩამორეცხილ ინფორმაციას
უერთებს უმაღლეს წესრიგს –
ოკეანეს,
სადაც გრძელდება ჩვენი კიდევ ერთი ცხოვრება
სადაც ირწევა მილიარდობით განთიადის პორტრეტი

4. ზღურბლი

ყავის ზედაპირზე ლივლივებენ
კორპუსების სახურავები.

საკუთარი ხმაურით ფხიზლდება ქუჩა.

კარის გაჯახუნებისას მახსენდება სხვენი,
რომელშიც დავტოვე სანოლი,
სავსე ნაუკითხავი სიზმრებით და შენი სურნელით,
ცარიელი სკამი



და ოდნავ შეღებული ფანჯარა,
რომლის რაფაზე დგას
ნახევრადდაღებული ყავის ფინჯანი
და ყავის ზედაპირზე
ლივლივებენ
კორპუსების სახურავები

5. მესხიერება

სხვენში ერთადერთი სკამია –
ჩემთვის.
როცა აქ არ ვარ,
ის ივსება
ჩემი ტანის მარტოობით.

ცარიელ სკამზე ზის მარტოობა და
აღარ ახსოვს რას ელოდება.

არც ჩემს სხეულს,
დანიშნულების წერტილიდან
დანიშნულების წერტილამდე მიმავალს
არ ახსოვს საკუთარი თავის არსებობა

6. ცუდი ცეკვა

გონება უამრავი საგნისკენ ირნევა.
ზღვასავით მანყდება ინფორმაცია
კბილის პასტისა თუ საცვლების შესახებ.

დანიშნულების წერტილიდან
დანიშნულების წერტილამდე
ეკარგავ ადგილს
და ქუჩის რიტმთან ერთად –
სულელური ბანერებისკენ თუ სლოგანებისკენ;
უგონოდ მივარდნილი ბოჭვებისკენ თუ
აჩქარებული გამვლელებისკენ;
მალაზიების ვიტრინებში გამოფენილი თუ
ტროტუარებზე დაყრილი საგნებისკენ დაძრულს,
თავდავინწყებულს
მიმაცილებს დიდი მოძრაობა –
სხვა ოთახში,
სადაც ისევ სხვა ცეკვა იწყება

7. ჩემი ქალაქი

წერტილოვანია ჩემი რუკა და
შედგება იმ ადგილებისგან,
რომლებიც მზერით გავცვით,
შევეხე ან დავეუფლე.
სიცარიელეშია ჩამდგარი რუკის დანარჩენი ნაწილი.

რუკაზე კიდევ სახლიდან
ან წერტილებამდე გავლებული ხაზები –
ობობას ქსელივით.

მე ახალი, ურბანული ობობა ვარ.

8. გასიერება

ათასფეხა მატლები და კოჭლი ტაქსისტები
გამოდიან ტყვიის ჰაერში
მილივივებენ
ახალი სიკვდილ-სიზმრების საძებნელად
შემდეგ



სხეულზე ზრდილი ლოგინებისკენ
და ივინყებენ ყველაფერს
იქ ნახულს
მაგრამ არ ახსოვთ
ძილში ვერ გაექცევიან
ტყვიის ჰაერში
მოლივლივე
ქვისფერ კორპუსებს
და გამოდიან სასეირნოდ

9. მუსიკა

ამ ქალაქსაც აქვს თავისი მუსიკა –
უცნობი საგალობელივით
დაკარგულია მისი ავტორი;
მკვდარი საგალობელივით
იმდენად მიეწვივით, რომ აღარც კი გვესმის;
სასაცილო საგალობელივით
ის ველარაფერს შეცვლის ჩვენს შეხედვრებში;
ზეციური საგალობელივით
ისმის არსაიდან და არსაით ქრება

ფანჯრები მთელი დღე ღია მქონდა.
როცა დავეკეტე, მივხვდი, რაღაც დამაკლდა –
მექანიკური აჩრდილების ქროლვა
შუალამის სიშორეში

10. ღმერთი

როცა ქუჩებს ანგრევს ქარი
და წვიმით ივსება რაფაზე დარჩენილი ყაყის ფინჯანი,
უცრად მოგეძალება
გარეთ გასვლის სურვილი –

ქურთოქს ჩაიცვამ და ქალაქში გახვალ
მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ფიქრებს ასე სჭირდებათ.

სახლში რომ დაბრუნდები,
შეცივებას გადაფარავს
უცნაური და უდიდესი გამარჯვების შეგრძნება.
ეს იქნება გამარჯვება იმ რომელიღაც საკუთარ თავზე,
რომელზეც აღრე წარმოდგენა არ გქონდა

(ამას განიცდიდა ქრისტე უდაბნოში შიმშილისას
ამას განიცდიდა ბუდა, როცა ხის ძირში თვლემდა)

11. სანამ

ვზივარ და მთელი სხეულით ვგრძნობ
საკუთარ სხეულს –

ის მიყვება განვლილი დღის შესახებ
სხვა შემთხვევაში
მე არაფერი მახსოვს

12. წარსული

ამ ქუჩაზე ერთი სახლის მაგივრადაც
სიცარიელე რომ გაჩნდეს,
ქალაქი ორივე მხრიდან დაიძვრება
მის შესავსებად

ამ ქუჩაზე სულ პატარა სიცარიელეც რომ გაჩნდეს,
ქალაქს მოუნებს ახალი ლოგიკის პოვნა.



მე ყოველდღე მაინყდება ახალი რაღაც –
მე ყოველდღე ახალი ვდგები

13. მწერები

გაშტერებული ვზივარ სანერ მაგიდასთან.

ჩემს გვერდით, ნიგნებზე,
სახაზავი დეკს,
სახაზავზე –
პატარა მწერი დადის
აუჩქარებლად –
დილის 6-ზე სასეირნოდ გამოსული მოხუცივით

14. დანიშნულების ადგილები

ჩემი სხეენი საბაგირო სადგურია.

აქ უზარმაზარი ბორბალი ატრიალებს ტროსებს
გაჭიმულს ადგილებამდე,
რომლებამდე მისვლა ყოველდღიურად მიხდება.

ბორბალს სწყდება და ემატება თოკები
და სხეენი ემსგავსება ობობას ბუდეს.

იქნებ მეც მწერი ვარ?!

ვიფიქრე ერთხელ,
საათს დაგზედე,
ერთ-ერთ ტროსს დავეკიდე
და გავემართე იქ, სადაც მაგვიანდებოდა

15. ის

მხოლოდ შენ შეგიძლია შეცვალო
ჩემი სადგურიდან გამოსროლილი ტროსების ტრაექტორია.

როცა თავი შენს ყელში მიდექ
და შენს სურნელს ვსუნთქავ –
სახლში ვარ.

ხანდახან ვფიქრობ,
შენი სხეულია ჩემი ნამდვილი სახლი.

ამ დროს მაინყდება სხეენის არსებობა.

მე ყოველთვის რაღაც არ მახსოვს

16. დავინყებული ადგილი

თუკი ოდესმე მოვახერხებ იმ ბურთის პოვნას,
ბავშვობაში რომ უცხო ეზოში გადამივარდა
და დამეზარა თუ შემემიჩნდა
ლობეზე გადასვლა.

რაც დრო გადის

უფროდაუფრო რთულდება ბურთის მოძებნა;
უფროდაუფრო ღრმად იხრნება მინაში ბურთი;
უფროდაუფრო დიდი ბალახი ამოსდის თავზე;
უფროდაუფრო მეტ აგურს ადებენ;
უფროდაუფრო ივსება სიციარიელე.



ჰომეროსი

ილიადა

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ლევან ბერძენიშვილმა



დასაწყისი იხ. „არლი“, N6, N8.

მახუთა სიძლარია

დიომედეს გმირობანი

მაშინ ტიდევსის ძე დიომედეს ათენა პალასმა მისცა სიმტკიცე და გამბედაობა, რომ ყველა არგოსელისგან გამორჩეულიყო და ბრწყინვალე სახელი მოეპოვებინა. დაუოკებელი ცეცხლი დაუნთო მუზარადასა და ფარზე გვიანი ზაფხულის ვარსკვლავის მსგავსად, რომელიც განსაკუთრებით გაცისკროვნებით ბრწყინავს, ოკეანეში განბანილი. ასეთი ცეცხლი დაუნთო თავსა და მხრებზე და შეუშვა ბრძოლის შუაგულში, სადაც ათასები ირეოდნენ.

ტროელთა შორის იყო ვინმე დარესი, მდიდარი და სახელმოხვეჭილი, ჰეფესტოსის ქურუმი, ორი შვილი ჰყავდა, ფეგეუსი და იდაიოსი, ყველანაირი ბრძოლის მცოდნენი. ეს ორი გამოყოფილი თანამებრძოლებს და დაიძრა მის წინააღმდეგ ორცხენიანი ეტლით, დიომედე კი ქვეითად იყო. როდესაც ერთმანეთისკენ მიმავალი ახლოს აღმოჩნდნენ, ფეგეუსმა პირველმა სტყორცნა გრძელრდილიანი მუ-

ზი. ტიდევსის ძეს მარცხენა მხართან ჩაუარა შუბის ბუნიკმა, მაგრამ ვერ მისწვდა, ხოლო შემდეგმა ტიდევსის ძემ აღმართა სპილენძი და მისი ხელიდან ამოოდ არ გამოფრენილა იარაღი, პირდაპირ მკერდში მოხვდა ძუძუსთავეებს შორის და ჩამოაგდო ეტლიდან. იდაიოსი ჩამოხტა, მიატოვა ულამაზესი ეტლი, ვერ გაბედა, დაეცვა მოკლეული ძმა. თავადაც ვერ გაეცეოდა შავ ბედისწერას, მაგრამ ჰეფესტოსმა დამალა, ღამის საფარი გადააფარა და გადაარჩინა, რომ ბერიკაცი მთლად უნუგეშოდ არ დარჩენილიყო. ცხენები კი გამოსხნა დიდგულოვანი ტიდევსის ვაჟმა და მეგობრებს ჩააბარა, რომ გაერეკათ ღრმამუცლიანი ხომალდებისკენ.

როდესაც დიდგულოვანმა ტროელებმა დარესის ორი ვაჟიდან ერთი გამოქცეული და მეორე ეტლიდან მოკლეული დაინახეს, ყველა შიშმა აიტანა, მაგრამ თვალსიხივოსანმა ათენამ ხელი ჩაავლო დაუოკებელ არესს და უთხრა: „არეს, არეს, მოკვდავთმშუსერელო, სისხლისმსმელო, გალავანთა დამაქცეველო! ხომ არ ვაცალოთ ტროელებსა და აქაველებს, იბრძოლონ და მამა ზევსმა, ვისაც სურს, დიდება იმას მოუტანოს, ჩვენ ორმა კი ერთად დავიხიოთ უკან და ზევსის რისხვა ავიცილოთ თაიდან?“

ეს ბრძანა, ბრძოლიდან გაიყვანა დაუოკებელი არესი და შემდეგ დასვა სკამანდროსის მაღალ ნაპირზე. ტროელები მოიგერიეს დანაელებმა; თითო კაცი მოკლა თითოეულმა წინამძღოლმა; პირველმა ხალხთა ბელადმა აგამემნონმა ჰალიძონების მეთაური იდიო ოდიოსი ჩამოაგდო ეტლიდან, როგორც უკი გაქცევა დააპირა, ზურგში ჩასვა შუბი მხრებს შორის და მკერდთან გამოუტარა; ხმაურით დაეცა იგი და აბჯარმა დაეცემისას გაიჟღერიალა.

იდომენევსმა მოკლა ფაისტოსი — მეონიელი ბოროსის ძე, რომელიც ნაყოფიერი ტარნედან იყო ჩამოსული. იდომენევსმა, სახელოვანმა შუბოსანმა, თავისი გრძელი შუბი მას მარჯვენა ბეჭში ჩასცა, როდესაც ეტლზე ადიოდა; ჩამოვარდა ეტლიდან და საზარელმა წყვდიადმა მოიცვა, ხოლო იდომენევსის მსახურებმა მას აბჯარი აწყარეს.

სტროფიოსის ძე, სკამანდრიოსი, ნადირობაში განაფული, ატრევსის ძე მქენელასმა მოკლა ბასრი შუბით; ბრწყინვალე მონადირე იყო, მას თავად არტემისმა ასწავლა ყველანაირი ნადირის დახოცვა, რაც კი მთიან ტყეში ბუდობს; მაგრამ ვერც ისართმტყორცნელმა არტემისმა გადაარჩინა და ვერც უზაადო მშვილდოსნობამ, რომლითაც ადრე გამოირჩეოდა. სახელგანთქმულმა შუბოსანმა მენელაოსმა, ატრევსის ძემ, როდესაც მის წინ მიბოძდა, ბეჭებშუა ჩასცა შუბი და მკერდში გაუტარა. პირჩაღმა დაეცა და მისმა აბჯარმა გაიჟღერიალა.

მერიონესმა მოკლა ფერეკლოსი, დურგალ შარმონიდესის ძე, რომელსაც ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა და იგი განსაკუთრებით უყვარდა ათენა პალასს; სწორედ მან აუგო ალექსანდროს კარგად განონანსორებული ხომალდები, უბედურების სა-

თავე, რომლებმაც დალუპეს ტროელები და თვითონაც შეინირეს, რადგან ღმერთების ჩანაფიქრს ვერ ჩასწვდა. მას დაეუფლა მერიონესი, მისწვდა მარჯვენა დუნდულში დაჭრა, ბუნიკმა ძვალი გაგულიჯა და საშარდებ ბუშტი გაუხეთქა. ღრიალით დაეცა მუხლებზე და სიკვდილი გადაეფარა.

მეგვლესმა მოკლა პედიოსი, ანტიტროსის ვაჟი; თუმცა ბუში იყო, მზრუნველობით გაზარდა ლვთაბერივმა თენაომ საკუთარ შვილებთან ერთად, რომ მუელისთვის ეამებინა. მას ფილევსის სახელგანთქმული შუბისმტყორცნელი ძე მიუახლოვდა და კეფაში ჩასცა ბასრი შუბი, კბილებს შუა გაიარა სპილენძმა და ენა გაგლიჯა; დაეცა მტვერში, ცივი სპილენძი ეჭირა კბილებით.

ვერიპილოსმა, ევამონის ძემ, მოკლა ლვთაბერივი ჰიფსენორი, უმამაცესი დოლოპიონის ძე, რომელიც სკამანდროსის ქურუმი გახდა და, როგორც ღმერთს, ისე სცემდა პატივს ხალხი; ამ კაცს ევრიპილოსი, ევამონის ბრწყინვალე ვაჟი, გაქცეულს დაენია, მხარში ხმლით მისწვდა და მოპკვეთა ძმალავრი ხელი; სისხლმა იფეთქა და მიწაზე დაეცა ხელი, მის პატრონს კი ორივე თვალში ჩაუდგა მენამაული სიკვდილი და დაუზარცხებელი ბედისწერა.

ასე იღწონოდნენ მძიმე ბრძოლაში; ტიდევის ძეს კი ვერ შეატყობდით, რომელ მხარეს იბრძოდა, ტროელებთან ერთად იყო თუ — აქაველებთან. იგი ველზე მიედინებოდა, ზამთარში ადიდებულ მდინარესავით, რომელსაც სწრაფი დინებით მიაქვს ხიდები, რომელსაც ვერც მყარად ნაგები ხიდი დააკავებს და ვერც აყვავებული ბალის ჯვებრი გააჩერებს, როცა უეცრად მოასკდება ზევის თქემით აზვირთებული და ნალექავს ყმავილკაცების საუკეთესო ნამუშევარს. ასე ტიდევის ძე ავიწროებდა ტროელების მჭიდრო რაზმებს და მტრებიც, თუმცა მრავალნი იყვნენ, წინააღმდეგობას ვერ უტევდნენ.

მაგრამ შემდეგ ლიკაონის ბრწყინვალე ვაჟმა შეამჩნია იგი, როდესაც ბრძოლის ველს უტევდა და ავიწროებდა საბრძოლო რაზმებს, იმვანამს ტიდევის ძის საწინააღმდეგოდ მოხიდა მოხრილი მშვილდი და ესროლა, ცდილობდა, აბჯრის მარჯვენა მხარში მოერტყა, გაფრინდა ბასრი ისარი, შეაღწია და სისხლით მოითხვარა აბჯარი. მაშინ ხმაამალა შესძახა ლიკაონის ბრწყინვალე ვაჟმა: „გამხსენვენი, ცხენების მჭენებელი დიდგულოვანო ტროელებო! დაჭრილია აქაველთაგან საუკეთესო და, მგონი, დიდბანს ველარ გადაიტანს ძმალავრი ისარს, თუკი სწორად მომიზნა უფალმა, ზევსის ძემ და ლიკიდან ჩამომიყვანა“.

ასე ამბობდა ტრაბახით: მაგრამ სწრაფმა ისარმა ვერ მოკლა გმირი, მხოლოდ უკან დაიხია, თავისი ცხენებისა და ეტლის წინ დადგა და სთენელოსს უთხრა, კაპანევსის ძეს: „იჩქარე, კაპანევსის ძვირფასო ძეო, ჩამოხტი ეტლიდან, რომ მხრიდან ამომძირო ე ბასრი ისარი“.

ასე უთხრა და სთენელოსი ეტლიდან მიწაზე ჩამოხდა, გვერდით დაუდგა და სწრაფი ისარი მხრიდან სუფთად ამოძირო. სისხლმა იფეთქა ნაქსოვ ქიტონზე. და მაშინ შესძახა საომარი ყიფინის დიდოსტატმა დიომედესმა: „მისმინე, ევიდისმპყრობელი ზევსის უძლეველო ასულო, თუკი ოდესმე კეთილი



ფიქროს გვერდში გვედები მე და მამაჩემს საზარელ ომში, ახლაც შემიწი, ათენა! მომაკვლევი და შობით დამალენინე ის კაცი, რომელმაც დამასწრო, დამჭრა და ახლა ტრაბახობს, რომ მეტად ვეღარ ვიხილავ მზის ბრწყინვალე შუქს".

ასე თქვა ლანდილ და უსმინა მას პალასმა ათენამ, სხულის ნაწილები, ფეხები და ხელები მსუბუქი გაუხადა, გვერდით დაუდგა და ფრთოსანი სიტყვები უთხრა:

„ახლა გამბედავად შევიბ, დიომედეს, ტროელებს, რადგან მკერდში მამისეული უშიძარი ძალა ჩაგიდგი, რაც ჰქონდა ფარისმპყრობელ მხედარ ტიდევსს. ნისლი, რომელიც ადრე გქონდა, თვალმდიდან მოგაძორე, რათა შეძლო, განასხვავო ღმერთი და ადამიანი; თუკი რომელიმე ღმერთი შეეცდება, იქ მოვიდეს, შენ ხელდახელ არც ერთ უკვდავ ღმერთს არ შეებრძოლო, თუ ეს ზევსის ასული აფროდიტე არ იქნება; — თუ ის შემოვიდა ბრძოლაში, მისწვი ბასრი სპილენძით“.

ეს თქვა და წავიდა თვალსხვიოსანი ათენა. ტიდევსის ძე კი ისევ პირველ რიგებს შეერია და თუ მანამდეც სულითა და გულით მონადინებული იყო, ტროელებს შეშობდა, ახლა სამჯერ უფრო მეტი ძალა მიეცა, როგორც იმ ღმერთს, რომელიც მინდორში თავისი უზვამატყლიანი ცხვრების მცველმა მწყემსმა ეზოს გარეთ მსუბუქად დაჭრა, მაგრამ ვერ მოკლა, პირიქით, მასში ახალი ძალა გააღვივა; მწყემსმა თავს უშველა და ბოსელში შეიჭრა, ფარა კი უპატრონოდ მიატოვა, ცხვრები შეჯგუფდნენ და ერთმანეთს მიანყლდნენ, გამძვინვარებული ღმერთი კი ყორეს გადაეყვინა; სწორედ ასე გააფთრებული შეუვარდა ტროელებს მძლავრი დიომედესი.

იქ მოკლა ასტინოოსი და ხალხთა მწყემსი ჰიპეირონი, პირველს ძუძუსთავს ზემოთ ჩასცა სპილენძის შუბი, ხოლო მეორეს დიდი ხმალი ლავინის ძვალთან დაჰკრა და დააცილა ბეჭი კისერსა და ხერხემალს. შემდეგ ენეი მიატოვა და თავს დაეცა აბასსა და მოლიდონსს, სიზმართა ამბსნელი მოხუცი ევრიდამასის ძეებს. ისინი ვერ დაბრუნდნენ ომიდან და მოხუცმა ვერ აუხსნა მათ სიზმარი, რადგან მძლავრმა დიომედემ დახკოა ორივე. შემდეგ მიადგა ქსანთოსსა და თოონს, ფაინოფსის ორ უსაყვარლეს ძეს, დამანუხრა ბერიკაცი, — მეტი შვილი აღარ ჰყავდა, ვისაც ქონებას დაუტოვებდა. ორივეს ძვირფასი სული ამოჰხადა დიომედესმა და აბჯარი აპყრა, მამას კი ქვითინ და მძიმე მსუხარება დაუტოვა, რადგან არ ეღიარა, რომ ცოცხლები და შინ მობრუნებული ენახა, შორეულ ნათესავებს კი ერგოთ მისი ქონება.

შემდეგ დაერანოსის ძის, პრიამოსის ორი ვაჟი შეიპყრო, რომლებიც ერთ ეტლში იყვნენ, — ექემონი და ქრომიონი. როგორც ღმობი, რომელიც თავს ესხმის ხარვეს და კისერს უმტკრვეს ხბოს ან ხარს, რომელიც ტეტერნი ძოვს, ასევე ტიდევსის ძემ ორივე ძალით ჩამოჰყარა ეტლიდან, აბჯარი აპყრა, ხოლო ცხენები მეგობრებს მისცა, რომ ხომალდებთან წაეყვანათ.

დინახა ენასმა, რომ დიომედესი ანდაგურებდა ტროელთა რაზმებს, შევიდა ბრძოლასა და შუბების სიმრავლეში, რათა მოექნებნა ღვთისდარი პა-

ნდაროსი; იპოვა ლიკაონის სახელოვანი და მძლავარი ძე, ნი დაუდგა და ასეთი სიტყვით მიმართა: „პანდაროსი, სად არის შენი მშვილდი, ფრთოსანი ისინები და დიდება?! ვერც ერთი კაცი ვერ შეგეჯიბრება შენ ვერც აქ და ვერც ლიკაიში მოიძებნება ვინმე შენზე უკეთესი; მაგრამ, მოდი, ზევსს აღმუხართ ვეფრები ხელები და ისარი ხსროლავ აქ კაცს, რომელიც ასე მძლავრობს და რომელმაც მრავალი უბედურება მოუტანა ტროელებს მას შემდეგ, რაც უამრავ მძლავრ ვაჟკაცს მუხლები დაუღუნა. ნეტავ რომელიმე ღმერთი ხომ არ არის ტროელებზე განაწყენებული და მსხვერპლშენივრის გამო განრიხებული? მძიმეა ღმერთის რისხვა!“

მას ისევ მიოვდა ლიკაონის სახელოვანმა ვაჟმა: „ენახა, სპილენძისსამოსიანი ტროელების მრჩეველი, იმ კაცს ტიდევსის მამაც ძეს ვამსგავსებ ყველაფრით, — ფართაც ცცნობ, კოპიანი მუხარადითაც და ცხენებითაც, რომლებსაც გხედავ, თუმცა ცხადდა არ ვიცი, რომ ღმერთი არ არის. თუ ეს კაცი, როგორც მე ვამბობ, ტიდევსის მამაცი ძეა, ღმერთის გარეშე არ მძვინვარებს იგი, არამედ ვილაც უდგას ახლოს უკვდავთაგან, რომელსაც ღრუბელი აუფარავდა მხრებზე და რომელმაც სწრაფ ისარს, მე რომ მოვარტყი, გეზი შეუცვალა; მე ხომ უკვე ვეხსროლე ისარი და მოვარტყი მარჯვენა მხარში, პირდაპირ აბჯრის ფურცელში და მე უკვე ვაცხადებდი, რომ იგი აიღონებსას გავავაზენე, მაგრამ ვერ გავავაზენე, — ცხადია, რომელილაც ღმერთია ჩემზე განრიხებული. ცხენები არ მყავს და ეტლი არ მაქვს, თერ მასზე ავიდი, თუმცა ლიკაონის სასახლეში რომელიმე ეტლი მაქვს მშვენიერი, ჯერ უსმარი, სულ ახალთახალი, შალითებით დაფარული; თითოეულთან თეთრი ქერტი და ჭვავი დასაკვები ნყილი ცხენი დგას. მართლაც, მოხუცი შობოსანი ლიკაონი მრავალ რჩევას მამძლავრად, როდესაც ჩემი კეთილნაგები სახლიდან მოვდიოდი. მან მიბრძანა, ცხენებითა და ეტლით ნავძლოლოდი ტროელებს უსანტიკეს ბრძოლეში. მე არ დავუჯერე, არადა, ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა. ცხენები მიინდოდა დამენდო, რომ არ დაჰკლებოდათ საკვები ალყაშემოტყმულ ხალხში, როცა კარგ კვებას იყვნივ დაჩვეული. ისინი დატკრვე და ქვეითად ჩამოვნიდი ილიონში, მივედე ჩემს მშვილდს, მაგრამ იგი მე ვერ დამეხმარა. მანამდე ხომ ორ მეთაურს ვესროლე ისარი, ტიდევსის ძესა და ატრევსის ძეს, ორივე წამდილად დავჭერი, სისხლი ვაძინე და აიით მხოლოდ იმას მივალნიე, რომ კიდევ უფრო განთარხებ. ცუდ დროს ჩამოვხსენი საკიდიდან ჩემი მობრლი მშვილდი, ცუდად გამოთუნდა ის დედი, როდესაც საყვარელ ილიონში ჩამოვედი, როდესაც ტროელებს გამოუძებნი დღვათრბივი ჰექტორის გულის საამებლად. თუკი მელირსა შინ დაბრუნება და საკუთარი თვალთი სამშობლოს, მუელლისა და მალმტყირანი დიდი სასახლის დანახვა, ვინმე უცხლამ მომაჭრას თავი მაშინვე, თუ საკუთარი ხელით არ დავლენე ეს მშვილდი და ისრები და ელვარე ცეცხლი არ ჩაყარო, რადგან ტყუილად მიტარებია“.

მას მიმართა ჰექტორმა, ტროელთა ბელადმა: „ამას ნუ ამბობ, მანამ არ იქნება სხვაგვარად, სანამ ჩვენ ორნი ამ კაცს ცხენებითა და ეტლებით არ და-

ვუპიროსპირდებით და იარაღით არ გამოვცდით. აბა, ამოდ ჩემს ეტლზე, რათა ნახო ტროსის ცხენებმა როგორ იციან ველზე სწრაფად აქეთ-იქით დიდვენება და გაბოქცევა. ისინი ჩვენ ორსაც უსაფრთხოდ დაგვარბუნებენ ქალაქში, თუკი ზევისი ტიტევკის ძე დიომედეს ისევ გამარჯვებას არგუნებს. აბა, აიღე მათრახი და ელვარე სადავებში, მე კი საბრძოლველად ეტლიდან ჩამოვალ; ან შენ გააკეთე ეს და მე ეტლებზე ვიზრუნებ”.

მას კი უპასუხა ლიკაონის სახელოვანმა ვაჟმა: „ენება, თავად გქონდეს შენი სადავებები და გყავდეს შენი ცხენები. უმჯობესია, ნაჩვევ მეეტლეს დაემორჩილონ და გააქანონ მოხრილი ეტლი, როდესაც ტიდევკის ძეს დავედრებებით, რათა არ შემინდნენ, არ შეფერხდნენ და არ ისურვონ, გამოგვიყვანონ ბრძოლიდან, როცა შენს ხმას არ გაიგონებენ; მაშინ თავს დაგვეცემა ტიდევკის დიდგულოვანი ძე, დაგვხოცავს ორივეს და ნაიყვანს მუხლად ცხენებს. ასე რომ, შენ თვითონ მიხვედ ეტლსაც და წყვილ ცხენსაც, მე კი თავდამსხმელს ბასრ შუბს შევაგებებ”.

ეს თქვა და ავიდნენ მშვენიერ ეტლზე და ტიდევკის ძისკენ წარბართეს სწრაფი ცხენები. მათ თვალი მოჰკრა სთენელსაც, კაპანეგის სახელგანთქმულმა ძემ და უმალ ტიდევკის ძეს მიმართა ფრთოსანი სიტყვით: „ტიდევკის ძეო, დიომედეს, ჩემი გულის გამახარებელი, ორ მძლავრ კაცს ვხედავ, შენთან საომრად მოუჭურებან, უზომო ძალის მქონენი; ერთი ამჟილდის დიდოსტატია, პანდაროსი, რომელიც ამაყობს ლიკაონის შვილობით, მეორე თვალსა, სახელოვანი აქისისისა და აფროდიტეს ვაჟი. მამ ახლა ეტლზე ავიდეთ, არ შეიჭრა პირველ რიგებში საბრძოლველად, არ დაილუპო თავი”.

მას ქვემოდან ამოხვდა და უთხრა მძლავრმა დიომედესმა: „გაქცევებუ სიტყვებ არ დამარა, მაინც ვერ დამარწმუნებ! სისხლში არ მაქვს ბრძოლისთვის თავის არიდება ან შიშისგან მოკუნტვა, ჩემი სიმტკიცე ურყევია. არც ვაპირებ ეტლზე ასვლას, ასე პირდაპირ მოვადგები თვითონ, გაქცევის ნებას არ მომცემს ათენა პალასი. მაგათ ორივეს უკან ვეღარ ნაიყვანენ სწრაფი ცხენები, ერთ-ერთი თუ მოახერხებს და გამექცევა; სხვა რამეს გეტყვია და შენ გულომ ჩაიდებ: თუკი რჩევამრავალი ათენა დიდებას მომანიჭებს და ორივეს მომაკვლევინებს, შენი სწრაფი ცხენები აქ გააჩერე, სადავებებით ეტლს გამოაბი; არ დაგვიწყდეს, ენებას ცხენებს დააცხრე და ტროლეებისგან ლამაზსაბარკულიანი აქაველებისკენ გააქანო. ეს ცხენები იმ მოდგმის არიან, რომლებიც შორსმხედველმა ზევსმა ტროსის მისცა მისი ვაჟის, განიმედდეს გამოსასყიდის სახით; ეს ცხენები ეოსისა და ჰელეოსის ქვეშ საუკეთესონი არიან. ამ ცხენების ჯიში მოიპარა ხალხთა მეუფე ანქისესმა, რომელმაც ლაომედონისგან ფარულად შეაჯვარა ისინი თავის ფაშატებს; ამ ჯიშის ექვსი კვიცი დაიბადა მის სასახლეში, ამათგან ოთხი თავად დაიტოვა და ბავაში გამოზარდა, ეს ორი კი ენებას მისცა, თუ ამ ორს ხელში ჩავიგდებთ, დიდ სახელს მოვიპოვებთ. ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, როდესაც უეტრად მოადგნენ მტრები სწრაფი ცხენებით. პირველმა შესძახა ლიკაონის სახელოვანმა ვაჟმა: „გულმაგარო და მამაცო, სახელოვანი ტიდევ-

სის ძეო, თუმცა ვერ დაგაზინა ჩემგან ნასროლმა ბასრმა ისარმა, ახლა ისევ ვცდი, ამჟამად შუბით, თუკი მოვწვდი”. თქვა, უმალ შეარხია და სტყორცუნა გრძელმრდილიანი შუბი და მორატყა ტიდევკის ძეს ფარზე; შეაღწია სპილენძის შუბმა და აბჯარს მისწვდა.

ხმაღალმა შესძახა ლიკაონის სახელოვანმა ძემ: „მოგარტყი ფერდის გავლით და არ მგონია, დიდხანს გაუძლო კიდევ, დიდი სახელი მომიტანე”.

არ შეუშინდა მას და ბრძანა მძლავრმა დიომედესმა: „ააცილე და ვერ მორატყი; მე კი მგონია, რომ ვერც ერთი ვერ დაისვენებთ, სანამ თქვენგან ერთ-ერთი არ დაეცემა და სისხლით არ გაძლეს არესს, ხარისტყავისფარიან შემომარს”. ეს ბრძანა და ისროლა; შუბი წარმართა ათენამ თვალეშუბა ცხვირისკენ, დაღვნა თეთრი კბილები, ენის ძირი მოჰკვეთა მტკიცე სპილენძმა, ბუნიკი კი გამოვიდა ქვედა ნიკაპის გვერდით. ჩამოვარდა ეტლიდან, უმად გაიუბრიალა ელვარე აბჯარმა, შიშისგან დაფრთხნენ ფეხმარდი ცხენები, ხოლო მას სულაც ამოხდა და ძალაც დაეცალა. ენებასი ჩამოხტა ფართად და გრძელი შუბით იმის შიშით, რომ არ ნავთირით გვამი აქველებს. გადაეფარა, როგორც საკუთარ ძალას მიწდობილი ლომი, ნინ შუბი დაიჭირა და ყოველმხრივ თანაბარი ფარი, აპირებდა, ყველა მოექცა და საზარლად უყვიროდა, თუკი ვინმე მიახლოებას გაუბედვდა. ტიდევკის ძემ კი ხელი დაავლო ლოდს, რომელსაც დღეს მცხოვრები ორი კაციც ვერ დაძრავდა, მან კი იოლად აიღო მარტომ და ესროლა ენებას და მორატყა თქიმში იმ ადგილას, სადაც თემო ბარძაყში გადადის, რომელსაც მეწვის ძვალს უწოდებენ, დაღვნა მენჯი და გაუწყვიტა ორივე ძარღვი და წვეტიანმა ლოდმა კანი გაგლიჯა, გმირი მუხლებზე დაეცა, დაეყრდნო მძლავრი ხელით მიწას და ორივე თვალზე შავი ღამე გადაეფარა.

და აქ და ახლა დაილუპებოდა კაცთა მეუფე ენებასი, მისთვის თვალი რომ არ მოექცა ზევსის ასულ აფროდიტეს, დედამისს, რომელმაც ის უშვა ანქისესს, რომელსაც ხარები ჰყავდა საძოვარზე გამოყვანილი. ორივე ხელი შემოაჭლო საყვარელ შვილს, გადაფარა ელვარე პეპლოსის ნაკეცებით, რომ სწაფედდ ჰქონოდა შუბებისა და ისრებისათვის, სწრაფ-ცხენიანი დანაელებიდან ვინმეს რომ მივერდში არ მოურტყა სპილენძი და არ ამოერთვა სული. შემდეგ კი თავისი საყვარელი ბე ბძობის ველს გარაიდა.

კაპანეგის ძეს კი არ დაეიწყა ის ბრძანება, რომელიც მას მისცა საომარი ყიფინის დიდოსტატმა დიომედესმა; მან გააჩერა საკუთარი მუხლადი ცხენები, სადავებით მიამაგრა ეტლის მოაჯირს, ცარიდა აურზაურს, მივარდა ენებას ლამაზფაფრიან ცხენებს და ტროლეებისგან ლამაზსაბარკულიანი აქაველებისკენ გააქანა. ჩააბარა დეიპილოსს, საყვარელ მეგობარს, რომელსაც თანატოლთან ყველაზე მეტ პატივს სცემდა, რადგან სულით მსგავსნი იყვნენ და უბრძანა, ღრმამუცლიანი ხომალდებისკენ გაერეკა, თავად გმირი კი ეტლზე ავიდა, დაიჭირა ელვარე სადავები და ტიდევკის ძისკენ სწრაფად გააქანა მძლავრმოქიანი ცხენები, სულანთებულმა; ის კი კვიპროსელ ქალმერთს

მისდევდა სასტიკი სპილენძით; იცოდა, რომ სუსტი იყო ეს ღმერთი, იმ ქალღმერთთა რიცხვში არ იყო, ვინც გამოცდილია კაცთა ომებმა და ბრძოლებში, როგორც ათინა და ქალაქთა მამოხრებელი ენიო. გაარღვია მჭიდრო ბრბო და მისწვდა მას, აქ დიდებული ვანი ტიდევსის ძემ წინ გაიშვირა შუბი და ბასრი სპილენძით ნაზი ხელის მტევანი დაუჭრა; და შუბმა გაუჭანრა უკვდავს კანი და მტევნის ზემოთ გაფხრინა მისი პეპლოსი, რომელიც ქარისებმა მოქსოვს და უკვდავი სისხლი წამოუვიდა ქალღმერთს — იქორი, რომელიც ნეტარი ღმერთების ძარღვებში მიედგინება; ისინი ხომ პურს არ ჭამენ და არ სვამენ შუბუნა ღვინოს, ამიტომ არ გააჩნიათ ჩვენნაირი სისხლი და იზრდებიან უკვდავებად. ქალღმერთს ყვირილი ამოხდა და შვილი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ის ხელით დაიჭირა სხივისანმა აპოლონმა და შემოავლო შავი ღრუბელი, რომ ვინმეს სწრაფცხენიან დანაულთაგან მკერდში არ მოერყყა შუბი და სული არ ამოერთვა. მას შესძახა საომარი ყიფინის დედოსტებმა დიომედესმა: „გაფრიდე, ზევსის ასულ, ომსა და ბრძოლას! საკმარისი არ არის, სუსტ ქალებს რომ აცდუნებ? ხოლო თუ ბრძოლაში კიდევ გაერყევი, ასე მგონია, თავზარი დაგეცემა, ომზე ლაპარაკს რომ გაივლონებ.“


ასე თქვა, ხოლო ქალღმერთი გაოგნებული წავიდა, იტანჯებოდა საშინლად: ქარისფეხება ირისმა ხელი ჩასჭიდა და გამოიყვანა ბრძოლიდან, ტიკვილით დამძიმებულს გაუშავდა მშვენიერი კანი. იპოვა ბრძოლის მარცხენა ფლანგზე ჩამომჯდარი მძინვარე არესი, ჰაერში ედო შუბი და იქვე ჰყავდა ცხენების სწრაფი წყვილი. მუხლებზე დაცვა საყვარელი ძმის წინაშე და შეევედრა, მიეცა მისთვის ოქროსალვირანი ცხენები: „საყვარელო ძმაო, მისხენი და მომეცი ცხენები, რათა ოლიმპოსზე მივიდე, სადაც უკვდავთა სავანია. საშინლად მტანჯავს ჭრილობა, რომელიც მოკვდავმა კაცმა მომაყენა, ტიდევსის ძემ, რომელიც ახლა თვით მამა ზევსსაც კი შეებრძოლებოდა.“

ასე თქვა და მისცა მას მარცხა ოქროსალვირანი ცხენები. და ისიც ავიდა ეტლზე დამწვრებული გულით, მასთან ერთად ავიდა ირისი და სადავეებს ჩაალო ხელი, გადაჭრა მათრახი ცხენებს და ისინიც მორჩილად გაფრინდნენ. უშალ მიადგნენ ღმერთთა სავანეს, მაღალ ოლიმპოსს, აქ ცხენები გააჩერა ქარისფეხება სწრაფმა ირისმა, ჩახსნა ეტლიდან და უკვდავი საკვები დაუყარა, მუხლებში ჩაუვარდა დიონეს ღვთაებრივი აფროდიტე, თავის დედას, და მანაც გულში ჩაიკრა ქალიშვილი, ხელით მოეფერა, სახელით იხმო და სიტყვა უთხრა: „ზეციურ ღმერთთაგან რომელი მოგეცემა ასე უსაფუძვლოდ, საყვარელო შვილო, თითქოს რამე ბოროტება ჩაგედინოს?“

მას უპასუხა მამინ მარად მოლიმარმა აფროდიტემ: „ტიდევსის ძემ, სულმაღალმა დიომედემ დამჭრა, რადგან საყვარელი შვილი გამომაყვდა ბრძოლიდან, ენეასი, რომელიც ყველაზე უფრო საყვარელია ჩემთვის. ახლა ხომ ტროელებსა და აქაველებს შორის კი აღარ არის სასტიკი ომი, არამედ დანაელები უკვე უკვდავებს გვეომებთან.“

მას უპასუხა მამინ დიონეს, ღმერთთაგან გამო-

რჩეულმა: „გამავრდი, ჩემო შვილო, და გადაიტანე განსაცდელი! რადგან მრავალი ტანჯვა გადაგვიტანია ოლიმპოსზე სასახლეთა მქონეებს ადამიანებს, მრავალი ტიკვილი მოუყენებიათ მათ, როგორც ერთმანეთს ერწოდნენ. ასე დაიტანჯა არესი, როდესაც ოტოსმა და ეფიალტესმა, ალოევისის შვილებმა მძლავრი ბორკილები დაადეს და სპილენძის დილეგში გამოამწყვდიეს ცამეტი თვე. იქ დაილუპებოდა ომი გაუმაძღარი არესი, ძმების დღინაცვალს, ულამაზეს პერიბოიას რომ არ შეეცყო ბინებინა მისი ამბავი ჰერმესისთვის; სწორედ მან მოიპარა არესი, რომელიც უკვე დავარდნილი იყო, რადგან ბორკილებმა ძალა გამოაცალა. ასე დაიტანჯა პერაც, როდესაც ამფიტრიონის მძლავრმა ვაჟმა მარჯვენა ძუძუსთან სამწვერიანი ისრით დაჭრა; გაანამა უსასტიკესმა ტიკვილმა. გოლიათური ჰადესიც დატანჯა სწრაფმა ისარმა, როდესაც იმავე კაცმა, ეგვიდისმპურობელი ზევსის ძემ, პილოსში მკვდრებში დაჭრა და ტიკვილი მიაყენა. მაშინ მან მიაშურა ზევსის სასახლეს დიდ ოლიმპოსზე გულთი დამწვრებულმა და ტიკვილით განამებულმა, რადგან ისარი მძლავრ მხარში ჰქონდა გარჭობილი და სულს უნაშებდა; მაგრამ მას პაიანმა ტიკვილთმკვლედი ნამლები ასხურა და მოარჩინა, რადგან მოკვდავად არ იყო შობილი. უხეში და მოძალადე კაცი, რომელიც უდარდელად თესდა ბოროტებას,



თავის ისრებით ჭრიდა ოლიმპოსზე მცხოვრებ ღმერთებს. შენ კი ეს კაცი თვალსხვიოსანმა ღმერთმა ათენამ მოგიგზავნა, ტიდევსის უბადრუკი ძე, რომელმაც არც იცის, რომ ხანმოკლეა მისი სიცოცხლე, ვინც უკვდავებს შეებრძოლება, მას შვილები მუხლებზე ვერ დაუსხდებიან და ვერ ეტიტინებიან, ომიდან და სასტიკი ბრძოლებიდან შინ დაბრუნებულს. ხომ ძალიან ძლიერია ახლა ტიდევსის ძე, ხომ ჰგონია, რომ ათენა უფრო მძლავრი, რომ მას შეებრძოლოს, ერთხელაც იქნება და აიგიალია, ადრასტოსის გონიერი ასული, კვილით გააღვიძებს საყველთს შინაურებს და თავის კანონიერ მეუღლეს, აქაველთგან საუკეთესო ვაჟსაც, დაიტრებს ცხენების მხედელი დიომედისის სახელოვანი მეუღლე”.

ასე უთხრა, ორივე ხელით მოუწმინდა იქორი მკლავზე, გამთელდა მკლავი და გაყუჩდა მწარე ტკივილი.

ამას უყურებდნენ ათენაც, ჰერაც და ზევსს, კრონოსის ძეს, გულისმომკვლევი სიტყვებით ეხუმრებოდნენ; პირველმა ლაპარაკი ნამოიწყო თვალსხვიოსანმა ათენამ: „მამა ზევსო, ხომ არ გამოზრადები, რაღაც რომ გითხრა? როგორც ჩანს, კვიპროსის ქალბატონმა რომელიღაც აქაველი ქალი გაიყვანა ტროელბთან, რომლებიც ასე განსაცვიფრებლად უყვარს და ლამაზად ჩაცმული აქაველი ქალის მოფერებისას ოქროს ქინძისთავი შეერჭო უნაზეს ხელში“.

ასე თქვა და გაიღიმა ადამიანებისა და ღმერთების მამამ, თავისთან მოუხმო ოქროს აფროდიტეს და უთხრა: „შენი საქმე არ არის, შვილო ჩემო, ომის ამბები, იფიქრე მხოლოდ ქორწინების, საყვარელი საქმის, მონყობაზე, ომის ამბები კი სწრაფ არესსა და ათენას დაუთმე“.

ასე საუბრობდნენ ერთმანეთში, მაგრამ საომარი ყიფინის დიდოსტატი დიომედესი ენებას დაეცა თავს; იცოდა, რომ ხელში ჰყავდა აყვანილი აპოლონს, მაგრამ არც დიდი ღმერთის შიში ჰქონდა, რადგან ჯერ კიდევ ფიქრობდა ენეასის მოკვლას და მისი სახელგანთქმული საჭურვლის ხელში ჩაგდებას. სამეფოს დეცა თავს და დაუპირა მოკვლა, სამეფოს მოიგერია აპოლონმა მისი მოელვარე ფარი, მაგრამ როდესაც მეთოხეჯერ დაიძრა ღმერთს მი-

მსგავსებული, საშინელი ხმით შესძახა შორს მიმწვდომმა აპოლონმა: „ფრთხილად იყავი, ტიდევსის ძეო და უკან დაიხიე, ღმერთებთან ვატოლებას ნუ დააპირებ, ვერასოდეს შეიქნება მსგავსი უკვდავი ღმერთებისა და მინაზე მოსიარულე ადამიანების მოდგმა!“

ასე ბრძანა და ტიდევსის ძემ ოდნავ უკან დაიხია, გაერიდა შორსმხროლელი აპოლონის რისხვას. ენეასი გამაორიდა ბრბოს და დასავენა წმინდა პერგამოსისზე, სადაც მისი ტაძარი იყო აგებული. იქ ლეტომ და ისრისმტყორცნელმა არტიმისმა დიდ სალოცავში უმკურნალეს და მოუარეს.

ამ დროს ვერცხლისმშვილდიანმა აპოლონმა შექმნა აზრდელი, რომელიც იერთო და შეიარაღებოთ ენეასს ჰგავდა, ამ აზრდელის ორივე მხარეს ტროელები და ღვთაებრივი აქაველები ერთმანეთს უჩხედნენ ხარის ტყავს, რომლებიც დიდ, მრგვალ და უხეშტყავიან პატარა ფარებზე ჰქონდათ გადაკრული და მკერდს უფარავდათ. მაშინ დაუოკებელ არესს უთხრა სხვიოსანმა აპოლონმა:

„არეს, არეს, მოკვდავთმშუსვრელო, სისხლისმსმელო, გალავანდა დამაქციველო! ხომ არ მოზრადნებოდი და არ გაიყვანდი ბრძოლიდან ამ კაცს, ტიდევსის ძეს, რომელიც ახლა მამა ზევსსაც კი შეებრძოლებოდა?! სულ ახლახან კვიპროსის დედოფალი ხელში, მაჯაში დაჭრა და შემდეგ მეც თავს დამეცა დაიმიონივით“.

ეს თქვა და დაბრძანდა პერგამოსის მწვერვალზე, ხოლო თრაკიელთა წინამძღოლს, აკამას მიმსგავსებული, დამტყვევლი არესი შეუდგა ტროელთა რიგების აღზნებას და მოუხმო პრიამოსის ზევსის გამოზრდილ ვაჟებს: „ზევისს აღზრდილი მეფე პრიამოსის ძებო, ნუთუ ნებას დართავთ აქაველებს, ხალხი დავიხოცო? თუ მანამდე აცლით, სანამ ბრძოლით არ მოადგებიან კეთილნაკეთებ კარიბჭეს? ნვეს კაცი, რომელსაც ღვთაებრივი ჰექტორის დარად ვცემთ პატივს, ენეასი, დიდგულთვანი ანქისეის ძე. მამ, მოდიეთ, მოცვა-ულტვისგან ვისნათ საუკეთესო მეგობარი!“ ეს თქვა და ალუგზნი სული და შემატა ძალა თითოეულს. მაშინ სარკედონმა ძლიერ გაკიცხა ღვთაებრივი ჰექტორი: „ჰექტორ, სად წავიდა შენი ძალა, რომელიც აქამდე გქონდა? ხომ ამბობდი, რომ ხალხის გარეშე და მოკავშირეთა გარეშე, მარტოც დაიცავდი ქალაქს, ძმებთან და სიძეებთან ერთად? აქ ახლა ვერც ერთს ვერ ვხედავ და არც ვიცო, სად არიან; მინაზე არიან განრთხზული, როგორც ძაღლები ლომის წინაშე, ჩვენ კი ვიბრძვით, ჩამოსული მოკავშირეები! მეც მოკავშირე ვარ და თქვენს დასახმარებლად შორიდან ჩამოსულვარ; შორსაა აქედან ლკია და ხშირმორევანი ქსანთოსი. იქ დავტოვე საყვარელი მეუღლე, ჩვილი ვაჟი და მთელი ქონება, რაც ყველა უშოვარს ენადრება. და მაინც ჩემს ლიკიელსაც მოვუწოდებ და თავადაც მზად ვარ კაცთან საბრძოლველად, თუმცა კი აქ არაფერი მახადია, რასაც ჩემგან ნაიდებდნენ ან ნაიყვანდნენ აქაველები. შენ კი თავადაც დამდგარხარ და სხვაც არ უბრძანებ შენი ხალხიდან, რომ წინააღმდეგობა გაასწიონ და საკუთარი ცოლები დაიცვან! არ დაუშვა, რომ გამძვინვარებულმა მტერმა ყოვლისმომცველ სელის ქსელიმ გაგახ-



ვიოთ და მის ტყვედ და ნადავლად შეიქმნეთ; მაშინ ისინი სრაფად დააქცევდნენ თქვენს კეთილნაგებ ქალაქს. ვმართებს ყველაფერი ამაზე დღედაღამ ზრუნვა, უნდა სთხოვო მოკავშირეთა მეთაურებს, რომელთა სახელი შორსაა განთქმული, შეუჭრებლად იბრძოლო და საყვედურებს თავი დაანებო".

ასე თქვა სარპედონმა და მისმა სიტყვად გული ატკინა ჰექტორს. იმავნამს შეიარაღებული ჩამოხტა ეტილიდან მიწაზე, შეარხია ბასრი შუბები, დაუარა მთელ ლაშქარს, საბრძოლოდ აღაგზნო და გაადვივა სასტიკი ომი. საომარი ყუინა დაცეს ტროელებმა და აქაველებს პირისპირ დაუდგნენ, არგოსელებს კი შეკრული ჰქონდათ რიგები და უკან დახევას არ აპირებდნენ.

როგორც ქარს გადაქავეს ბზე წმინდა კალოზე, როდესაც ხალხი ანიავებს და ოქროსთიანი დემეტერი აღძრული ქარებით ერთმანეთისგან არჩებს ნაყოფსა და ბზე, ხოლო ბზის ხვავი კედნავ თეთრდება, სწორედ ასევე გათორდნენ აქაველები ტროელებს, რომელიც მრავალსპილენძიან ცამდე ავარდა ცხენების ფლოქვებიდან, როგორც კი განახლდა ბრძოლა და ეტელით უკან მოაბრუნეს მეეტლებმა და ხელების ძალით მიმართეს მტრისკენ; დაითი დაფარა დაუოკებელმა არესმა ბრძოლის ველი ტროელთა დასახმარებლად და შემოიარა ყველა ადგილი, იგი აღარულებდა ოქროსხმლიანი სხვიოსანი აპოლონის ნაწილებას, რომელმაც მოუწოდა, ტროელები გაემხნევიბინა, როდესაც დაინახა, რომ წავიდა პალასი ათენა, რომელიც იყო დანაელთა მცველი.

აპოლონმა კი ენეასი მდიდარი სამოლცველოდ ან შორს გაგზავნა და მკერდში ხალხთა მწყემსს ვაჟკაცობა ჩაუდგა. ენეასი მეგობრებს შეერია; მათ გაიხარეს, როცა ნახეს, რომ ცოცხალი, უვნებელი და სულით მზნე დაბრუნდა, კითხვით კი ვერაფერი ჰკითხეს, — ამის საშუალება არ მისცა სხვა გარჯამ, რომლისკენაც ვერცხლისმშვილდიანი ღმერთი, ხალხთამშურავი არესი და მრისხანებით გაუმაძღარი ერისი მოწოდებდნენ.

ორივე ათას, ოდისვესი და დიომედესი დანაელებს ბრძოლისკენ მოუხმობდნენ, თუმცა მათ ისედაც ტროელთა არც ძალა აშინებდათ და არც მათი დადევნება; ამიტომ დარჩნენ, სადაც იყვნენ, ღრუბლებითი, რომლებიც კრონოსის ძის მიერ უქარო ამინდში აშართულ მთებზე მოფენილი უძრავად დგას, სანამ სძინავს ბორეასისა და სხვა ზომოქარი ქარების ძალებს, რომლებიც ხმარობანი ამოსლთნითი შუქ ღრუბლებს მიგრეკებან ხოლმე; ასე მტკიცედ იდგნენ დანაელები ტროელების წინააღმდეგ და უკან არ იხევდნენ. ატროედის ძე ხალხში დადიოდა და ბრძანებებს ვასცემდა: „მეგობრებო, ვაჟკაცები იყავით და მამაკე გული ჩაადგით, არ შერცხვით ერთმანეთთან მიძიმე ბრძოლებში! ვისაც შერცხვნის ეშინია, ის უფრო გადარჩება, ვიდრე მოკვდება, ხოლო გაქცეული სახელსაც დაკარგავს და სიცოცხლესაც“.

და შუბი სწრაფად სტყორცნა და მოარტყა პირისპირ მდგომ ვაჟკაცს, დიდგულოვანი ენეასის მეგობარს, დეიკონოსს, პერგასოსის ძეს, რომელსაც ტროელები პრიაამოსის ვაჟების დარად სცემდნენ პატივს, რომელიც მუდამ მენინავეთა შორის ბრძო-

ლისკენ მიისწრაფოდა. მას ფარში მისწვდა მძლეური ავამენმონი, ფარმა ვერ გაუშლო, სპილენძმა მასში შეღწია, ქმარი გაგლიჯა და ქვემო მუცელში ჩაეფლო, დაცემისას ყრუ ხმა გამოესცა და გაიფლრაილა მისმა აბჯარმა.

მაშინ ენეასმა დახოცა დანაელთა საუკეთესო ვაჟკაცი — დიოკლევის ორი ძე, კრეთონი და ორსილოქოსი, მათი მამა კეთილნაგებ ფერეში ტკბებოდა მდიდრული ცხოვრებით, მისი მოდგმა მომდინარეობდა მდინარე ალფეიოსისგან, რომელიც ფართოდ მოედინება პელოპონესის მიწაზე; სწორედ მან შვა ორტილოქოსი, მრავალი ვაჟკაცის მეუფე, ორტილოქოსმა კი შვა დიდგულოვანი დიოკლევისი, ხოლო დიოკლევისისგან ცეკუბი ბიჭები იშვნენ, კრედენი და ორსილოქოსი, ყველაწარი ბრძოლის მცოდნენი. ისინი, დავაჟკაცებულები, შავი ხომალდებით ერთმანეთს ნამოყვნენ არგოსელებს ცხენებით მდიდარ ილიონში, რათა შურისძიებით პატივი ეცათ ატრევსის ძეგნი, ავამენმონისა და მეგლიოსისათვის, მაგრამ აქ ორივე სასიკვდილო აღსასრულს მიაღწა. ლომის ეს ორი ბოკვერი, რომლებიც მთის მწვერვალზე ედგა ლომმა გამოზარდა უსიერი ტყის სიღრმეში, თავს ესხმობა ხარ-ძროხასა და მსუქან ცხვრებს, კაცთა სადგომებს ანადგურებდა, სანამ კაცთა ხელით თვითონაც არ დაიხოცნენ ბასრი სპილენითი, ასევე ეს ორი, ენეასის ხელით ძლეული, მოკვლავით დანარცხა მინას მალად ფიჭვილით.

მათმა დაცემამ გული მოუკლა არესის რჩეულ მენელაოსს, მენინავე მებრძოლებში შეიჭრა ელვარი სპილენძის მუზარაით შემოსილი, შუბის მრჩეველი: რისხვა აღუძრა მას არესმა, იმედგულვება, იქნებ, ენეასის ხელით დაიღუპოსო. იგი დაინახა ანტილოქოსმა, დიდგულოვანი ნესტოსის ვაჟმა, შეიჭრა მენინავეთა შორის, რადგან ეშინოდა, ხალხმა მწყემსს რამე არ მოსვლოდა და მთელი მათი შორმა წყალში არ ჩაყარა. ენეასი და მენელაოსი კი ხელაღმართულნი ბასრი შუბებით პირისპირ იდგნენ და ბრძოლას აპირებდნენ; ანტილოქოსი კი გვერდში ამოუდგა ხალხთა მწყემსს. ენეასი კი არ დარჩა, თუმცა სწრაფი მეომარი იყო, როცა გვერდიგვერდ მდგარი ორი ვაჟკაცი დაინახა. მათ კი მკვდრები გაათრევს აქაველი ხალხისკენ და საბრალონი იქ დატრევის, მეგობრების ხელში, თავად კი მობრუნდნენ მენინავეთა შორის საბრძოლველად.

იქ პილემენესი მოკლეს, არესის სწორი, დიდგულოვანი პავლაგონიელი ფაროსნების წინამძღული. იგი ატრევსის ძემ, შუბოსობით განთქმულმა მენელაოსმა შუბით განგმირა, ლავინში მისწვდა; ანტილოქოსმა მის მეეტლესა და მასხარ მიდონს, ატიმინოსის ღირსულ ძეს, რომელიც მიუბრუნდა მუხლად ცხენებს, ლოდი მოარტყა შვა იდაყვში; ხელიდან მტვერში დაუვარდა სპილოსძელიანი თეთრი სადავეები. ანტილოქე კი პირდაპირ მიეჭრა და ხმალი საფეთქელში ჩასცა, მძიმედ ამოხრილა, ჩამოვარდა კეთილად ნაკეთები ეტილიდან, თავითა და მხრებით პირჩალმა დაეცა მტვერში. ძალიან დიდხანს იყო ასე ჩავარდნილი ღრმა ქვიშაში, სანამ მისმა ცხენებმა არ გააქანეს მიწაზე მტვერში დაცემული. მართაზი გადაპკრა მათ ანტილოქოსსა და ვაქელებს ბანაკისკენ გააქანა.

ისინი მეომართა რიგებში შეამჩნია ჰექტორმა და მათკენ ყოფინით გაიჭრა და მას გაჰყენენ ტროელთა მძლავრი რიგები, მათ მიუძღოდნენ არესი და დედოფალი ენოი, რომელსაც ახლად დაუნდობელი ბრძოლის ღრინაცელი; არესი კი ხელში ათამაშებდა უზარმაზარ შუბს და ხან წინ დაუდგებოდა ჰექტორს, ხანაც უკან.

ღმერთი რომ დაინახა, შეძრწუნდა საომარი ყიფინის დიდოსტატი დიომედესი და როგორც კაცია, რომელიც უიმედოდ მიდის დიდ ველზე, დადგება, როდესაც ზღვაში ჩამდინარე ქაფით მოღვარე სწრაფ მდინარეს მოჰკრავს თვალს და უკან დაიწვეს, ზუსტად ასე ტიდევისის ძემ უკან დაიხია და ხალხს უთხრა: „მეგობრებო, უნდა გვიკვირდეს, რომ ღვთაებრივი ჰექტორი შუბოსანი და გამბედავი მეომარია! მუდამ გვერდში უდგას რომელიღაც ღმერთი და დალაშქრისგან იფარავს; ახლაც გვერდს უმშვენებს არესი, მოკვდავ კაცს მიმსგავსებულს. ტროელებისკენ გქონდეთ მიტყეული სახე, მაგრამ უკან დაიხიეთ, რადგან ღმერთებთან ომს ვერ გავებედავთ“.

ასე თქვა და ტროელები ახლოს მოვიდნენ მათთან. იქ ჰექტორმა საომარი ფინის მცოდნე ორი კაცი მოკლა, ერთ ეტლში მდგომნი — მენესტესი და ანქიალოსი. როდესაც დაეცნენ ისინი, შეებრაღა ტელამონის ძეს, დიდ აიასს, ახლოს მოვიდა, დადგა

და სტყორცნა ელვარე შუბი, განგმირა ამფიოსი, სელაგოსის ძე, რომელიც პესოსში ცხოვრობდა, დიდ ქონებისა და მრავალი მინდვრის პატრონი, მაგრამ ბედისწერამ პრიამოსისა და მისი ვაჟების მოკაცებრივად ჩამოიყვანა. ქამარში მოარტყა მას ტელამონის ძე აიასმა, ქვემო მუცელში ჩაეფლო გრძელწრდილიანი შუბი, მძიმე ხმა გამოსცა დაცემისას, მოირბინა სახელგანთქმულმა აიასმა, რომ აბჯარი აეყარა, მაგრამ ტროელებმა ბასრი შუბებით დააყარეს და ფარმა ბვერი მიიღო. ფეხით შედგა ცხედარზე და სპილენძის შუბი ამოაძრო, მაგრამ ვერ შეძლო, აეყარა ლამაზი აბჯარი მხრებიდან, რადგან ისრები დააყარეს. შემინდა, დაუოკებელ ტროელებს მძლავრი აღყა არ დაერთყათ, ისინი ხომ შუბებით შეიარაღებული მრავლად და მამაცურად მოადგნენ, და, თუმცა, დიდიც იყო, მძლავრიც და სახელოვანიც, გამოადვენეს მათ, უკან დაიხია და შედრკა.

ასე დაშურნენ ისინი მძიმე ბრძოლაში; ხოლო ტლეპოლემოსი სახელოვანი და გოლიათი, მძლავრმა ბედისწერამ აღძრა ღვთისდარი სარპედონთან საბრძოლველად. როდესაც დაიდრნენ და ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ღრუბელთშემკრები ზევსის შვილი და შვილიშვილი, ტლეპოლემოსმა პირველმა ბრძანა სიტყვა: „სარპედონ, ლიკიელთა მრჩეველ, რამ გაიძულა, აქ რამ ჩამოვიყვანა და ავაცახცახა ეს ომის უმეცარი კაცი?! ტყუიანა, როდესაც ამბობენ, რომ ეგიდისმპყრობელი ზევსის მოდგმისა ხარ, ბევრად უფრო დაბალი ხარ, ვიდრე ზევსის შთამომავალი ჩვენი წინა თაობის ხალხი ან, როგორც იყო, ამბობენ, ჰერაკლესის ძალა, მამაჩემისა, რომელიც იყო უგამბედავესი და ულომისგულესი, ის ხომ ოდესღაც აქ მოვიდა ლაომედონის ცხენებისთვის, სულ რაღაც ექვსი გემით და ცოტაოდენი ხალხით, ილიონი დაამხო და ქუჩები და აცახცაჩიელა. შენ კი სულმოკლე ხარ და შენი ხალხიც სასიკვდილოდაა განწირული. არ მგონია, რომ ბურჯად გამოადგე ტროელებს, ტყუილად ჩამოხვედი ჩემიკიდან, უფრო ძლიერც რომ ყოფილიყავი, ჩემი ხელით მაინც მოგამთობდი და ჰადესის კარიბჭეში გაგატარებდი“.

მას საპასუხოდ უთხრა სარპედონმა, ლიკიელთა წინამძღოლმა: „ტლეპოლემოს, ჰერაკლემ მართლაც დაქცია წმინდა ილიონი ერთი კაცის, სახელოვანი ლაომედონის უგუნურების გამო, — მან ხომ თავისი კეთილისმყოფელი ბოროტი სიტყვით გაკიცხა და არ მისცა ცხენები, რომელთა გულისთვისაც ის შორიდან იყო მოსული. შენ კი გპირდები, აქ სიკვდილსა და შავ აღსასრულს მიიღებ ჩემგან, ჩემი შუბით განგმირული, მე სახელს მომიტან, ხოლო ცხენებით სახელგანთქმულ ჰადესს — სულს“.

ეს ბრძანა სარპედონმა, ხოლო ტლეპოლემოსმა შე ასნია იფნის შუბი და ერთდროულად ორი გრძელი შუბი გამოფრინდა მათი ხელებიდან. შიგ კისერში მოარტყა სარპედონმა, მტანჯველმა შუბისპირმა უკან გააღწია და ტლეპოლემოსის თვალები ბნელმა ღამემ დაფარა. თავად ტლეპოლემოსმა კი მარცხენა თემში მოარტყა სარპედონს უზარმაზარი შუბი, გამაღებელი შუბისპირი შეიჭრა და ძვალს მისწვდა, მაგრამ მამამ დაღუპვას გადაარჩინა. ღვთაებრივმა მეგობრებმა ღვთისდარი სარპედონი ბრძო-



ლას გარნიდეს, ენამებოდა, დიდ შუბლს რომ მიათრე-
ვდა, არავის უთქვამს და არც არავის უფიქრია, ჭრი-
ლობიდან ამოელთ იფნის შუბი, რომ წამომდგარი-
ყო: ისე ჩქარობდნენ და ერთად თავმოყრილნი საქ-
მის ასე აკეთებდნენ.

მეორე მხრიდან ლამაზსაბარკულიანმა აქავე-
ლებმა ტლემპოლემოსი ბრძოლიდან გაიტანეს; ღვთა-
ებრივმა ოდისევსმა თვლი მოჰკრა, მტკიცე სულის
კაცმა და აღდგრა კეთილი გული; ორი განზრახვა
გაუფდა გულსა და სულში: ან ხმაურიანი ზევისს
ქეს დასდევნებოდა, ან მრავალი ლიკიელისთვის ამ-
ოერთვა სული. არ იყო დიდგულოვანი ოდისევსის
ხევეთა, ზევისის მძლავრი ძე გენეგმირა ბასი სპი-
ლენძით; მისი მრისხანება ათენამ ლიკიელის გუ-
ნდისკენ მიმართა. იქ დახოცა კორინთოსი, ალასტორ-
ი, ქრომიოსი, ალკანდროსი, ალიოსი, ნოემორი,
პრიტანისი და კიდევ ბევრ ლიკიელს გამოსალმებ-
და სიცოცხლეს ღვთაებრივი ოდისევსი, უმაღ რომ
არ მოეკრა თვალი მუზარადმოეღვარე ჰექტორს:
წინა რიგის მეტროპოლზე შიჭრა ელვარე ბრინჯაო-
სი მუზარადით შემოსილი და ძრწოლა მოჰკვარა
დანაელებს; ზევისს ქემ, სარპედონმა, გაიხარა, მო-
მავალი რომ დაინახა და შესაბრალოსი სიტყვით მი-
მართა: „ჰექტორ, ნუ მისცემ ნებას დანაელებს, რომ
მასწინადად ვინჯე, დამიკავი! შედევ კი, დაე,
მოგკვედ თქვენს ქალაქში, მაგრამ ვერად დაგბრუ-
ნდები ჩემს სამშობლოში, საკუთარ სახლში, მშობ-
ელ მინაზე, რომ გეიხარო საყვარელი მეუღლითა
და ჩვილი ვაჟით“.

ასე თქვა და მისთვის არ უპასუხია მუზარადმო-
ეღვარე ჰექტორს, არამედ წინ გაიჭრა, მონადინე-
ბული, რაც შეიძლება, სწრაფად მოეგერებინა არ-
გოსელები და ბევრი მათგანისთვის ამოერთვა სუ-
ლი. ამასობაში ღვთისდარი სარპედონი ღვთაებრი-
ვმა მეგობრებმა დასვეს ეგიდისმპყრობელი ზევისს
შემწვენიერესი მუხის ქვეშ, ხლოო თემოდან იფნის
სუბი ამოძარცო მძლავრმა პელაგონმა, რომელიც მი-
სი საყვარელი მეგობარი იყო. სულმა დატოვა გმი-
რი და თვლებს დაეღვარა წყვიდადი, მაგრამ სუნ-
თქვა დაუბრუნდა და ბორეასის დაჭროლვამ დაუბ-
რუნა სიცოცხლე სულთმობრძას.

არგოსელებს არესისა და სპილენძისაბჯრიანი
ჰექტორისთვის ზურგი არ შეუტყვევიათ და შავი ხო-
მადღობისკენ არ დაძრულან, პირისპირ დაუღვანენ
სამბრძოლველად, მაგრამ უკან იხევდნენ, როცა შე-
იტყვეს, რომ ტროელებს არესი მოუძღოდათ. იქ კი
ვინ იყო პირველი და ვინ უკანასკნელი, ვინც მოკლ-
ეს პრიაოსის ძე ჰექტორმა და სპილენძის არესმა?
ღვთისდარი ტევფრასი და ცხენისა გარეკი ორეს-
ტესი, ტრეკოსი, ეტოლიელი შუბოსანი და ოინომა-
ოსი, ოინოფისის ძე ჰელენოსი და ჭრელქამრიანი ორ-
ესბიოსი, რომელიც ჰილენი ცხოვრობდა და დიდ
სიმდიდრეს უღლიდა კეფისისის ტბასთან და მის მა-
ხლობლად მდიდარი მინების პატრონი სხვა ბეოტი-
ელებიც ცხოვრობდნენ. როდესაც შეამჩნია თეორ-
ხელეობიანმა ჰერამ, რომ არგოსელებს ხოცავდნენ
სასტეკ ბრძოლაში, იმახვილა ათენას მიმართა ფრთო-
სანი სიტყვებით: „ო, ეგიდისმპყრობელი ზევისის ას-
სული ატროტონე, ამაოდ მიგვიცია პირობის სიტყვა
მენელაოსისთვის, რომ კეთილგალავნიან ილიონს

დააქცევდა და შინ დაბრუნდებოდა, თუ ასე ჩვეარ-
ჩენი მძინვარებას დამღუპველ არესს. მოდი, ჩვენც
გავისენოთ ჩვენი დაუოკებელი სიამავეც!“

ასე ბრძანა და დაემორჩილა თვალსიხვიოსანი ქა-
ლმერთი ათენა. მამის მიუახლოვდა შუბლზე ოქ-
როს ლენძით შემოსილი ცხენებს ჰერა, დიდგულთი
ქალმერთი, დიდი კრონოსის ასული. ჰებემ სწრა-
ფად მიაბარა ეტლს სპილენძის მოხრილი რვასო-
ლიანი თვლები რკინის ღერძის ორივე მხარეს.
თვლებს უჭკნობი ოქროს ფერსობეი ედით, ზემო-
დან კი სპილენძის ფენა ამშვენებდათ — საოცარი
სანახავი იყო! ვერცხლის მორგებები ბრუნავდა ორ-
ივე მხარეზე; თვად ეტლი კი იყო ოქროსა და ვერცხ-
ლის ღვედებით დანწული და ორი ფერსო ბრუნავ-
და; ძარიდან გამოდიოდა ვერცხლის ხელნა, მას ბო-
ლოში ჰებემ მიაბარა ლამაზი, ოქროს უღელი, გა-
დააულო ლამაზი ოქროს თასმები, უღელში შეაბა
სიძულვილსა და ბრძოლას მონყურებულმა ჰერამ
ფეხმარად ცხენები.

ამასობაში ეგიდისმპყრობელი ზევისის ასულმა
ათენამ მოხატული პეპლოსი გაიხანდა და იგი დაეცა
მამისეული სამყოფლის იატაკზე; ეს კახა თავად შე-
ქმნა, საკუთარი ორი ხელით. შემდეგ მან ჩაიკცა
ღრუბელთშემკრები ზევისის ქიტონი და საბრძოლო
აბჯარი აიხსა ცრემლის მომწველი ომისთვის. ორ-
ივე მხარზე გადაიკიდა სამწველი ფორიანი ფარი,
რომელზეც გამოსახული იყო ძრწოლა, განხეთქი-
ლება, ბრძოლა და მძლავრი დევნა; იქვე იყო საში-
ნელი უჩრხვლის, გორგოს თავი, საზარელი და მრის-
ხანე, ეგიდისმპყრობელი ზევისის მომასწავებელი
ნიშანი. თავზე დაიხურა ოქროს ორჯილიანი და ოთხ-
ბუდიანი მუზარადი, ასი ქალაქის მეტროპოლთაგან
ნაქედი. მოელვარე ეტლზე შედგა ფეხი, აღიჭურვა
მიძე, დიდი, სქელი შუბით, მეტროპო გმირთა იმ
რამზების მუსრის გამელები, რომლებიც მძლავრი
მამის ასულს განარისებდნენ. ჰერამ მართახი სწრა-
ფად გადაჰკრა ცხენებს; თავისთი გაიჭრიალა ზე-
ვისი კარიბჭემ, რომელიც ჰორებს უჭირათ, მათ მი-
ბარებული აქეთ დიდი ზეცა და ოლიმპოსი, რომ გა-
აღონ სქელი ღრუბელი ან დაახშონ ისევე. მათი გა-
ვლით გაიყვანეს ქალმერთებმა სადევნავაკრული
ცხენები და იპოვეს კრონოსის ძე, სხვა ღმერთების
გარეშე, მჯდომი მრავალთხემიანი ოლიმპოსის უმ-
აღლეს მწვერალზე. აქ ცხენები გააჩრდა თეთრე-
ლებიანმა ჰერამ, უზენაეს ზევისს, კრონოსის ძეს
ჰკითხა და უთხრა: „მამა ზევსო, არ განრისხდი, არ-
ესმა ეს სასტიკი ამბები რომ ჩაიღინა, ამდენი და ასე-
ლით აქაველი მეომარი რომ ამოხოცა დაუფიქრებ-
ლად, ნესების სანიხააღმებოლ ჩემდა ჭირად, მშვი-
დად რომ ტკებვიან ამით კვივროსის დედოფალი და
ვერცხლისმშვილდიანი აპოლონი, მიშვებული რომ
ჰყავთ ეს უგუნური, რომელიც წარმოადგენა არ აქვს
სამართლისანიხააღმებუ? მამა ზევსო, გამიბრახედი,
თუკი მე არესს მიძიმედ დავარტყამ და ბრძოლიდან
გამოვართვე?“

მას მიუბრუნდა და ბრძანა ღრუბელთა შემკრე-
ბმა ზევისს: „მიდი ახლა და აღძარი ათენა, ნადავლ-
ზე მონადირე, რომელსაც ყველაზე უფრო სჩვევია
მისთვის ტკივილის მიყენება“.

ასე ბრძანა და მას დაემორჩილა თეთრხელები-

ანი ქალღმერთი ჰერა, მათრახი გადაჰკრა ცხენებს და ისინიც ხალისით გაფრინდნენ მინასა და ვარსკვლავიან ზეცას შორის. რამოდენა სიგრცესაც მოიცავს მაღალ ბორცვზე მჯდომი ადამიანი საკუთარი თვალებით, როდესაც ლენისფერ ზღვას გაჰყურებს, იმოდენა სიგრცეს ფარავდნენ ერთი ნახტომით ღმერთების მოგრიალე ცხენები. და ახლა ისინი მიადგნენ ტროას, სადაც ორი მდინარე მიედინება და ერთმანეთს ერწყმის სიმოისისა და სკამანდროსის ნაკადები, იქ ცხენები გააჩერა თეთრხელებიანმა ქალღმერთმა ჰერამ, გამოსხნა ეტლიდან და სქელი ნისლით დაფარა, ხოლო სიმოისმა ამბროსია აღმოუცენა საკვებად. ორი ქალღმერთი კი გაუბედავი მტრედებებით პატარა ნახიჯებით გაეცხრათა არგოსელებისსაკენ, მათს დახმარებას მოწყურებულნი.

და როდესაც იქ მივიდნენ, სადაც მრავალი საუკეთესო ვაჟკაცი იდგა ცხენებისმხედნელი დიომედისი ირგვლივ უში ხორცის მჭამელი ლომებით ან გარეული ტახებით, რომელთაც არასოდეს აკლდებოდა ძალა, იქ დადგა თეთრხელება ქალღმერთი ჰერა სპილენძისხმიან დიდგულოვან სტენტორს დამსგავსა და იმოდენა ხმით შესძახა, რაც სხვა ორმოცდაათს თუ ექნებოდა: „სირცხვილი თქვენ, არგოსელებო, იერთი ბრწყინვალეუნი და სინამდვილეში საზიზღარნი! სანამ ომში იბრძოდა ღვთაებნი აქილევსი, მაშინ ტროელები ვერ ბედავდნენ დარდანული კარიბჭიდან გამოსვლას, რადგან ყველას აშინებდა მისი მძიმე შუბი, ახლა კი ქალაქიდან შორს, ღრმამუცლიან ხომალდებთან იბრძვიან!“

ასე თქვა და თითოეულს სული შთაბერა და ყველა მრისხანებით ალაგზნო. ტიდევისი ძეს მიეჭრა თვალსხივოსანი ქალღმერთი ათენა, იპოვა მეფე ცხენებთან და ეტლთან მდგარი, ჭრილობას იგრილებდა, რომელიც პანდაროსმა შეაყენა ისრით. ოფლი სდიოდა ფართო ღვედის ქვეშ, რომელსაც მრგვალი ფარი ეჭირა, ოფლი ასველებდა და ხელი ეღვებოდა, მაგრამ ღვედს ატარებდა და ღრუბელივით შავი სისხლი სდიოდა.

ცხენების უღელს ჩაველო ხელი ქალღმერთმა და ბრძანა: „მართლაცადა, შვილი ნაკლებად დამსგავსებია ტიდევსს; ტიდევისი პატარა იყო ტანად, მაგრამ ის მეომარი იყო. მაშინაც კი, როდესაც ნება არ დავრთე, ეომა და წინ ვაჭრილიყო, მაინც წავიდა, აქაველთა გარეშე, მაცნედ თებულნი აურაცხელი კადმოსიანთა. მე მას ვუბრძანე, მემუიდა ცხადიმა სასახლეში, მაგრამ მას მძლავრი სული არ ასვენებდა, როგორც ყოველთვის, — კადმოსიანთა ყმანილები გამოიწვია და ყველა იოლად დაამართვა, რადგან მეც მხარში ვედექი. ახლა გვერდით შენ გიდგავარ, შენ გიცავ და მოვიწოდებ, მტკიცედ შეებრძოლო ტროელებს, მაგრამ ან დაღლამ დაგიძაბუნა სტეული, ან ლარსული შიში მოგვრია, აღარ ხარ ბრძენი ოინევსის ძის, ტიდევისის ნაშვირი!“

მას უპასუხა და ბრძანა მძლავრმა დიომედესმა: „გვიცანი, ქალღმერთო, ეგდისმწყურებელი ზევსის ასული. გულწრფელად გატყევი სათქმელს და არაფერს დაგმიძღავ. არც ლარსულ შიშს შეუვწყურვიარ და არც ქანცი გამწყვეტია, მაგრამ მახსოვს, რაც შენ თვითონ მიბრძანე, როდესაც ნება არ დამრთე, სხვა ნეტარი ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლა,



გარდა ზევსის ასული აფროდიტისი, თუკი ის ჩაერთებებოდა ომში, მემძღლო დამეჭრა ბასრი სპილენძით. ახლა სწორედ ამის გამო დავიხიე უკან და სხვა აქაველებსაც ვუბრძანე, აქ მოგვეყარა თავი ყველას, რადგან გვიცე, რომ ბრძოლას არესი ხელმძღვანელობდა.“

მას მიუბრუნდა მაშინ თვალსხივოსანი ქალღმერთი ათენა: „ტიდევისი ძეო, დიომედეს, ჩემი გულსი გამხარებულო, მეტად ნულად შეგაძინეს სურც არესი და ნურც რომელიმე სხვა უკვდავთაგანი, რადგან მე გყავარ მფარველად. მიდი, პირველად სწორედ არესზე მიუშვი ერთლიქიანი ცხენები, ახლოს მიდი და თავს დაეცი, არ შეუშინდე დაუოკებელ არესს, ეგ მძინვარე ბორბლიმევედი, პირის გამტეხი, ვინც ჯერ მე და ჰერას გვეპირდებოდა და გვეუბნებოდა, ტროელებს შეებრძოლები და არგოსელებს ამოვუღებე მხარშიო, ახლა კი ტროელებისთვის იბრძვის, საკუთარი სიტყვა კი დაივიწყა.“

ასე ბრძანა და სთენელოსი ჩამოსვა ეტლიდან მინაზე, ხელით შეეხო ისევ და ისიც სწრაფად ჩამოხტა. ავიდა ეტლზე და ღვთაებრივ დიომედესს დაუდგა გვერდით განრისხებული ქალღმერთი, სიმძიმისაგან მძიმე ხმა გამოსცა მუხის ღერძმა, როდესაც მიიღო სასტიკი ქალღმერთი და საუკეთესო ვაჟ-

კაცი. ხელში ჩაიგდო მათრახი და სადასკეები ათენა პალასმა და პირველად სწორედ არესიკეები წარმართა მუხლადი ცხენები. ამ დროს არესი ბუმბერაზ პერიფასს ჰყირდა საჭურველს, ეტოლიელთაგან საუკეთესო ოქსისოსის ბრწყინვალე ვაჟს. მას ძარცვავდა სისხლისმსმელი არესი, ხოლო ათენამ ჰადევრის მუზარადი დაიხურა, რომ არ დაენახა მძლავრ არესს.

როდესაც მოკვდავთმშუსვრელმა არესმა დაინახა ღვთაებრივი დიომედესი, დატოვა ბუმბერაზი პერიფასი იქ, სადაც იწვა, თუმცა მანამდე მოკლა და სულიც ამოართვა, დაიძრა პირდაპირ ცხენთამხედველი დიომედესისკენ. ახლა ისინი ერთმანეთს მიუხელოვდნენ, პირველმა არესმა შეუღლა ცხენების უღლისა და სადავის ზემოდაც სპილენძის შუბით, ეწადა, სული ამოერთვა, მაგრამ ხელი შეახო შუბს თვალსხივოსანმა ქალღმერთმა ათენამ და ააცვილა იგი ეტლს და დარტყმა უსარგებლოდ აქცია. მეორედ უკვე საომარი ყიფინის დიდოსტატი დიომედესი მისწვდა მტერს სპილენძის შუბით, ხოლო პალასმა ათენამ წარმოართო ბოქვენის სიღრმისკენ, სადაც ღმერთს საბრძოლო საჩუკელი ერტყა. იქ მოარტყა, გაუფლითა მშვენიერი ხორცი, უკან ამოგლიჯა შუბი ისევ, ხოლო სპილენძის არესმა დაიღრილა იმოდენა ხმით, რომოდენათიც ცხრა ათასი ან ათი ათასი მეომარი დაიღრიალებდა მძინვარე ბრძოლაში შესვლისას. შიშისგან კანკალი დაანყებინა აქაველებსაც და ტროელებსაც, ისე იღრილა ომით გაუმადლარა არესმა.

როგორც მუქი სევტი, რომელიც ღრუბლისგან წარმოიშვება და ტრიალებს ცხელი დღის შემდეგ, როცა ქარიშხალი ამოვარდება, ასევე მოჩვენა ტიდევის ძე დიომედესს სპილენძის არესი, რომელიც ღრუბლებთან ერთად აიჭრა ფართო ცაში. მალე მიაღწია ღმერთების სამყოფელს ციცაბო ოლიმპოსზე, ჩაბოჯდა კრონოსის ძე ზევსის გვერდით მჭმუნვარე სულით, აჩვენა უკვდავი სისხლი, რომელიც ჭრილობიდან სდიოდა და დამწუხრებულმა ფართოსანი სიტყვით მიმართა:

„მამა ზევსო, არ მრისხანებ, ამ ძალადობის საქმეს რომ უყურებ? მუდამ შემზარავ ტკივილს ვაყენებთ ღმერთები ერთმანეთს ადამიანებისთვის სიხარულის მოსატანად. შენ გემართლებით ყველა, რადგან შენ შეი უგუნური ასული, დამლუპველი, რომელიც მუდამ უკეთურ საქმეებზე ფიქრობს. ყველა სხვა ღმერთი, ვინც კი ვართ ოლიმპოსზე, შენი მორჩილი და დამჯერი ვართ თითოეული. მხოლოდ ამ ერთს ვერასოდეს ვერ აოკებ ვერც სიტყვით და ვერც საქმით, პრიოტი, დაბადებიდანვე მიშვებული გყავს ეს დამლუპველი ბავშვი. ახლა ტიდევის ვაჟს, თავხედ დიომედესს მოუნოდა, რისხვა თავს დაეტება უკვდავი ღმერთებისთვის. ჯერ კვიპროსის დედოფალი დაჭრა მაჯაში პირისპირ ბრძოლისას, შემდეგ შე დამეცა თავს, დემონს მიმსგავსებელი, მაგრამ მე გამოვექეცი სწრაფი ფეხებით, თორემ დიდხანს მომიწევდა გვება და ტანჯვა საზარელი მკვდრების გარემოცვაში ან ცოცხლად, მაგრამ უძლურად დარჩენილს უნდა ამეტანა სპილენძის დარტყმები!“

მას ქვემოდან ამოხვდა და უთხრა ღრუბელთ-

შემკრებმა ზევსმა: „რას მომიჯექი, პირისგამტეხო და რას წუნუნებ? ყველა ოლიმპოსელ ღმერთზე მეტად შენ მძულხარ, რადგან მეუბნები მხოლოდ განხეთქილება, ომები და ბრძოლები გიზიდავს. დედაშენის, აუტანელი და ჯიუტა შერას სული მოგდევს, რომელსაც მე თვითონაც ძლივს ვარჯულებ სიტყვებით. ასე მგონია, ახლააც დედაშენის ხრკების გამო იტანჯები; მაგრამ მეტად ველარ ავიტან, რომ შენს ტკივილს ვუყურო, რადგან ჩემი ნაშეირი ხარ, დედაშენს შენ ჩემგან ჩაესახე. სხვა ღმერთისგან რომ დაბადებულიყავი და ასე დამლუპველი რომ ყოფილიყავი, ურანოსის შვილებსაც კი შენზე მალა დააყენებდნენ“.

ასე თქვა და პაიანს უბრძანა, განეკურნა. ჭრილობას პაიანმა მალაში დაადო ტკივილის დასაამებლად და მოარჩინა, რადგან არ იყო მოკვდავად დაბადებული. როგორც ღლევის ხის წვენი თეთრი რძე შეედდებდა და სწრაფი მორევით სითხე შესქედებდა, სწორედ ასეთი სისწრაფით განეკურნა და უოკებელი არესი. ჰებემ განბანა და უმშვენიერესი სამოსი ჩააცვა. კრონოსის ძის, ზევსის გვერდით დაბრძანდა, ამ პატივით გაამაყებული.

ამასობაში დაიდი ზევსის სასახლეში დაბრუნდნენ არგოსელი შერა და მფარველი ათენა, მას შემდეგ, რაც შეანყვეტინეს კაცთამშუსვრელ არესს თავისი დამლუპველი შრომა.

ბაჰაჰსა სიბოჯა

ჰექტორისა და ანდრომაქეს შეხვედრა

მარტონი დარჩნენ ტროელები, აქაველები და მათი საშინელი საბრძოლო ყიფინა: აქა-იქ ველზე კიდევ ბევრმა შეტაკებამ იფეთვა, ერთმანეთს თავს დედხსნენ მტოქეების სპილენძის შუბებით, სიმოიხისისა და ქსანთოსის ნაკადებს შორის. პირველმა აიას ტელამონის ძემ, აქაველთა ბურჯამ, გაარღვია ტროელთა რაზმები და იმედი მოუტანა მეგობრებს, დაამხო კაცი, ვინც კი საუკეთესო შობილა თრაკიელებში, — დიდი და მძლავრი აკამასი, ევსოროსის ძე. ცხენისძეფანი მუზარადის კოშპი ჩასცა შუბი და შუბლი შეუღლდა, ძვალში შეაღწია სპილენძის ბუნეკმა და წყვდიადმა მოიცვა თვალევი. აქსილოსის მისწვდა საბრძოლო ყიფინის დიდოსტატი დიომედესი, ტევთრასის ძეს, რომელიც სახლობდა კეთილად ნაგებ არისებში, მდიდრულად ცხოვრობდა და ხალხთან მეგობრობდა. გზისპირას ცხოვრობდა და ყველა სტუმარს ხელგაშლილად მასპინძლობდა; მაგრამ არც ერთ მათგანი იქ არ იყო, როდესაც მტერს წააწყდა და ვერაფერი ისხნა განსაცდელისგან: ორივეს ამოხზადა სული დიომედემ, მასაც და კალქსოსისაც, მის მეეტლეს, და ერთად ჩავიდნენ მიწაში.

ევრილოსმა შეინირა დრესოსი და ოფელტიონი და გაეშურა აისუპოსისა და პედასოსისკენ, რომლებიც ოფელტაც მდინარის ნიშვა აბარობენ უფუა უმნიკლო ბუკოლიონს. ბუკოლიონი კი იყო დიდებული ლაომედონის ვაჟი, ყველაზე უფროსი, რომელ-



იც დედამ ფარულად შვა. ფარას მწყემსავდა, სიყვარულით დაუნება ნიმფა, მუცლად ილო მისგან და ორი ტყუპი ვაჟი უშვა. და მათ სულიც ამოხადა, სხეულიც დაუღუნა და აბჯარიც ააცალა მხრებიდან მეკისტევისს ძემ.

ასტილონი კი მოკლა ბრძოლაში უკანდაუხეველმა პოლიპოიტესმა, პერკოტელი პიდიტესი ოდისევმა განგმირა სპილენძის შუბით, ტევეკოსმა კი — ლვთაებრივი არეტაონი. ნესტორის ძე ანტილოქოსმა ელვარე შუბით დასცა აბლეროსი, ხოლო ელ-ატოსი — ხალხთა ბელადმა აგამემონომ; იგი ცხოვრობდა წყალუხვი სანტიოეისის ნაპირზე, მალალ პედასოსში. გაქცეული ფილაკოსი დაიჭირა გმირმა ლეიტოსმა, ხოლო ეერიპილოსმა ბოლო მოუღო მელანთიოსს.

შემდეგ ადრასტოსი საბრძოლო ყიფინის დიდოსტატმა მენელაოსმა ცოცხლად დაიჭირა; რადგან დაფეთებული ცხენები მინდვრად გაიჭრნენ, იალუნის რტოს წამოედნენ და დაღუნეს მოხრილი ეტლის ხელნა, თავად კი გაჭენდნენ ქალაქისკენ, როგორც სხვა დაფეთებულები გარბოდნენ, თავად კი გადმოვარდა ეტლიდან, ბორბალთან პირქვე ჩავარდა მტვერში და იმავნამს თავზე დაადგა ატრევსის ძე მენელაოსი გრძელწრდილიანი შუბით ხელში. ადრასტოსი უშალვე მუხლებზე მოეხვია და შეევედრა: „მარუქე სიცოცხლე, ატრევსის ვაჟო, და ღირსეული გამოსასყიდი მიიღე. მდიდარი მამაჩემის სახლში დიდი საგანძური დევს: სპილენძი, ოქრო თუ კარგად დამუშავებული რკინა, არ დაგამადლიდა მამაჩემი უზომო გამოსასყიდს, თუკი გაიავებდა, რომ ცოცხალი ვარ აქაველთა ხომალდებთან“.

ეს თქვა და შუქრა მენელაოსის მკერდში სული და იგი უკვე აპირებდა, მსახურისთვის ჩაებარებინა, რომ აქაველთა სწრაფ ხომალდებთან წაეყვანა, როდესაც აგამემონონი მოიჭრა სირბილით და მრისხანე დაუყვარა: „გულწივილო მენელაოს, რას ევერები ამ კაცს?! კარგად მოგეცენს საკუთარ სახლში ტროელეები?! ვერავინ გაექცევა ჩვენი ხელიდან უტყუარ დაღუპვას, დედის მუცელში რომ ბავშვია, ისიც კი! ვერავინ გაიქცეს, ერთად დაიღუპოს ყველა ილიონელი, დაუმარხავედ და უპატრონოდ!“

ასე თქვა და სამართლიანი სიტყვით გმირმა ძმას განზრახვა შეაცვლევინა და მანაც ხელი ჰკრა ადრასტოსს, ხოლო მეუფე აგამემონონმა ბოქვებში ჩასცა შუბი, იგი დაეცა, ხოლო ატრევსის ძე ფეხით შესდგა და მკერდიდან ამოგლიჯა იფინის შუბი.

ამასობაში ნესტორმა მალაღი ხმით მოუხმო არგოსელებს: „შეგობრებო, დანაელო გმირებო, არესის მსახურნი! მოკლულების აბჯრის ასაყრელად ჯერ უკნიდან არავინ წამოიწიოს, რომ ხომალდებისკენ გააქანოს ყველაფერი, არა, ჯერ დაეზოცოთ ხალხი, მერე კი წყნარად შეგეძლებათ აპყაროთ აბჯარი მოკლულებს“.

ასე თქვა და აღიძრა თითოეული ძალითა და ვაჟკაცობით. მაშინ არესის რჩეულ აქაველებს ილიონში შეასწრებდნენ შიშით დათრგუნვილი ტროელები, რომ არ წამომდგარიყო და ენეასისა და ჰექტორისათვის არ მიემართა პრიამოსის ძე ჰელენოსს, საუკეთესო ფრინველთმისანს: „ენეას და ჰექტორ, თქვენ გეკივრებათ უმთავრესად ზრუნვა ტროელებსა და ლიკიელებზე, რადგან საუკეთესონი ხართ ბრძოლისა და ბჭობის ყველა საქმეში, აქ დადექით,



ყოველი მხრიდან თავი მოუყარეთ და კარიბჭეებთან დააკავეთ ხალხი, რომ არ გაგვეცეთ, ცოლებს არ ჩაუფრდნენ ხელეგობი და მტერი არ გაახარონ; ხოლო უროდესაც ყველა ფალავგს აღძრავთ საომარად, ჩვენ დანაელებს შევებრძოლებით აქ დარჩენილები, თუნდაც ძალიან გაგვიჭირდეს, აუცილებლობა გვაიძულებს. შენ კი, ჰექტორ, ქალაქს მიამოყვან და დედაჩვენს უთხარი, თავი მოუყაროს ასაკოვან ქალებს ქალაქის ციხესიმაგრეში თვალსხვიოსანი ათენას ტაძართან, გახსნას ვასალებით წმინდა სახლის კარი და პეპლოსი, რომელიც ყველაზე უფრო მომხიბველად და დიდად მიაჩნია, რაც კი სახლში პქეს და რომელიც ყველაზე მეტად უყვარს, დაუდოს მუხლებზე ლამაზკულულებიან ათენას, შეპირდეს თორმეტი ერთწლიანი, სახერდაურტყემლი უშობლის შენერვას ტაძართან, თუკი შეიბრძოლებს ტროლელების ქალაქს, ცოლებსა და ჩვილ ბავშვებს. მას შეუძლია, მოაშოროს წმინდა ილიონს ტიდევსის ვაჟი, ველური შუბოსანი, მისი მთესველი, ყველაზე ძლიერად აქააჩვენებს სპირედ ის მძიმანია. ასე არ შეგვიძინებია აქილევისასაც კი, ხალხთა წინამძღოლისა, რომელზეც ამბობენ, ქალღმერთის შობილიაო; მაგრამ ეს უფრო მეტად მძინვარებს, ვერც ვერავინ შეეჯობრება ვაჟკაცობაში”.

ასე თქვა და ჰექტორმა დაუჯერა ძმას. იმავნამს ეტლიდან შეიარაღებული ჩამოხტა მიწაზე, ორი ბასის შუბის რხევით დაუარა მიელ ლამქარს, ბრძოლისთვის აღძრა და გამოადგომა საომარი გრიალი. მათაც ყოფინა დასცეს და აქაველებს პირისპირ დაუდგნენ. არგოსელებმა უკან დაიხიეს, შეწყვიტეს მკვლელობა, თქვეს, ეტყაო, ვარსკვლავიანი ციდან რომელიღაც უკვდავი ჩამოვიდა ტროლეების დასახმარებლად, ისე გამოცოცხლდნო.

ჰექტორმა კი დიდი ხნით შესხანა ტროლეები: „მამაცო ტროლეო! და სახელგანთქმული მოკვასირებო, ჩემო საყვარელო ხალხო, გახსენეთ დაუოკებელი სიამაცე, სანამ წავალ ილიონში და იქ უხუცეს მრჩეველებსა და ჩვენს მეუღლეებს ვუთხრა, რომ ღმერთებზე ილოცონ და მათ ჰქეატომბეს შეპირდნენ”.

ეს თქვა და წავიდა მუზარადმოვლვარე ჰექტორი. ორივე მხრიდან კოჭას და კისერზე სცემდა ბუნიკიანი ფარის გარეთა ფერსოს შავი ტყავის ბოლოები.

გლავკოსი, ჰიპოლოქოსის ძე და ტიდევსის ძე ერთმანეთს შეხვდნენ არმიებს შორის სივრცეში; ორივე აღძრული იყო ბრძოლისთვის. როდესაც ერთმანეთს მიუახლოვდნენ, პირველმა ბრძანა საომარი ყოფინის დიდოსტატმა დიომედესმა: „ვინ ხარ, ვაჟკაცო, მოკვდავ ადამიანთა შორის? მე ხომ ჯერ არ მინახიათ სახელის მოსახვეჭ ბრძოლაში დღემდე, მაგრამ ახლა ყველასთვის გავისწრავა გამგებლობით, რაკი არ გაურბიხარ ჩემს გრძელჩრდილიან შუბს. უბედურება არიან ისინი, ვისი შვილებიც ჩემს მძინვარეებს გადაანყვებიან; მაგრამ თუ უკვდავთავანი ხარ ვინმე და ციდან ხარ ჩამოსული, მე არ შევებრძოლებოდი ზეციურ ღმერთებს, რადგან დრისის ვაჟს, მძლავრ ლიკურგოსს დიდხანს არ უცოცხლავა მს შემდეგ, რაც ზეციურ ღმერთებს შეერივნა. იგი ომელსაც, გამაგებელი, დიონისეს ძიძ-

ებს დაედევნა უწმინდეს ნისაზე, იმათაც ყველას ბაკქოსის ნივთები მიწაზე დაუცვივდათ კაცისმკველური ლიკურგოსის სახრეთი გარეკილებს: შეძრწუნებულმა დიონისოსმა ზღვის ტალღას მისცა თავი, თეტისმა ჩაიკრა უბეში შეშინებული, რადგან ძლიერ აცხაცახებდა კაცის ღრიალი. მაშინ უდარდელად მცხოვრები ღმერთები განურისხდნენ მას და კრონოსის ძემ დაბრძავა იგი. და ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, რადგან ყველა უკვდავ ღმერთს სხულდა იგი. ასე რომ, ნეტარ ღმერთებთან ომი არ მინდა, მაგრამ თუ ვინმე მოკვდავი ხარ და მინის ნაყოფს ჭამ, ახლოს მოდი, რომ სწრაფად გაგავ ზავნი დალუპვის პირას”.

მას უმაღ უპასუხა ჰიპოლოქოსის ბრწყინვალე ვაჟმა: ტიდევსის დიდგლოვანო ძეო, რატომ მეციბთები მომდგამზე? როგორცაა ფოთლითა მიდგება, ისეთივეა ადამიანებისაც. ქარი გაიფენს ფოთლებს მიწაზე, მაგრამ ტყე ისევ შეიფოთლება, როგორც კი გაზაფხულის დრო მოვა. ასე იბადება კაცთა ახალი თაობაც და ძველი კვდება. თუკი გსურს, გეტყვი, რომ კარგად გაიგო ჩვენი მოდგმის ამბავი, თუმცა ეს ბევრმა ისედაც იცის; საძივარძრავალი არგოსის მყუდრო ადგოლას არის ქალაქი ფიჯია; იქ ცხოვრობდა სისოფოსი, კაცთაგან ყველაზე საზრუნო, სისოფოსი, ეოლოსის ძე, რომელმაც შვა ვაჟი გლავკოსი, ხოლო გლავკოსმა შვა სახელოვანი ბელეროფონტესი, რადამელსაც ღმერთებმა უბოძეს სილამაზე და მომავალმეტელი სიამაცე; მაგრამ პროიტოსმა სთავა ჩაიდო გულში, და თავისი მიწიდან გააძევა, — ბევრად უფრო მძლავრი იყო არგოსში, რადგან ზევსმა თავისი კვერთხით გაამარჯვებინა.

პროიტოსის მეუღლე, ლეოთარეოი ანტიკა აღიძრა ბელეროფონტესისადმი ვნებით და მოინდომა, საიდუმლოდ გაეზიარებინა სარეცელი, მაგრამ ვერ აცდუნა პატიოსანი ვაჟკაცი. მაშინ სიცრუეს მიმარდა ქალმა და მეფე პროიტოსის უთხრა: „მოკვდა, პროიტოს, ან მოკალი ბელეროფონტესი, რომელმაც ჩემი ძალადობით დაუფლება განიზრახა”.

ასე თქვა და ამის გამგონე მბრძანებელი რისხვამ შეიპყრო, მაგრამ მოკვლას მოერიდა, რადგან გული ეთანადრებოდა; ლიკიაში გაგზავნა და სასიკვდილო ნიშნები ვაატანა, დასაკვეც ფირფიტაზე დაწერა ბვერი საშინელი ნიშანი და უთხრა, მისი ეს ფირფიტა სიამამისთვის ექნებინა, რომ ასე დაეღლუა. ისიც წავიდა ლიკიაში ღმერთების ბრწყინვალე ამაღის თანხლებით. როდესაც მიადგა ლიკიას და ქსანთოსის ნაკად, დიდი პატივით მიიღო ვრცელი ლიკიის მბრძანებელმა. ცხრა დღე მასპინძლობდა და ცხრა ხარი დაუკლა, მაგრამ როდესაც მეთავე დღეს გაამონდა ვარდისფერითიანი ეოსი, გამოჭიკა და სთხოვა, ექნებინა ნიშნები, რომელიც სიძემ, პროიტოსმა გამოატანა; ხოლო როდესაც სტუმარმა გადასცა სიძის ცუდი ნიშანი, ჯერ გაგზავნა და უბრძანა, მოეკლა უძლეველი ქიშკრი, რომელიც ღმერთების მოდგმისა იყო და არა ადამიანებისა. წინიდან ლომი, უკნიდან დრაკონი, შუაში კი თხა, სუნთქავდა საზარელი მწველი ცეცხლის ალით; იგი მოკლა ღმერთების ნიშნებს მინდობლმა. მეორედ სახელგანთქმულ სოლიმებს შეებრძოლა. ასე თქვა, კაცებთან ამაზე უფრო მძიმე ბრძო-

ლაში არც შევსულვარო; მესამედ კი დახოცა კაცი-სმაგვარი ამორძალები. უკან მობრუნებულს ახალი სასიკვდილო მახე დაუფო მეოცე: ვრცელი ლიკის საუკეთესო ვაჟკაცები ჩაუსაფრა, მაგრამ ისინი მინ ვერასოდეს ვეღარ დაბრუნდნენ, რადგან ყველა დახოცა უზადო ბელეროფონტესმა. მაშინ კი მიხვდა მეფე, რომ იგი სახელგანთქმული ღვთაებრივი წარმომავლობისა იყო, თავისთან დაიტოვა, ქალიშვილის ხელს შეჰპირდა და მთელი სამეფო პატივის ნახევარი უბოძა. და ლიკიელებმა გამოუყვეს მას მინის ნაკვეთი, რომელიც ყველა ეგვალმეტბოდა, საუკეთესო მინა ბაღებისა და საძოვრებისათვის. მეუღლემ სამი შვილი უშვა მამაც ბელეროფონტესს: ისანდროსი, ჰიპოლოქოსი და ლაოდამეია. ლაოდამეიას შვიტორი ბრძენი ზევის და მანაც შვა საბრძენის-მუზარადინი ღვთისდარი სარპედონი; მაგრამ შემდგომში ბელეროფონტესიც საძულველი გახდა ყველა ღმერთისათვის, იგი მარტო დახეტიალობდა ალეიოსის ველზე, სულიერად იტანჯებოდა და გაურბოდა ადამიანთა ნაკვალევს. ომით გაუმძაღრმა არესმა ვაჟი ისანდროსი მოუკლა სახელგანთქმულ სოლიმებთან ბრძოლაში, ხოლო ოქროს სადავეებიანმა გენარსებულმა არტემისმა ქალიშვილი მოუსპო. ჰიპოლოქოსმა კი მე მშვა და ვამაყო, რომ მიხვან ვიშვი, მან გამომეზაგნა ტროაში და დამაეაღა, ყვოფილიყავი ყველაზე უკეთესი და მამაცი, არ შემეგრცხვინა ნინაპართა მოდელს — უდღესი ხალხი ფიერესა და ვრცელ ლიკიაში. ასეთია ჩემი წარმომავლობა და ამ სისხლით ვამაყო მე”.

ახე თქვა და გახიზრა საომარი ყიფინის დიდოსტატამა დიომედესმა. შუბი ჩაარჭო მრავალთა გამოკევე მინაში და ტკბილი სიტყვით მიმართა ხალხთა მწყევს: „ჩვენი მამების დროინდელი სტუმარი ყოფილხარ ჩემთვის! ოდესღაც ღვთაებრივი ოინვესი ხომ სახელგანთქმულ ბელეროფონტესს თავის სასახლეში ოცი დღე გაუმასპინძლდა; შემდეგ ერთმანეთს მეგობრულად გაუცვალეს საუკეთესო საჩუქრები. ოინვესმა სტუმარს მოუძგნა ბრწყინვალე ნითელი სარტყელი, ბელეროფონტესმა კი ოქროს ორმაგი თასი, რომელიც ჯერაც ჩემს სახლში იყო, მე რომ ნამოვედი. ტიდევისი კი არ მასოსვს, რადგან ჩილი ბავჭი ვიყავი, როცა დამტოვა და თევე ამოწყდნენ აქაველი ვაჟკაცები. ახე რომ, ახლა შენი მეგობარი და მასპინძელი ვარ არგოსში, შენ კი ლიკიაში იქნები ჩემი მასპინძელი, თუ შენთან ჩამოვედი. ერთმანეთს ავარიერთი შუბები, თუნდაც ხელონართულ ბრძოლაში შევხვდეთ, უამრავი ტროელი და სახელგანთქმული მოკავშირე მყავს მოსაკლავი, თუკი ღმერთმა მომცა და მივალნი, ასევე უამრავი აქაველი გყავს დასახოცი, თუკი შეძლებ. აღჭურვილობა ერთმანეთს ვაუცვალავთ, რომ ყველამ იცოდეს — ჩვენი ნინაპრებიდან დანყებული მეგობრები ვართ ჩვენ”.

ახე თქვეს და ეტილდა ჩამოხტა ორივე, ხელები ჩაავლეს ერთმანეთს და ძმობა შეჰფიცეს. და აქ გლავკოსს კრონოსის ძემ გონება დაუბნიდა და მან ტიდევისის ძე დიომედეს ოქროს საჭურველი მისცა, სილენისის სანაცვლოდ, ასი ხარის საფასურისა — ცხრა ხარის ფასის ნაცვლოდ.

შექტორი მივიდა სკაიას კარიბჭესთან და მუხა-

სთან. მას დაეხვივნენ ტროელი მეუღლეები და მათი ქალიშვილები, ეკითხებოდნენ შვილებზე, ძმებზე, მეზობლებზე და ქმრებზე; მან კი ურჩია ღმერთებისთვის ელოცათ, ყველასთვის, მიყოლებით, რადგან უამრავი ადამიანი ნუხილს ჰყავდა შეჰყრობილი. ამის შემდეგ იგი მიადგა პრიამოსის თლილი ქვით ნაცვებ დერეფონთან უმწეინერეს სასახლეს, რომელშიც განლაგებული იყო ასევე თლილი ქვის ორმოცდაათი საძინებელი, გვერდიგვერდ განლაგებული, — აქ პრიამოსის ვაჟებს ეძინათ თავიანთ კანონიერ მეუღლეებთან, იმავე შიდა ეზოს მოპირდაპირე მხარეს ქალიშვილებისათვის ჰქონდა თლილი ქვის თორმეტი საძინებელი, გვერდიგვერდ განლაგებული, აქ პრიამოსის სიძეებს ეძინათ თავიანთ მორცხვ მეუღლეებთან; აქ შეხვდა შექტროს სულგრძელი დედა, მის ქალიშვილებთან უმწეინერეს ლაოდამეიასთან ერთად. ხელი ჩავლო, სახელით იხმო და უთხრა: „შვილო, რამ მოგიყვანა, რამ მივატოვებინა სასტკი ომი? ალბათ, აქაველთა საძულველმა შვილებმა შეგამოხრთოვეს და ქალაქის გალავანთან მოვიკიმწყდეი! შენ კი აქ გამოგინია გულმა, ციხესიმაგრეში, რომ ზევისკენ აღმართო სალოცავად ხელები! მომიცადე და მოგიტან თაფლივით ტკბილ ღვინოს, რომ უაუქციო ზედაშე მახე ზევისა და სხვა უკვადევებს ჯერ, შემდეგ კი თავადაც შესვა და მომადრდე. გადაღლილი კაცს ძალას უბრუნებს ღვინო, შენ კი დაქადაცული იქნები თანამოქალაქეების დაცვით”.

მას უმაღ უმასხა ელეგარე მუზარადინამა დიდმა ჰექტორმა: „არ მომიტანო ტკბილი ღვინო, დედა ბატონო, არ დამაკლოს ვაჟკაცობა და არ შემომციროს ძალა. განუბანელი ხელით ვერც გავებდავ, შუშუნა ღვინო დავუღვარო ზევისს, ენის არ არის, კრონოსის შაეღრუბლიან ძეს, სისხლით და ჭუჭყით მოთხვირლმა, ლოცვით მივმართო; შენ კი ახლა ნადავლის დამეპყრობი ათენას ტაძარში შესანირავით უნდა მიხვიდე, ერთად თაემყრილი დედაბრძების თანხლებით. ყველაზე ლამაზი და დიდებული პეპლოსი, რაც სასახლეში გავს და ყველაზე უფრო გიყვარს, სწორედ ის დაუღე მუხლებზე ლამაზთმთან ათენას და შეჰპირდი, რომ თორმეტ ხარს შესანირავ ტაძარში, თორმეტ ერთლიან და უღელდაუდგემელ უშობელს, რომ შეიწყალოს ქალაქი, ტროელთა მეუღლეები და ჩვილი ბავშვები, რომ მოაცილოს ტიდევისის ძე მინიდა ილიონს, ეს ველორ შუბოსანი, ეს სასტიკი მრჩეველი გაქცევისა. ახლა შენ ნადავლის დამეპყრობი ათენას ტაძარში ნადი, მე კი პარისს ენახავ, რომ ვუბრძანო, თუკი ყურს დამიგდებ. დაე, აქვე შთანთქას მინამ, რადგან ეს დიდი უმადურება გავიზარდა ოლიმპოსელმა ტროელებს, დიდგულოვან პრიამოსსა და მის შვილებს. ნეტავ მანახვა, როგორ გაემუღება პადებისკენ! — მაშინ ვიტყვი, რომ ჩემმა გულმა უსხიარული უბედურება დაიფიყა.

ახე თქვა, ხოლო ჰექაბე შევიდა დარბაზში და მოახლეებს დაავალა, რომ თავი მოეყარათ მიელი ქალაქის დედაბრძებისთვის. თავად კი ჩავიდა საგანძურის თაღოვან ოთახში, იქ იყო უამრავი სხვადასხვანარი პეპლოსი, სიდონელი ქალების ნახელავი, რომლებიც თავად ღვინოსდარმა ალექსანდროსმა ჩამოიღესა სიდონიდან, როდესაც ვრცელი ზღვა გადმოცურა და მაღალი წარმომავლობის ჰელიენი

ჩამოიყვანა. ჰეკაბემ ერთ-ერთი შეარჩია და ათენ-ას წაუღო, ეს იყო დიდებული და ულამაზესი პეპლონი თავისი ნაქარგებით, იგი ვარსკვლავით ბრწყინავდა და ყველაზე ქვემოთ იდო. ეს პეპლონი აიღო და წავიდა, მრავალი დედაბერი კი აჩქარებულნი გაჰყვა უკან.

როდესაც ისინი მივიდნენ ციხესიმაგრეში, ათენას ტაძარში, მათ კარი გაუღო ლამაზლანგებიანმა თეანომ, კისევის ასულმა, ცხენების მხედელი ანტენორის მეუღლემ, იგი დასვეს ტროელებმა ათენას ქურუმად. ქალებმა ხელები გაიშვირეს ათენასკენ და შეჰლაღადეს, ლამაზლანგებიანმა თეანომ აიღო პეპლონი, ლამაზთმანი ათენას მუხლებზე დაუდო და ლოცვით მიმართა დიდი ზევსის ასულს: „დიდოფალი ათენა, ქალაქის მფარველო, ღვთაებრივი ქალღმერთო, დაუღწე შეუბი დიომედესს და თვითონაც დაამხე პირჩალმა სკაიას კარიბჭის წინ, ჩვენ კი ტაძარში ახლა თორმეტ ხარს შემოგწირავთ, ერთნაირს და უღელდაღებულს, თუკი შეიბრალბე ქალაქს, ტროელთა ცოლგმას და ჩვილ ბავშვებს“.

ასე ამბობდნენ ლოცვაში, მაგრამ არ მიიღო ეს ლოცვა ათენამ.

სანამ ქალები დიდი ზევსის ასულს ევედრებოდნენ, ჰექტორი მივიდა ალექსანდროსის მშვენიერ სახლში, რომელიც მას აუგია საუკეთესო ხუროთმოძღვრების ხელით, ვინც კი მოიძებნებოდა ნაყოფიერ ტროაში, მათ აუგეს საძინებელი, დარბაზი და შიდა ეზო პრამოსისა და ჰექტორის სასახლეების გვერდით ქალაქის ციხესიმაგრეში. იქ შევიდა ზევსის საყვარელი ჰექტორი, ხელში ეჭირა თერთმეტი წყურთის სიგრიძის შუბი და მის წინ ეღვარებდა შუბის სპილენძის წვერი, რომელსაც შემორტყმული ჰქონდა ოქროს ბეჭედი.

პარისი იბოვა საძინებელში, ფუსფუსებდა თავის მშვენიერ ალჭურვილობასთან, ფართან და აბჯართან, მოხრილ მშვილდს სინჯავდა. არგოსელი ჰელენე ტყვე ქალებთან ერთად იჯდა და მათს სახელგანთქმულ ხელსაქმეს წარმართავდა. ჰექტორმა მის

მხერა დაიჭირა და გამკიცხავი სიტყვით მიმართა: „საკოდავო! ამაოდ ჩავიდევს გულში ეგ ბრაზი! ხალხი იხოცება ქალაქისა და მალალი გალავნის ირგვლივ ბრძოლაში; შენ გამაო ეს საბრძოლო ყიფინა და ომი, რომელიც გაჩაღებულია ქალაქთან! შენ თავადაც გაკიცხავდი სხვას, თუ დაინახავდი, რომ გაურბოდა საძულველ ომს; მაგრამ ახლა იჩქარე, სანამ ქალაქს ცეცხლი გადაუგვადვს.“

მას უპასუხა ღვთისდარმა ალექსანდროსმა: „ჰექტორ, სწორიც ხარ ჩემს გაკიცხვამი და სამართლიანიც, მაგრამ მაინც გეტყვი, შენ კი დაფიქრდი და მომისმინე. ტროელებზე ბრახისა და აღშოთების გამო კი არ ვიჯექი ოთახში, არამედ მსურდა, სვედას მიეცემოდი. ახლა კი დამიყოლია მეუღლემ ალექსანინი სიტყვით და საომრად აღძპრა, თავადაც ვგრძნობ, რომ ასე აჯობებს — გამარჯვება ხომ ხელიდან ხელში გადადის; მაგრამ, თუ შეგიძლია, დამიცი, სანამ არესის საჭურველს ავისხამ ან წაიდა მეც მოგყვები, მგონი, დაგენევი კიდევ“.

ასე თქვა და არაფერი უთხრა მუზარადმოელვარე ჰექტორმა. მას კი მიმართა ჰელენემ ტკბილი სიტყვით: „ჩემო მაზლო, მაგნე და ყველასთვის საძულველი ძუქნის მაზლო! ნეტავ იმ დღეს, როდესაც დედაც მშობა, ამოვარდნილიყო ბოროტი ქარიშხალი და გავეტაცე მას მთისკენ ან მოგრიალე ზღვის ტალღებისკენ, სადაც წყალი დამთქავდა და ეს ამბები აღარ მოხებოდა; მაგრამ რაკი ეს უბედურება დაატრიალეს ღმერთებმა, მაშინ დაე, ვიყო ცოლი იმ საუკეთესო ვაჟკაცისა, რომელიც იგრძნობდა, რომ თავი არ უნდა შეირცხვინოს მრავალი ადამიანის წინაშე და მათი გულისწყრომა არ უნდა გამოინვიოს; მაგრამ ეს კაცის გრძობა და მომავალშიც ასეთი დარჩება და ამიტომაც მგონია, რომ ერთხელაც საკადრისი მიეზღვევა. ახლა კი მობრძანდი, ჩემო მაზლო, დაბრძანდი ამ სავარძელში, რადგან ყველაზე მეტი გარჯა შენს სულს ანვალბს ჩემისთანა ძუქნისა და ალექსანდროსის სიგიჟის გამო. აი, ასეთი ხვედრი გვარგუნა ზევსმა და ამიტომ მომავალი თაობებისთვის სიმღერების სავანად დაერჩები“.

მას შემდეგ უპასუხა მუზარადმოელვარე დიდმა ჰექტორმა: „ვერ დავჯდები, ჰელენე, ვიცი, რომ ნრფელად მეუბნები, მაგრამ მაინც ვერ დავჯდები, რადგან გული უკვე მიმინევს ტროელების დასახმარებლად, ისინი უკვე დარდობენ, მათთან რომ არ ვარ. შენ კი ეს კაცი აღძარი, თვითონაც აჩქარდეს, რომ, ვერ კიდევ ქალაქში მყოფს, დამენოს. მე კი სახლში შევივლი, რათა ვნახო შინაურები — საყვარელი ცოლი და ჩვილი ვაჟი, რადგან არც ვიცი, შევძლებ, კიდევ დაუბრუნდე მათ, თუ ღმერთები დამლუპავენ დანაელების ხელით“.



ასე თქვა და წავიდა მუზარადმოვლვარე ჰექტორი; სწრაფად მიაშურა თავის კეთილნაგებ სასახლეს, მაგრამ ვერ იპოვა დარბაზში თეთრხელებიანი ანდრომაქე, იგი ბავშვთან და ლამაზკაბიან მსახურთან ერთად კოშკზე იდგა მტირალი და მოქვითინე. ჰექტორმა სახლში რომ ვერ ნახა სწორუპოვარი მეუღლე, სვლა შეაჩერა და მსახურებს უთხრა: „აბა, სიმართლე მითხარით, მოახლეთ, სად წავიდა თეთრხელებიანი ანდრომაქე სასახლიდან? ჩემს რომელიმე დასთან თუ ლამაზკაბიან რძალთან? თუ სხვა ლამაზთმიან ტროელ ქალებთან ერთად აეთენას მიაკითხა სასტიკი ქალღმერთის გულის მოსაგებად?“

მას სიტყვა უთხრა სწრაფმა მეკუჭნავე ქალმა: „ჰექტორ, რაკი მომიხრდე, სიმართლე ვითხრა, იგი არ არის არც თავის რომელიმე მულთან და არც ლამაზკაბიან რძალთან, არც აეთენასთვის მიუკითხავს, სადაც სხვა ლამაზთმიანი ტროელი ქალები მივიდნენ სასტიკი ქალღმერთის გულის მოსაგებად, არამედ დიდი ილიონის კოშკზე ავიდა, რადგან გაიგოვან, რომ ტროელები დამარცხდნენ და აქაველებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. იგი გალავნისკენ გაიქცა გონებადაკარგულივით, ხოლო ძიძა გაეკიდა ბავშვთან ერთად“.

ასე თქვა მეკუჭნავე ქალმა, სასახლიდან გამოვარდა ჰექტორი და ისევ იმ ზოთი დაბრუნდა კეთილანაგები ქუჩებით. გაიარა დიდი ქალაქი და მიადგა საკაიის კარიბჭეს, რომლის გავლასა და ველზე გასვლას აპირებდა, როდესაც მყოფე მხრიდან სირობლით მოიჭრა მდიდრულმზითვიანი მეუღლე ანდრომაქე, დიდგულოვანი ევტიონის ასული; ევტიონი კი ცხოვრობდა ტყიანი პლაკოსის ძირას, პლაკოსის

ქვემო თებეში, კილიკიელი ხალხის მბრძანებელი. მისი ქალიშვილი მიეცა სპილენძისმუზარადიან ჰექტორს. აქ მოვიდა მისი მეუღლე და მოჰყვა მოახლე, რომელსაც გულში ჰყავდა ჩახუტებული უდარდელი ჩვილი ბავშვი, ჰექტორის ვაჟი, საყვარელი, ლამაზი ვარსკვლავის სადარი. ჰექტორი მას სკამანდრიოს ქდახდა, ხოლო სხვები ასტინაქეს — ქალაქის მობრძანებელს, რადგან მხოლოდ ჰექტორს შეეძლო ილიონის ხსნა. ჰექტორს უთქმელად გაელიმა ბავშვის დანახვისას, ანდრომაქე გვერდით დაუდგა ცრემლის მღვრელი, ხელი ჩასჭიდა, სახელით მიმართა და სიტყვა უთხრა: „უბედურო, ეგ სიმამაცე დაგლუპავს; არ გებრალბოთ არც ჩვილი ბავშვი, არც მე, უბედური, რომელიც მალე შენი ქერივი ვიქნები, რადგან აქაველები მალე ერთად მოიყრიან თავს და მოგკლავენ; ჩემთვის კი უკეთესი იქნება, მინაში ჩავიდე, შენ რომ დაგკარგავ, რადგან არ მექნება სხვა ნუგეში, ბედისწერა რომ მოგწვდება, მე მხოლოდ მწუხარება დამრჩება — არც მამა მყავს და არც ბატონი დედა. მამაჩემი ხომ ღვთაებრივმა აქილევსმა მოკლა, როდესაც კილიკიელთა კარგად დასახლებული ქალაქი მოსპო — მალაკარიბჭიანი თებე. მოკლა ევტიონი, თუმცა აბჯარი არ აჰყარა, პატივი სცა მკვდარს, არამედ დანავა ცხედარი ოსტატურად ნაკეთები ალჭურვილობით. დაადგა ყორღანი საფლავს და ირგვლივ აღმოუცენეს თელის ხეები მთის ნიშფებმა, ეგიდის მპყრობელი ზევსის ასულებმა. შეიღ ძმა მყავდა სასახლეში და შეიდივე ერთ დღეს ჩავიდა ჰადესში, რადგან ყველა განწყვიტა ღვთაებრივმა ფეხმარდმა აქილევსმა მოუხეშავი ხარებივით და თეთრი ცხვრებივით. ხოლო დედაჩემი, ტყა-



ნი პლაკოსის დედოფალი, ტყვედ წაიყვანა და მიეთქვა ქონებაც გაიყოლია, ბოლოს კი, უზარმაზარი გამოსასყიდის საფასურად, გაათავისუფლა, მაგრამ მამისეულ სასახლეში შეინირა მოსარმა არტემისმა. ჰექტორ, შენ ხარ ჩემთვის მამაცა და ბატონი დედაც, ძმაცა და ქაბუკი ქმარიც! შემიბრალო ახლა და დარჩი ამ კომუნზე, ნუ დააბოლებ შეილს და ნუ დააქვრებივლე ცოლს. ხალხი დააყენე ველოური ლევისის ხესთან, იქიდან ყველაზე უფრო იოლია ქალაქზე თავდასხმა და გალავანზე იერიშის მიტანა. სამგზის მოვიდნენ და სამგზის სიკვდილს მათმა საუკეთესო მეომრებმა, ორივე აიასმა და სახელგანთქმულმა იდომენეესმა, ატრეესის ორივე ძემ და ტიდეესის მებრძოლი ვაჟმა. ან ვიღაცამ ურჩია, ნათელმზილველობის კარგად მცოდნემ, ან იქნებ, საუთარმა გამოცდილებამ უკარნახა ასე მოქცევა".

მას უპასუხა მუზარადმოელვარე დიდმა ჰექტორმა: «ჩემო მეულვე, ყველაფერი ეს მეც მანუხებს, მაგრამ საშიშლად შემრცხებოდა ტროელი ვაჟკაცებისა და გრძელკაბიანი ტროელი ქალებისა, ვინმე ლაჩარივით ომს რომ გამოეძკვიოდი. გული არ მიზამდა, რადგან ვაჟკაცობასაც მიეყჩვიე და ტროელებს პირველ რიგებში ბრძოლასაც, მამარემიაც და საკუთარი თავისთვის დიდი სახელის მოსახვეჭად. გულის სიღრმეში კარგად ვიცი, რომ დადგება დღე, როდესაც დაეცემა წმინდა ილიონის, პრიამოსიცა და იფინსუმიანი პრიამოსის ხალხიც; მაგრამ იმდენად ტროელთა ტკივილი არ მიკლავს გულს, არც თავად ჰეკაპესი და მმრძანებელი პრიამოსისა, არც ჩემი მრავალი ვაჟკაცი ძმისა, რომლებსაც საძულველი მტრები მტვერში დაამხოებენ, რამდენდაც შენი, როდესაც რომელიმე სპილენძისსამოსიანი აქაველი აცრემლებულს მოგიტაცებს და თავისუფლები დაღეს ნავართმევს. სამდე, არგოსში, საქსოვ დაზგასთან დაგაყენებს ვილაც უტხე ქალი, მესციისის ან ჰიპერეისს წყაროებიდან წყალს მოგატანებენ, გული მოგიკვდება, მაგრამ სასტიკი ვასაჭირი გაიძულე. ვილაცა დაგინახავს ცრემლისმღვრელს და იტყვის: „ეს იმ ჰექტორის ცილია, რომელიც ბრძოლებში ყველას ალემატებოდა ცხენებისმხედნელ ტროელებს შორის, როდესაც ილიონისთვის ომი იყო“. ასე იტყვის ვილაც, შენთვის კი ეს ახალი ტკივილი იქნება, რადგან იმ კაცის ქვირი იქნები, რომელსაც შექძლო, მონობის დღე აერიდებინა შენთვის; მაგრამ დამე, მოვეკდე და მინამ დამფლას, რომ ტყვედ წაყვანისას შენი კივილი არ გავიგონო!"

ეს თქვა და ბავშვისკენ გაიხედინა ხელში ბრწყინვალე ჰექტორმა, უკან გაიწია ბავშვი და ლამაზსართყლიანი ძიძის მკერდზე ტირილით ჩარგო თავი, გააოგნა საყვარელი მამის იერმა, შეაშინა სპილენძი და ცხენის თვის ჯიბამ, როცა დაინახა, რომ ის შეირხა მუზარადის თავზე. მამინ გაეცინა საყვარელ მამასა და ბატონ დედას, იმავნამს მოიხდა ბრწყინვალე ჰექტორმა მოელვარე მუზარადი და მინახდა დამე; ხელში აიყვანა საყვარელი ვაჟი, აკოცა და ვედრებით უთხრა ზევსსა და სხვა ღმერთებს: „ზევსო და სხვა ღმერთებო, გახადეთ ეს ჩემი შვილი ჩემსათვის გამორჩეული ტროელებში, მიეცი დღიად ძალა და მიძლვარად გააბატონეთ ილიონში! ვილაცას ეთქვას ომიდან მობრუნებულზე, მამაზე ბევრად უკ-

ეთესიო, შინ მოეტანოს მოკლული მტრის სისხლიანი აბჯარი და დედის გული გაეხარებინოს!"

ასე თქვა და საყვარელ ცოლს ხელში გადასცა ბავშვი და მანაც სურნელვან მკერდში ჩაიკრა თვალცრემლიანი ღმილით, ქმარმა ეს დაინახა, შეებრალა, ხელი მოხვია, მოეფერა, სახელით მიმართა და სიტყვა უთხრა: „საბრალეო! ჩემ გამომიღებს ნუ გადაიწურავ, ვადაზე ადრე ვერც ერთი კაცი ვერ ჩამიშვებს ჰადესში, თუმცა ისიც ვიცი, რომ დაბადებულთაგან ვერავინ გაექცევა ბედისწერას, გინდ მხლადი იყოს და გინდ ვაჟკაცი. ახლა შინ დაბრუნდი და შენს საქმეებს მიხედე, ქსოვასა და ქარგვას მიხედე, უბრძანე მოახლებებს, თავიანთი საქმე აკეთე, ომი კი კაცების საზრუნავი იყო, ყველაში, ვინც ილიონში დაბადებულა, განსაკუთრებით კი — ჩემი“.

ეს თქვა და მუზარადი აიღო ბრწყინვალე ჰექტორმა ცხენისძუიანი, საყვარელი ცოლი კი სახლში წავიდა, ხშირად იხედებოდა უკან და ცრემლი უხვავდ და სილიდა. როდესაც სწრაფად მიადგა კაცისმკვლეელი ჰექტორის კეთილნაგებ სასახლეს, იქ მრავალი მხეველი შეხვდა და მისმა დანახვამ ყველა აატირა, მათ ჯვარაც ცოცხალი ჰექტორი დაიტრევის საკუთარი სახლში, რადგან ფიქრობდნენ, რომ ომიდან შინ ვერასოდეს ველარ მობრუნდებოდა, ველარ გაექცეოდა აქველად მძვივნარებასა და ხელგას.

პარისი აღარ დაყვირებულა თავის მაღალ სასახლეში, აისხა სპილენძით განკობილი სახელგანთქმული აბჯარი და გაიჭრა ქალაქის გავლით, თავის სწრაფ ფეხებს მიწლიბოლი. როგორც ცხენი, თავლაში ნადგომი და კარგად ნააბტოვები, სადავებანვეტილი, ველზე ფლოკების ცემით მიქრის უხვწყლიანი მდინარისკენ ჩვეულ ადგილას განსაბანად, ამყავდა მაღლა უჭირავს თავი, ფაფარი მზრებელ ცეცხლა და თავის მუშენიერებს მიწლიბოლი, სწრაფი მუხლებით მიექანება ნაცნობი ადგილებისა და ცხენითა საძოვრებისკენ, ასე პრიამოსის ძე პარისი პერგამოსის სიმალიდან, საჭურველთ მოელვარე და მუსუსათი გაბრწყინებული, ლლად მიქრებულა, მიაქანებდნენ სწრაფი ფეხები. მალე დაინა ღვთაებრივ ჰექტორს, თავის ძმას, როცა ის აპირებდა, მობრუნებულიყო იმ ადგილიდან, სადაც თავის მეუღლეს ესაუბრაო.

პირველად მიმართა ღვთაებრივმა ალექსანდროსმა: „შეკრად დავიგვიანე და გაცდევინე, შევყოვნდი და ვერ მოვედი დროულად, როგორც შენ მიბრძანე!"

მას მიუბრუნდა და უთხრა მუზარადმოელვარე ჰექტორმა: „უცნაურო კაცო! ვერც ერთი ნესიერი კაცი ვერ დაგინუხებს მებრძოლობას, მამაც კაცი ხარ, ოღონდ სულ ფეხს ითრევ და თავს არიდებ ბრძოლას, გული მიკვდება, როცა შენი ცუდი მესმის ტროელებისგან, რომლებსაც ამდენი უბედურება დაატყდათ თავს შენ გამო. ახლა კი ნადგომე: ეს კი შემდეგ მოვავგვაროთ, თუკი ოდესმე ზევის, მარადმემდე ციურ ღმერთებთან ერთად, თავისუფლების სასმისს დაგვადამგვიანებს ჩვენს სასახლეებში, როდესაც ტროიდან მოვიგერიებთ ლამაზსაბარკულიანი აქაველებს.“



განმარტებები:

- 1 აზვარი აჰყარეს — მოკლული მეომრის საჭურველი განმარტებულის საბრძოლო ნადავლის ყველაზე უფრო საპატიო ნაწილს წარმოადგენდა.
- 2 არტემისი — ნადირობის ქალღმერთი, მარადიული ქალწული; ლეტუსა და ზევსის ასული, აპოლონის და. რომაულ მითოლოგიაში მას დიანა შეესატყვივნება. ჰომეროსი მას ასე მოიხსენიებს: „ველური მიწის არტემისი, ნადირთა ღედოვალა“.
- 3 უბედურების სათავე — ხომალდები, რომლებიც პარისი სპარტაში ჩავიდა ელენეს მოსატაცებლად. 4 აიღონესი — საიქიოს ღმერთ ჰადესის სახელის პოეტური ვარიანტი.
- 5 ტროსი — ტროელთა ეპონიმი; ერიქთონის ძე, დარდანოსის შვილიშვილი, ზევსის შთამომავალი, ტროელ მეფეთა წინაპარი; ილოსის, ასარაკოსისა და განიმედესის მამა, პრიამოსის დიდი ბაბუა. მისი სახელი ჰქვია ერთ-ერთ ტროელსაც, რომელიც აქილევსმა გამოასალმა სიცოცხლეს.
- 6 განიმედესი — ტროსისა და კალიროეს ვაჟი; ჰომეროსის მიხედვით, ყველაზე ლამაზი მოკვდავი. იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ ზევსმა მამას ცხენებში გაუცვალა (მითის სხვა ვერსიით, ზევსმა არნივს მოატყავებინა იდის მიდინა, სადაც ცხერებს მწყემსავდა) და თავის მერიქიფედ დაიყენა.
- 7 ლაომედონი — ილოსის ძე, ტროის მეფის, პრიამოსის, მამა.
- 8 ეკიპროსელი ქალღმერთი — აფროდიტე, „ეკიპროსის შობილი“.
- 9 ენო — იმის ქალღმერთი, არესის საყვარელი და თანამებრძოლი.
- 10 ქარისები (ქარიტები) — მომხიბვლელობის, სილამაზის, ბუნების, შემოქმედებისა და ნაყოფიერების სამი ქალღმერთი: აგლაია („სილამაზე“), ფეროსინე („სიხარული“) და თალაია („სიხუბე“), რომაული გრაცები.
- 11 დიონე — ერთ-ერთი ტიტანი; ჰომეროსის მიხედვით, აფროდიტეს დედა. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით კი — ზევსის ძეგლი მეუღლე.
- 12 ამფიტრიონის ვაჟმა — ჰერაკლემ. ამფიტრიონი ალკმენეს ქმარი იყო და, ამდენად, ზევსისა და ალკმენეს ძის, ჰერაკლეს, მამადაც მოიხსენიებოდა.
- 13 პაიანი — მკურნალობის ღმერთი, ღმერთების ექიმი. შემდგომში ეს სახელი და ფუნქცია შეერწყა აპოლონს.
- 14 დაიომონი — ღვთაებრივი სული. ჰომეროსი ახსენებს ღმერთებსა და დაიომონებს, განასხვავებს მათ, მაგრამ, ამავე დროს, თანასწორ ძალებად განიხილავს.
- 15 მრავალსპილენძიანი ცა — ჰომეროსის წარმოდგენით, ცა ლითონის (სპილენძის ან რკინის) ნახევარსფეროა.
- 16 ერისი — განხეთქილების ქალღმერთი, მას უპირისპირდება პარმონია.
- 17 ზორეასი — ჩრდილოეთის ქარი.
- 18 ზევსის შვილი და შვილიშვილი — სარპედონი ზევსის შვილია და ჰერაკლეს ძე ტლეპოლემოსი — შვილიშვილი.
- 19 არ მისცა ცხენები — ტროის მეფე ლაომედონმა, პრიამოსის მამამ, უარი თქვა, გადაეხადა პოსეიდონისა და აპოლონისთვის ილიონის ირგვლივ გაღავ-

- ნის აგების საზღაური; განრისხებულმა პოსეიდონმა ტროას ურჩხული მოუვლინა, რომლისთვისაც ლაომედონის ასული, მქსიონე უნდა შეენირათ. ჰერაკლესმა იკისრა ქალიშვილის გადაარჩენა, მაგრამ სანაცვლოდ ტროის სახელგანთქმული ცხენები მოითხოვა. როდესაც გმირმა მოკლა ურჩხული და დაპირებული ჯილდოსთვის მოვიდა, ლაომედონმა იგი ხელცარილად გააძევა. რამდენიმე წლის შემდეგ ჰერაკლესი დაბრუნდა, აიღო ტროა, ამოხოცა ლაომედონი და მისი შვილები, უმცროსის, პრიამოსის, გარდა, რომელიც ჰესიონემ გამოიწყადა. მას შემდეგ ეწოდება ლაომედონის უმცროს შვილს პრიამოსი ანუ „ნაყიდი“.
- 20 ვორკო — გველისთიანი ურჩხული, ზღვის ღმერთ ფორკისა და მისი დის, კეტოს, ასული. ვადმოცემის მიხედვით, სამწი ყოფილან, თუმცა ჰომეროსი იცნობს მხოლოდ ერთ მათგანს, მედუსა გორგოს.
- 21 ჰორები — ნელინადის დროთა ქალღმერთები, ზევსისა და ფემისის ასულები, ოლიმპოსის მცველები, რომლებიც აღებდნენ და ხურავდნენ მის ღრუბლოვან კარიბჭეს.
- 22 ჰადესის მუზარადი — ბერძნული მითოლოგიის „უწინმაჰინის ქუდი“; ჰადესის სახელი „უხილავს“ ნიშნავს.
- 23 ურანოსის შვილები — ურანოსისა და გაიას ანუ ზეცისა და მიწის შვილები — ტიტანები, რომლებიც ზევსის წინააღმდეგ აჯანყდნენ თავისი ძმის, კრონოსის, დასაცავად. ზევსმა დაამარცხა ტიტანები და ტრანტაროსში დაამწყვდია, დედამიწის პირქუშ სიღრმეებში.
- 24 დიონისე — ყველაზე უმცროსი ოლიმპიელ ღმერთთაგან, მცენარეთა, ვენახის, ღვინის, შთავონებისა და რელიგიური ექსტაზის ღმერთი.
- 25 ბელეროფონტისეც საძულველი გახდა ყველა ღმერთისათვის. — იმისთვის, რომ ქიმორი მოეკლა, ბელეროფონტესმა შეიპოვა და დაიმორჩლა ფოთოლსანი ცხენი პეგასოსი; შემდეგ, პეგასოსის დახმარებით, გმირმა ოლიმპოსზე აფრენა მონიძრომა, მაგრამ ცხენმა ჩამოაგდო და ღმერთებისგან მოძულე ბული ბელეროფონტისეი დიდხანს ხეტიალობდა მიწაზე დაბრმავებული და დაკოჭლებული.
- 26 ჩენი მამების დროინდელი სტუმარი ყოფილხარ ჩემთვის — „შენ ხარ ადამიანი, რომელთანაც სტუმარ-მასპინძლობის წესი (პროქსენია) მაკავშირებს“. უცხოელის სახლში მიღებით, გამასპინძლებითა და საწყურების მიცემით მასპინძელი თვად ღებდა საკუთარი სტუმრის „სტუმარი“ და მის სამშობლოში იმავე პატივს დაიმსახურებს. სტუმარ-მასპინძლობა უდიდეს როლს ასრულებდა უძველეს ეპოქაში, როდესაც უცხოელები სხვა არანაირი სამართლებრივი დაცვით არ სარგებლობდნენ. სტუმარ-მასპინძლობით ნაკისრები მოვალეობა შთამომავლობას გადაეცემოდა: დიომედესისა და გალავოსის პროქსენია ორივე გმირის წინაპრებამდე აღის.
- 27 შექტორი მას სკამანდროსს ეძახდა, ხოლო სხვები ასტიანაქსს — ქალაქის მმბრძანებელს — ტროელები პატარა ბავშვს „სკამანდროსის“ (მცინარე სკამანდროსის ღმერთის საპატივცემულოდ) ვერ უწოდებდნენ, რადგან ეს სახელი, მოქალაქეთა აზრით, გმირ მამას უფრო შეეფერებოდა, თუმცა ისინი ბავშვს არანაკლებ საპატიო სახელით, ასტიანაქსით („ქალაქის ბელადი“) მოიხსენიებდნენ.

ტედ ჰიუმი

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

ქორი ტოტზე

ვზივარ მაღალ კენწეროზე, თვალდახუჭული.
უძრავი. მაგრამ არსადაა ძილის ნასახიც
თხემიდან ვიდრე კლანჭებამდე.
ან ძილშიც სრულყოფ კელასა და ჭამას.

არაფერი შეედრება მაღალ ხეებს!
მზის სხივები, მყარი ჰაერი -
ყველაფერი ჩემთვის ირჯება.
მინაც მუდამ გულაღმაა, რათა ვხედავდე.

მკვრივ ქერქშია ჩასობილი ჩემი კლანჭები.
მთელი სამყაროს გარჯა დაჭირდა
ჩემი ყოველი ბუმბულის და კლანჭების შექმნას.
და ახლა კლანჭებით მიპყრია სამყარო.

ან ავფრინდები და მას ნელა ვატრიალებ.
ეკლავ, სადაც მინდა. სამყარო ჩემია.
არაფერია უსარგებლო ჩემს არსებაში.
ჩემი მოწოდება თავების გლეჯაა.

მე მხოლოდ სიკვდილს ვანაწილებ.
ჩემი ფრენის ერთადერთი მიმართულება
მხოლოდ ცოცხალი არსებების ჩონჩხებზე გადის.
არც მჭირდება ამ უფლების დადასტურება.

მზე ყოველთვის უკანაა.
ყველაფერი ისევაა, როგორც მაშინ, როცა დავინწყე.
ჩემი მზერა არ დაუშვებს არცერთ ცვლილებას.
მე ყველაფერს ასე დავტოვებ.

არ უპასუხო ტელეფონს

პლასტმასის ბუდა გამოსცემს კარატისტის საბრძოლო შედახილს

რაც წინ უსწრებს ხმადაბალ სიტყვებს
და საფლავის ქვის კოსმიურ ქშენას

სიკვდილმა შექმნა ტელეფონი ის სიკვდილის სამსხვერპლო ქვაა
არ გააღმერთო ტელეფონი
ის მიათრევს თავის სამწყსოს უტყუარი საფლავებისკენ
სხვადასხვა ხერხით და სხვადასხვა სიყალბით ხმაში

არც იფიქრო რომ დაგიცავს შენი სახლი ყველა სახლი ტელეფონია
არც იფიქრო რომ მიყვები საკუთარ გზას ყველა გზის ბოლოს ტელეფონია
არც იფიქრო რომ იძინებ ღმერთის მკლავებში შენ გძინავს ყურმილში
არც იფიქრო რომ შენია მომავალი მომავალი ტელეფონია
არც იფიქრო რომ შენია შენი ფიქრი შენი ფიქრი ტელეფონის სათამაშოა
არც იფიქრო რომ დღეები დღეებია ყოველი დღე ქურუმია ტელეფონის სამსხვერპლო ქვასთან
ტელეფონის საიდუმლო პოლიცია

ტელეფონო



განვედ ჩემი ცხოვრებიდან
შენ ცუდი ღმერთი ხარ
სხვის ბალიშში იჩურჩულზე
ალარ ნამოყო გველის თავი ჩემს ოთახში
ალარ დაკბინო კეთილი ხალხი

შენ ხარ პლასტმასის კიბორჩხალა
ან რატომ აქვთ ერთნაირი დასასრული შენს ქადაგებებს?
რამდენია შენი წილი სასაფლაოს შემოსავლიდან?

შენი დუმილიც გესლიანია
მაშინ დუმხარ როცა მჭირდება
დუმხარ შეშლილი წინასწარმეტყველის ბოროტი დუმილით
ვარსკვლავები ჩურჩულებენ შენს სუნთქვაში
სამყაროს ყველა ოკეანის სიცარიელე გიგუბდება მემბრანაში
და ქვესკნელში სულელურად ჩაკიდულან შენი სადენები
შენ ხარ პლასტმასი შენ ხარ ქვა და გატყეხილი საფოსტო ყუთი
არაფერი დაგრა სათქმელი
არც სიმართლე არც ტყუილი მხოლოდ მუნჯი ბოროტება
რაც გიღვიძებს ველურ მადას შეესწრო და ინეტარო ვინმეს დაღუპვით

ჩამუქებული ელექტრული შეერთებები
მათ სიკვდილი გაათეთრებს თავისი კრისტალით
შენ სივდები და იკრუნჩხები
ბუდა ამთქნარებს შენი ყბებით
შენმა კივილმა ჩააღწია სახლის ფესვებში

არ შეეხო ტელეფონის დეტონატორს
უკანასკნელი დღის ხანძარი ამოხეთქავს ყურმილიდან
გადმოვარდება ყურმილიდან უსულო გვამი

არ უპასუხო



ბრძოლა იერუსალიმისთვის

როგორც ჩანს, მკვდარია

შეყინულ ღიმილში ბუდა
გადაშლილ მკვლავებში ქრისტე
თვინიერ შუბლში შუპამედი

მუხლებამდე ჯოჯოხეთში
იდაყვებამდე სამოთხეში
მინისკენ ზურგით

მიაცილებენ
სამუდამო ნეტარებისკენ
მგალობელი ლეგიონები

როგორც ჩანს, ბუზების.

სიცილით

ერთმანეთს შემსკდარი ავტომობილები აფრქვევენ ბავშვებს და ჩემოდნებს - სიცილით
გემი ზღვაში იძირება და ისერის გამოსათხოვარ მამხალას - სიცილით
თვითმფრინავი იწვეს მალლა და ფეთქდება ზენიტში - სიცილით
წაწყვეტილი კიდურები მიფრინავენ ჰაერში - სიცილით
ნიღაბი გდია ბალიშზე და ეგებება ახალ ტკივილს - სიცილით, სიცილით
მეტეორიტი შესასური სიზუსტით ხვდება
საბავშვო ეტლს

ერთად მოხვეტილი თვალები ყურები
ჩასვენებული თმაში
გადახვეული ფეხსანმენდ ნოხში
და შპალერით შეფუთული
სადენებით გააკოჭილი
მხოლოდ კბილები ღრჭიალებენ
და გული ცეკვავს თავის ღია გამოქვაბულში
გაკიდული სიცილის თოკზე

ვიდრე ცრემლი იფეთქებს და კარს შემოანგრევს
კვამლით და გრუხუნით

ვიდრე შიში აკავებს გმინვას
და ჩონჩხი ცდილობს გაექცეს ტანჯვას
რომელსაც ვერსად წაუვა ხორცი


გადადგამს რამდენიმე არეულ ნაბიჯს
და ჩაიშლება ყველას თვალწინ

და სიცილი მის გარშემო აბაკუნებს ორმოცივე მძიმე ფეხსაცმელს
აცოცდება მუხლუხობებს და არც იცის საით მიყვება
შემდეგ ემხოზა ლეიბზე და იგერიებს ჰაერს ნიხლებით

მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობებია.

ბოლოს ბეზრდება ყველაფერი - საკმარისია!
მძიმედ დგება, გამოფიტული,
აუჩქარებლად იკრავს ღილებს,
სვენებ-სვენებით,

როგორც დამნაშავე, რომელსაც დაადგენენ.



მინა - მთვარე

იყო კაცი,
მიუყვებოდა გზას.
მან დაინახა მოგიზგიზე სავსე მთვარე,
რომელიც მისკენ მოგორავდა.
თვალი მოჭრა მისმა სიკამკამემ.
იშიშელა ხმალი
და ჩასცა და ჩასცა და ჩასცა.
ჭრილობებიდან ამომსკდარი მთვარის კივილი
აყრუებდა დედამიწას.
მთვარე ნელა იფუშებოდა,
როგორც გახვეტილი ბურთი.
იფუშებოდა, პატარავებოდა,
და ბოლოს მისგან დარჩა მხოლოდ

აბრეშუმის დაკუჭული ცხვირსახოცის მსგავსი ლაქა,
რომელიც კაცმა აიღო და გზა განაგრძო
უმთვარო ლამეში,
უცნაური ნაალაფართ.

სავსე მთვარე და პატარა ფრინდა

ისედაც მომცრო ცივი ლამე შეიკუმშა ძალის ყეფამდე, ვედროების ჟღარუნამდე -
და შენ უსმენ.

ობობას ქსელი, ნამის ერთი ნვეთისათვის მოქსოვილი.
აილე ვედრო, უძრავი და პირთამდე სავსე -
სარკე, რომელიც მშვიდი ლივლივით ნებისმიერ ვარსკვლავს აცდუნებს.

ძროხები სახლში ბრუნდებიან, მათი სუნთქვის მხურვალე ჭავლი
გაუმჭვირვალე ნამით ავსებს მესრის ღრიჭოებს.
სისხლის ბნელი მდინარეები, რიყის ქვების გორაკები -
სრულ თანხმობაში არდაღვრილ რძესთან.
"მთვარე", შეჰკივლე უცაბედად, "მთვარე, მთვარე!"

მთვარემ უკან დაიხია, როგორც მხატვარმა, რომელიც, გაოგნებული, უყურებს
საკუთარ ნახატს, რომელიც, გაოგნებული, უყურებს.



სიცოცხლე ცდილობს იყოს სიცოცხლე

სიკვდილიც ცდილობს იყოს სიცოცხლე.
სვერმაში მოკალათებული, როგორც ბებერი მეზღვაური,
ყვება საზარელ ისტორიებს.

სიკვდილი კნავის საბნიდან - გესმის?
სიკვდილი ცდილობს ითამაშოს თოჯინებით, მაგრამ გულს ვერ უდებს.
სიკვდილს ანუხებს ანთებული ღამის ნათურა, მაგრამ ვერ აქრობს.
სიკვდილს აცმევინ ბამბაზის თბილ პიჟამოს, როცა სიცხე აქვს.
ის თვალს ადევნებს უფროსების ბაგეებს და სწავლობს ლაპარაკს.
მას არ ესმის თავისი ხმა, როცა იცინის.

ის აკვირდება ადამიანებს.
 ზოგიერთის სახის კანი მთვარეს აგონებს.
 ბალახების სიმალე და განლაგება იგივეა, რაც იყო გუშინ.
 ის აკვირდება თავის თითებს და ესმის: "ბავშვი!"

სიკვდილი ელფია,
 რომლებიც მშობლებს შეაპარეს მოცატებული ბავშვის ნაცვლად.
 მას დაათრევენ, როგორც თოჯინას, სასაფლაოზე მოთამაშე გოგონები,
 ვიდრე დედები მიცვალბულს ეთხოვებიან.
 სიკვდილი ელის, გახდეს სიცოცხლე. მაგრამ უძლურია.

მისტირის სიცოცხლეს,
 როგორც დედას, რომელიც არ ახსოვს.

ის თვალს ხუჭავს და ჩურჩულებს, "სიკვდილი, სიკვდილი".
 თითქოს ერთმანეთს უხახუნებს "სიკვდილს" და "სიკვდილს",
 რათა სიცოცხლის ნაპერწკალი დააცდენინოს -

როგორც ყვირილი ამოსკდება სიხარულიდან,
 როგორც ქუხილს დასცდება მეხი,
 რომელიც მუხას გამოზუგავს.
 ის კი არის მხოლოდ სიკვდილი
 ირლანდიური ირმის რქაში. მხოლოდ სიკვდილი
 პირველყოფილი ქალის ჩონჩხში. და ბოლომდე ესეც არ არის -

ვიდრე სიცოცხლის საფლავის ბორცვზე
 აღიმართება მისი გლოვის ნიშანსვეტი -
 ზვიგენის ეშვი.

ხომალდი

მოერიდე ხომალდს, მოერიდე.
 ან აუშვი მხოლოდ სული. ისიც ჩუმად, ფეხისწვერებზე.
 ფეხები პოლიეთილენით გადაიკოჭე.
 არ ჩააყოლო მხოლოდ შიში, მხოლოდ თითები.
 დაივიწყე პირიც, ფილტვებიც, თორემ მიხვდები, რასაც ვგულისხმობ.
 თორემ უთუოდ მიგავლენენ
 ჭიკვლელების ქვეყანაში.

მოერიდე ხომალდს, ის ციხეა.
 იქ ტუსალები ელიან განაჩენს.
 ტუსალებისთვის ბოროტია ყველაფერი, ფიფქიც, გალაქტიკაც.
 ცრემლს ვერ ხედავ, ოხერა არ გესმის.
 არ იმეორე, თორემ ქვემოთ გაიგონებენ
 და ყვირილს გამოიყენებენ, როგორც სამხილს, შენს ნინააღმდეგ -
 ბორტის მიღმა მოისვრიან
 შენს სამოსს და ფოტოსურათებს.

ამიტომ ხომალდს მოერიდე -
 ეს სიკვდილის ხომალდია. მისი ტვირთიც,
 ეკიპაჟიც - უხილავი დემონებია
 და მათ არ აქვთ სხვა მარყუჟი იმედების მოსათოკად
 გარდა კიბოს მარნუხისა შენს თირკმელებში.
 მეპატრონის ერთგული ბანდა დაღლილა და გაავებულა
 სიცოცხლესა და სიკვდილს შორის უსასრულო გადაცურვებით.

აი, ჭარმაგი ქალბატონი ლამაზი თავით,
 რომელიც თითქოს ეს-ესაა გადმოსულა
 დეზინტერის სარეკლამო პლაკატიდან "სისუფთავე აზიურ ქვეყნებს!"



ცხვრის კანჭებივით დამდნარ ხელებს ასავსავებს და ცდილობს, რაღაც დაუმტკიცოს სიკვდილის ანგელოზს, რომელიც მყუდროდ მოკალათდა მისი საბნის ქვეშ და შეუდგა ქალის ჭამას, და თან უსმენს მის საუბარს, არ აწყვეტინებს.

ნუ ახდი საბანს.

დაკვირდი ამ სახეებს, რუდუნებით დავარცხნილ თავებს, რომლებიც, როგორც სურათები ჩარჩოებიდან, ბალიშებიდან აპყურებენ მდუმარე მნახველებს. ეს კოსმიური ხომალდია, უცხო განზომილებიდან შემოღწეული ჩვენს სამყაროში: სამყაროში ქვისა და რკინის, დროისა და მკვდარი სიტყვების.

და დატოვე ხომალდი, დატოვე.

შეცდომების ბოლო ტვირთი ხომალდს გაჰყვება.


უიღბლობის ბოლო შხეფი

მოგინათებს, რომ მიხვიდე კბილის ჯაგრისთან.

და დაიმალე.

თორემ ნერვებით სავსე ტომრიდან, აკივლებულს, ამოგათრევენ

და ეკიპაჟის სამოთხეში დავაბრუნებენ.



ადამიანის ნაშიერის სევდიანი ისტორია

ცხოვრობდა ქალწული ქალწული ქალწული,

ქალწული - დაცემა.

გახდი ჩემი საცოლე, ვოხრავდი, ვქვითინებდი, სიკვდილს ენატრობდი.

მან კი მიპასუხა, და რა მიპასუხა?

“მომეცი შენი ცხვირი, დაეკოცნი”, ასე მიპასუხა, “ხომ უნდა გავერიგდეთ”.

მე ავიხლიჩე ცხვირი და მივეცი,

მან ჩემი ცხვირი თავის ლეკვს აჭამა.

ქალბატონო, კმაყოფილი ხარ?

"ახლა მომეცი შენი ყურები, რათა მათში ვიქვითინო ღამღამობით და არა ბალიშში, და არა სანოღში, როცა არავის ესმის ხოლმე ჩემი ქვითინი".
მოვიჭერი და მივეცი ჩემი ყურები,
მან ჩემი ყურები თავის ლეკვს აჭამა.


"ახლა მომეცი შენი ფეხები, რათა ჩემგან აღარასდროს წაგიყვანონ, ჩემო ძვირფასო".
და ნავიჭერი ჩემი ფეხები, მან ისინიც ლეკვს მიუყარა.

ქალბატონო, ბედნიერი ხარ?

"ახლა მომეცი შენი გული, შენი გული, შენი გული, მინდა ხელში დავიჭირო, თუკი ჩემია".
მე გავიხლიჩე ორ ნაწილად და ნახევარი მას მივეცი,
მან ეს ნახევარიც თავის ლეკვს აჭამა.

ქალბატონო, კმაყოფილი ხარ?

"ახლა მომეცი შენი ღვიძლი, თორემ დაგტოვებ.
და მომეცი შენი ენა, შენი ენა, შენი ენა,
რათა სხვებთან არ იჩურჩულოს.
მომეცი ოხვრით დაბერილი შენი ფილტვები" -
სიყვარულის ცრემლით თვაღზე, სიყვარულის ცრემლით თვაღზე, ამოვიგლიჯე ჩამოთვლილი
ტკბილეული,
და მან ყველაფერი თავის ლეკვს აჭამა.



ქალბატონო, კმაყოფილი ხარ?

"ახლა მომეცი შენი თვალები, ეღვარე თვალები,
რომლებიც ცრემლებს მასხურებენ, რომლებიც სხვისკენ გაგირბიან.
და მომეცი შენი ტვინი, რომელიც გტანჯავს,
რადგან არ ჯერა ჩემი სიყვარულის, არა, მას არ ჯერა ჩემი სიყვარულის.
და მომეცი შენი ხელებიც, რომ მეფერონ მთელი ღამე, რომ მეფერონ მთელი ღამე, როცა
ჩემგან შორს იქნები,
და გავხდები შენი საცოლე".
დავითხარე ორივე თვალი, თავიდან ტვინი ამოვიგლიჯე, მოვიკვეთე ორივე ხელი,
მან კი ყველაფერი თავის ლეკვს აჭამა.

"არა, მომეცი შენი კანიც, რომელიც გბოჭავს,
ჩამომისხი და შემასვი შენი სისხლი, თუკი ჩემი ხარ.
გაიხადე შენი ხორცი და მაჭამე შენი ძვლები, ჩემო ძვირფასო".
კანი გავიძრე, სისხლში დავალბე, გავახვიე მასში ხორცი, კალათაში ჩავანყე ძვლები და მის
კართან დავდე კალათა,
ის კი აკვილდა:

ლეკვო, ლეკვო!

ქალბატონო, მე ვუთხარი, მართალია, სულიღა დავრჩი, მაგრამ გავიღე ყველაფერი, რაც
მებადა, ახლა გახდი ჩემი საცოლე.
მაგრამ ლეკვი გაიზარდა, იქცა ძალღად, გასიებულ, დონდლო ძუკნად, და ქალი აკვილდა:

"სამაგიეროდ, წაიყვანე ჩემი ძალღი,
ჩვენ კი როგორ ვიქორწინებთ, შენ ხომ სული ხარ.
ჩემი სული კი ეს ძალღია, რომელსაც გჩუქნი -
შენთვის სულიც არ მეშურება".

ქალბატონო, კმაყოფილი ხარ?

ახლა ვცხოვრობ ბებერ ძუკნასთან ახლა ვცხოვრობ გასიებულ ბებერ ძუკნასთან ახლა
ვცხოვრობ აყროლებულ ძუკნასთან ძუკნასთან ცხოვრობდა ქალწული ქალწული ქალწული...

ჯონ ბენვილი

ედვინება ფილიპ ლარკინს¹

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



1.

ხანდაზმულმა ტომას ელიოტმა ერთხელ შენიშნა, ალბათ, დიდი პოეტი არ გახლავართ, რადგან ეპიკური პოემა არ დამინერიაო. "ბებერი ოპოსუმი", რა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა და მოჩვენებითი თავმდაბლობით ნიღბავდა თავის შეხედულებას, თითქოს, ეპიკური პოემა რომ დაენერა, ნამდვილად ტოლს არ დაუდებდა პომეროსს, ვირგილიუსსა და დანტეს. ელიოტის სიტყვები, ერთგვარად, აკნინებს იმ გამოჩენილი პოეტების ღირსებებს, რო-

მლებიც, მისი აზრით, კულტურის დაცემის ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ეჭვგარეშეა, აქ იეიტსი და უოლეს სტივენსი იგულისხმებიან. პროზის ეპოქაში, ამბობდა ელიოტი, თვით საუკეთესო პოეტიც კი ოდენ მცირე მოცულობის ნაწარმოებებს უნდა წერდეს. ყოველივე ამაზე ფილიპ ლარკინი ალბათ მისთვის ჩვეული (ეპისტოლარული გზავნილებიდან) სალანძღავი სიტყვით უპასუხებდა: სერი.

ლარკინს ყველაზე სიტყვაძუნწი პოეტის სახელი ჰქონდა მოპოვებული. თავისი სამწერლო მოღვაწეობის განმავლობაში - 1930-იანი წლების ბოლოდან 1970-იანი წლების ბოლომდე, როდესაც მას მუზა შემოსწყრა და მხოლოდ იშვიათად უნიშნავ-

¹ გამოქვეყნდა The New York Review of Books-ში, 2006 წლის თებერვალს.



და ხანმოკლე პაემნებს - ლარკინმა გამოაქვეყნა ლექსების ხუთი მომცრო კრებული, შუალედებში კი დიდხანს დუმდა. ამ კრებულებს შორის იყო "ნა-კლებად შემცდარი" (1964), "ქორწინებები სამების დღესასწაულზე" (1964) და, ასევე, "მაღალი ფანჯრები" (1974) - როგორც მისი მომწიფებული ხელოვნების კვინტესენცია. იმ სამწახეყარი ათწლეულის განმავლობაში მან, აგრეთვე, დაწერა ორი რომანი - "ჯილი" და "ქალიშვილ ზამთარში", ასევე - მრავალი ესე, მიმოხილვა და რეცენზია, რომლებიც გაერთიანებულ იქნა კრებულებში "ყველაფერი ჯაზის შესახებ" (1970) და "შეკვეთილ დაწერილი თხზულებები" (1983), გარდაცვალების შემდეგ კი - ნიგნში "დამატებითი მოთხოვნები" (2001).

ლარკინი გახლდათ, აგრეთვე, რედაქტორი "მეოცე საუკუნის ინგლისური პოეზიის ოქსფორდის კრებულები" (1973), რომელივეც წარმატებით მუშაობდა შვიდი წლის განმავლობაში - ბიბლიოთეკები უყვარდა და მათ მყუდრო ატმოსფეროში თავს ლადად გრძნობდა. ამ ნივნად დიდი წარმატება მოიპოვა და რედაქტორის მნიშვნელოვანი ჰონორარიც მოუტანა. იმხანად, 1988 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, მისმა მეგობარმა და ანდერძის ამსრულებელმა ენტონი თუიტიტმა ლექსების კრებული გამოსცა. თუიტიტი ბევრმა გააკრიტიკა იმის გამო, რომ ნაწარმოებები ნიგნში ქრონოლოგიური წესით იყო დალაგებული, რასაც ზოგიერთი უწესრიგობად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, ლექსების კრებულმა გააოგნა კითხველი. ვინ იფიქრებდა, რომ ამ კაცს ესოდენ პოეტური სული ჰქონდა?

საქმე ის კი არ იყო, რომ თუიტიტმა აღმოაჩინა პოეტის ახალგაზრდობიდან დაწყებული შთაბრძნობული ლექსები, თუმცა აქ მართლაც ბევრი ამგვარი ნაწარმოები იყო (რედაქტორმა განახორციელა ლარკინის ლექსების "არსებითი სელექცია", კერძოდ, ლარკინის ლექსების პირველი კრებული, *ჩრდილოეთის ხომალდი*, ცალკე ნაწილად გამოყო, ხოლო 1938-45 წლების ადრეული ლექსები კრებულის ბოლოს განათავსა), არამედ ის, რომ ამ კრებულში დაიბეჭდა ლარკინის მრავალი გამოუქვეყნებელი ლექსი - სამოცდაერთი გვიანდელი და ოცდაორი ადრეული ნაწარმოები. მათგან ლარკინს შეეძლო შეედგინა სქელტანიანი ტომი, რომლითაც იამაყებდა ნაკუთარი თავის მიმართ ნაკლებად კრიტიკულად განწყობილი პოეტი. ძნელად მისახედურია ლარკინის მიერ მათი უგულბებლყოფის მიზეზი, მაგრამ, თავისთავად, მათი უგულბებლყოფის ფაქტი მოწმობს, რაოდენ მომთხოვნი და მოუკერძოებელი იყო პოეტი თავისი თავის მიმართ.

თუიტიტს ნინასწარ უნდა განეჭვრიტა კრიტიკული რეაქცია, რომელიც გამოიწვია 1988 წელს გამოცემულმა "ლექსების კრებულმა", რადგან ამ ნიგნის ნინასიტყვაობა ის წერდა: "როდესაც შევარჩიე ამდენი გამოუქვეყნებელი ლექსი (თავდაპირველი მწეფავე) ნაკადიდან ბოლო მონაწილედ ნაკადულამდე, და, აგრეთვე, ისინი, რომლებიც თვით ლარკინმა გამოაქვეყნა, მაგრამ კრებულებში არ შეიტანა, ვხელმძღვანელობდი იმით, რასაც ჩემთვის

უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფილიპ ლარკინის მიერ ავადმყოფობის დროს, 1985 წლის ივლისში (ის ამავე წლის დეკემბერში გარდაიცვალა) დაწერილ ანდერძში მისი სურვილები საკმარისად მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ მან ამ ანდერძის ამსრულებლად, რომელთაგანაც მე ერთ-ერთი ვიყავი, სრული უფლება მისცა, გამოეცათ გამოუქვეყნებელი ხელნაწერები.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ლარკინმა დაავალა თავისი საყვარელ ქალს, მონიკა ჯონსს, გაენადგურებინა მისი დღიურები. მონიკა ტელეფონით დაუკავშირდა ლარკინის მეორე სატრფოს, პოეტის ყოფილ მდივანს - ბეტი მაკერეთს, და დღიურების მოსპობა სთხოვა. თავის მხრივ, ბეტიმ ოცდაათზე მეტი ტომი გამოიტანა ლარკინის ოფისიდან - ბრაინმორ ჯონსის ბიბლიოთეკიდან (ჰალის უნივერსიტეტი) და საგანგებო მექანიზმის მეშვეობით დაანატუნა, რასაც მთელი საღამო დასჭირდა. ლარკინის მიმართ ლოიალურად განწყობილ ბეტის არ უცდია ნინასწარ ნაკითხა დღიურები, სანამ მათი გაანადგურებად, "მაგრამ მაინც შევავლე თვალს პანანინა ნაწილები. საშინელება იყო. ერთლაც არაფრად ვარგოდა".

თავის მომავალ ბიოგრაფს, ენდრიუ მოუშენს ლარკინმა უთხრა: "როდესაც ვხედავ, როგორ უახლოვდება ჩემი სახლის კარს სიკვდილის ანგულოზი, მაშინ, ტომას ჰარდის მსგავსად, ბალის ქვედა ნაწილისკენ მივებართები და ცეცხლს ვუკიდებ ყველა ნაწარმოებს, რომლებიც არ მინდა, რომ ვინმე ნახოს"; მიუხედავად ამისა, კოჭონი არ დაუმთავრა და, მოუშენის თქმით, "რვა ხელნაწერი ტომი მისი ლექსების შავი ხელნაწერებით, აგრეთვე - უამრავი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი და წერილი ხელუხლებლად ეჩყო ლარკინის სახლში, როდესაც ის იქიდან გაასვენეს".

ლარკინს მკაფიოდ არ განუმარტავს, თუ რა ბედი უნდა ანდრეა ამ გადარჩენილ ხელნაწერებს, ხოლო სწავრძის შესაბამისად უწყნებურა საკმაოდ ორაზროვანია. ენდრიუ მოუშენმა - პოეტის ლიტერატურული ანდერძის მეორე ამსრულებელმა (მე-სამე კი მონიკა ჯონსი იყო) - ვითხრა, რომ ადვოკატს სთხოვა, განემარტა ლარკინის სურვილები მისი სიკვდილის შემდეგდროინდელ პუბლიკაციებთან დაკავშირებით. ადვოკატის თქმით, ანდერძი "შე-უსამართლო", ანუ წინააღმდეგობრივი გახლდათ. ამ აღმოჩენამ საშუალება მისცა ანდერძის ამსრულებლებს, გამოექვეყნებინათ ის, რასაც ღირებულად მიიჩნევდნენ და დაყრდნობოდნენ იმ თვალსაზრისს, რომელიც თვით ლარკინმა, როგორც მსხვილი საუნთქორისტოტი ბილიოთეკის დირექტორმა, თავის დროზე გამოთქვა თანამედროვე ხელნაწერების დაცვასთან დაკავშირებით: "გამოუქვეყნებელი თხზულება, დაუმთავრებელი ტექსტი, თვით მშენებლობის კი ნაწარმოების ჩანაფიქრის თაობაზე, ავსებს ჩვენს ცოდნას მწერლის მიზნების შესახებ". ნიშანდობლივად, რომ ჩვენ ლარკინის მუდმივ მერყეობას და, ამასთანავე, მისი, როგორც ბიბლიოთეკარის რუდუნებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მოხერხდა შენარჩუნება მრავალი შესანიშნავი გა-

მოუქვეყნებელი ლექსისა და განსაცვიფრებელი წერილებისა, რომელთა უზარმაზარი ტომი, ანტონი თუეიტის რედაქციით, 1992 წელს გამოქვეყნდა.

1988 წლის ლექსების კრებულის გამო თუეიტი ძირითადად აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და მეცნიერებმა გააკრიტიკეს. 2003 წელს მან გამოსცა ამ კრებულის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელშიც არ შეიტანა ლარკინის ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსი და ახალგაზრდობისდროინდელი ნაწარმოებები. მას არც ქრონოლოგიური მეტოდი გამოუყენებია. მეორე გამოცემის წინასიტყვაში თუეიტი წერდა, რომ წინამორბედმა წიგნმა "ნათლად აჩვენა გამოჩენილი პოეტის შემოქმედებითი განვითარების, გამოცდილების შექმნის, ნაწარმოებების მიმართ შერჩევითი დამოკიდებულების შემუშავების, არარელევანტური მხატვრული სახეებისა და ხერხების უგულვებლყოფის ან მოდულირებისა და მის მიერ ახალი მწვერვალების დაპყრობის სურათი".

ფილიპ ლარკინის ლექსების ეს ახალი გამოცემა (საუბარია 2003 წლის გამოცემაზე), ნაწილობრივ, საგანგებოდ გამიზნული პასუხია რჩევებზე, რომ წიგნში ლექსების თანმიმდევრობა ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ლარკინის ლექსებისა ყოველ მომდევნო წიგნში ("ჩემთვის ეს იგივეა, რაც მიუზიკ-ჰოლის პროგრამა, რომელიც თვალისწინებს მსახიობთა ინდივიდუალობას, განსხვავებას გამოსვლების ხანგრძლივობაში, და შესაბამისად აგებს კომიკოსის, ირლანდიელი ტენორის, ქალიშვილების ცეკვების თანმიმდევრობას")...

ასეთ შემთხვევაში, 2003 წლის ლექსების კრებული უფრო ადრეული წიგნის მაკორექტირე-

ბელი ან ჩამნაცვლებელი გამოცემა კი არაა, არამედ - მისი "შენყვილე". ეს უჩვეულო მიმართებაა და ისმის კითხვა: როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში ლარკინი-ბიბლიოთეკარი. მოენონებოდა თუ დაინუნებდა? შეიძლება თავისი მეგობარისა და მესაიდუმლოსთვის, კინგსლი ემისისთვის ისიც კი მიენერა, ორივე ლექსების კრებული სირობააო.

ლარკინმა თვითონვე შეუქმნა მკითხველებს მცდარი წარმოდგენა, თითქოს მცირერიცხოვანი ნაწარმოებების ავტორი იყო. საზოგადოებას ის წარუდგებოდა ხოლმე ტლანქი, უშუალო ინვალისული კაცის მაცდური ნიღბით, რომელიც დროდადრო, შემთხვევითი გარემოებების კარნახით, გამოსცემდა ნატიფი ლექსების მომცრო კრებულს. მას არ სურდა მონაწილეობა მიეღო ლიტერატურულ ცხოვრებასა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ან საჯარო ლექციები წაეკითხა - "არ მსურს საზოგადოებაში გამოვჩნდე და თავი ისე მოვაჩვენო, თითქმის ეს მე ვარ" - და თითქოს რცხველია პოპულარულობისა, სიმწიფის ჟამს რომ ეწვია. ეს მხოლოდ პოზა როდი გახლდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა პრესა მას განდევილად ხატავდა, ჰალის უნივერსიტეტის ბრაინმორ ჯონსის ბიბლიოთეკაში ლარკინი მარჯვედ და ავტორიტარულად ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან თანამშრომლებს. ამასთან, ეს იყო შინაგანად გაორებული, მღელვარე, თავმოყვარე, გულწაბრობილი, არსებითად, მარტოსული პიროვნება ("ვფიქრობ, ცხოვრება მარტოობაა, რომელსაც დროდადრო ამრავალფეროვნებს საზოგადოება და არა - საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელსაც დროდადრო ამრავალფეროვნებს მარტოობა"); გარდა ამისა, ლარკინი გახლდა-





თმექალთანე მამაკაცი, ერთდროულად - მტაცებელიც და მსხვერპლიც. ის, აგრეთვე, იყო სანდომიანი, კეთილი, თავისებურად ერთგული, მხიარული, ახირებული ცაცი.

შესაძლებელია შევაჯეროთ ეს შეფასებები იმ თვალსაზრისებთან, რომლებიც გამოთქმულია პოეტის მრავალრიცხოვან ნერილებში. ზოგიერთის აზრით, ეს ნერილები უარყოფითად ახასიათებს ლარკინს. რა თქმა უნდა, უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც ის ნერდა თავის ნერილებში, მართლაც გვაცბუნებს, ისე, როგორც უმეტესად ხდება ხოლმე, როდესაც ადრესანტი გულწრფელია. ლარკინის კორესპონდენციაში ასახული თვალსაზრისები პოლიტიკის, რასების, საზოგადოებრივი კლასების შესახებ (განსაკუთრებით - სიცოცხლის ბოლო წლებში) იმდენად ავრესიული და ღვარძლიანია, რომ შეიძლება თმა ყალყზე დაგვიდგეს. ხშირად ისინი კომიკურიცაა და შემზარავიც. ლარკინის უკანასკნელი ბიოგრაფი, რიჩარდ ბრედფორდი გვანვდის ტიპური ნიმუშს იმ მსჯელობებისა, რომლებსაც ლარკინი ნერილებში სთავაზობს თავის მეგობრებს:

1943 წელს მან შენიშნა [კინგსლი] ემისს..., რომ "ყველა ქალი ჩერჩიკია", ხოლო 1983-ს წინმშა, რომ ის ახლად მონიკას [ჯონსონ] საავადმყოფოში "სადაც მხიარული და უმეტარი ექიმები მუშაობენ". ... მისი თვალსაზრისი პოლიტიკისა და საზოგადოების შესახებ, არსებითად, მოცემულია სიმღერაში, რომლის ტექსტსაც ის აცნობს ემისს: "მინდა ვნახო, როგორ შიმშილობენ ევრეთ წოდებული მუშები, რომელთა ხელფასები ყოველწლიურად ორჯერ მცირდება და რომელთა ცოლები ბალახით იკვებებიან...". მოცალოების ფაშს ლარკინი, როგორც ჩანს, პოულობდა დროს პორნოგრაფიისთვის და უპირატესობას სადომანობიზმს ანიჭებდა: "... მატკობს იმის ყურება, თუ როგორ უპაკვენ ერთმანეთს გოგონები, როდესაც მათ როზგავენ".

არ ვიცი, გამოადგება თუ არა ეს არგუმენტი ლარკინის დასაცავად, მაგრამ იქნებ იყო მსხვერპლი იმისა, რასაც ჩვენი მაღალზნობრივი მასწავლებლები "უხეირო მეგობრებს" უწოდებენ? რიჩარდ ბრედფორდი აღნიშნავს, რომ "არსებითად, იმ თვალსაზრისის დამადასტურებელი არსებობს, რომ ლარკინი ქალთმოძრავე პიროვნება და ფანატიკურად განწყობილი რასისტი იყო, მოიპოვებდა მის მიმონერაში კოლინ განერთან და კინგსლი ემისთან". ემისმა, რომელიც არანაკლებ ახირებული კაცი იყო, ვიდრე ლარკინი, ადრევე უგულბედავად თავისი ახალგაზრდული სოციალისტური შეხედულებები და მიემხრო ერთგვარ რადიკალური ვულგარულ ტორის ხმს, რომელიც დროთა განმავლობაში გაიბერა და კარიკატურული ზომები მიიღო; განერმა, რომელიც ლარკინს მონაფეობის წლების შემდეგ არ ენახა, 1971 წლიდან განაახლა პოეტთან მიწერ-მიწერა. თითოეული მათგანი განამტკიცებდა მეორის უარყოფით თვისებებს. "განერა", - წერს ბრედფორდი, - ტიპური ექსცენტრიკული ინგლისელი იყო, რომელიც გვხვდება არა მარტო ლიტე-

რატურაში, არამედ - ცხოვრებაშიც: საშუალო კლასის ქვედა ფენებიდან გამოსული ამ იდეალისტისა და რეაქციონერის ხიზლს ნარჩოდადგენდა თვითგანადგურებისადმი მიდრეკილება".

2.

1992 წელს ენტონი თუეიტის მიერ ლარკინის ნერილების სქელტანინი ტომის გამოქვეყნებამ, კრიტიკოს კლავდი ჯეიმსის თქმით, ბიძგი მისცა "პრიყვების შემოტევას". განსაკუთრებით აღშფოთდა ლიტერატურული ლონდონი. ბრედფორდი იმონმებს პოეტისა და მეცნიერის, ტომ პოლინის სტატისას "ტაიმისს" ლიტერატურულ დამატებაში, რომ ესაა "სავალალო და ამაზრზნეი ნერილები, რომლებიც საკმარისი სიყხადით ვერ ააშკარავენ და ვერც მალავს სიბნძურეს ჩვენი ეროვნული სიამაყის, რომელსაც ლარკინს უწოდებენ. ბრედფორდი გვაუწყებს, რომ ლონდონის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტის პროფესორის, ლიაზა ჯარდინის თვალსაზრისით, ის "არ აკრძალავდა ლარკინის შესწავლას, მაგრამ მისი ლექსები ამოღებულ უნდა იქნას სასწავლო გეგმიდან და გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ "შეზღუდული შეხედულებების გამოსახვლენად, რომლებიც მათ საფუძველს ნარჩოდადგენს..."

ბრედფორდი, რომელიც ოდნავ არასწორად იმონმებს ჯარდინის შეხედულებას, შესაძლოა, აზვიადებს ვითარებას - პროფესორს არ გამოუთქვამს ლარკინის შემოქმედების აკრძალვის სურვილი. მაგრამ ჯარდინის 1992 წლის სტატიაში, რომლის გაბედული მულტიკულტურული პათოსი ახლა უკვე მოძველებულად გამოიყურება, ავბედილი ქვეტექსტი შეიგრძნობა. თავგადადებულნი ფანტიკოსის ეს კადნიერი ანათემა რალაც საშუალო ბერდლის სკოლის დირექტორს, ამაზრზნენ მის პრატსა (ნაბოკოვის "ლოლიტადან"), რომლის სკოლას "ძალზე მტკიცედ სჯერა, რომ აუცილებელია მოსწავლეთა მომზადება ურთიერთდამაკმაყოფილებელი ცოლქმრული თანაცხოვრებისა და ბედნიერი დედობისთვის" - და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს (1989 წლამდე) რომელიმე ქალი მინისტრის ან პასუხისმგებელი პირის განცხადებას შორის.

პროფესორი ჯარდინი უგულბედავად ლექსებს - "არსებითად, ჩვენ დიდად არ გესურს ლარკინის სწავლება ჩემს (ინგლისური ენის) კათედრაზე" - რადგან არ მოსწონს "ყოველდღიური დისკრიმინაცია, თეთრკანიან ბრიტანელთა უპირატესობის ყოველდღიური მტკიცება" და ისიც, რომ ფსიულობები, რომელთაც ხობტას ასხამს (მისი აზრით) ლარკინი, ეწინააღმდეგება "ჩვენს განახლებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ცდილობს ჩამოყალიბოს ჩვენი ყველა სტუდენტი, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, რასისა ან სარწმუნოებისა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი ბრიტანული კულტურის ფარგლებში". ამ კრიტიკიუმის თანახმად, შექმნილია შემოქმედების უმეტესი ნაწილი (თუ დავასახებლეთ თუნდაც ერთ ნამდვილად თეთრკანიან ბრიტანელ მამაკაცს), ამოღებულ უნდა იქნ-



ას სასწავლო გეგმიდან. პროფესორი ჯარდინი ასრულებს თავის მსჯელობას განცხადებით, რომ "ახალი, კეთილგონიერი, მრავლობითი და მულტიკულტურული ბრიტანელი ხალხის განსწავლისას აღარ უნდა დავეყრდნობთ ძველი პრინციპს, როგორც ჭეშმარიტად "ბრიტანული ფასეულობების" საცავს და ცხოვრების უზადო "ბრიტანული ნისის" მონუ-მენტს. აქ მსიყვანე ვახსენებდა ლარკინის სახელგანთქმული ფოტოსურათი, რომელიც მონიკა ჯონსმა 1962 წელს გადაიღო კოლდსტრიმში, შოტლანდიისა და ინგლისის საზღვარზე; პოეტი ზის ქვაზე წარწერით "ინგლისი", რომელიცაა ჯონსის თქმით, მან ფოტოსურათის გადაღების წინ, გადააფსა და ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება "ცხოვრების ბრიტანული ნისის" მიმართ.

როდესაც კლავიე ვეჯიში განიხილავდა ლონდონში მცხოვრები შავკანიანი ამერიკელი დრამატურგი ქალის, ბონი გრიოს რეაქციას ამ სტატიებზე ("მისი თვალსაზრისით, დიდად არ უნდა აგვადელეგოს იმ ფაქტმა, რომ ლარკინი რასისტი გახლდათ - ის ხომ საკმაოდ მდარე პოეტი იყო"), ბოლოს, ჩვეული დახვეწილობითა და ლაკონიურობით ასკვნიდა - თუშეცა ბოლომდე ვერ იცავდა პოეტს:

"ფილი ლარკინი მართლაც გახლდათ თავისი ეპოქის უდიდესი პოეტი და ის მართლაც გამოთქვამდა მიუღებელ შეხედულებებს. მაგრამ ლარკინს არ გამოუთქვამს ეს შეხედულებები თავის ლექსებში. ის უზად იყო, პასუხი ეყო თავის პოეტურ შემოქმედებაში გამოხატული თვალსაზრისების გამო, კონფიდენციალურ მიმოწერას კი შუალედურ და ნაკლებად საპასუხისმგებლო სფეროდ მიიჩნევდა. სამწუხაროდ, ლარკინი ცდებოდა. ის ყოველთვის უგულვებლყოფდა ვალდებულებებს, რომელიც ეკისრება სახელგანთქმულ ადამიანებს, მათ შესახებ ბევრი არაფერი იცოდა და ვერ ხვდებოდა, რომ სახელგანთქმულ ადამიანს არა მარტო არა აქვს პირიდან ცხოვრება, არამედ - არც არასოდეს ჰქონია ის".

ლარკინის ბრედფორდის ბიოგრაფიას არა უშავს, უინტერესო და ზოგჯერ ზედაპირული რომ არ იყოს. ავტორი ოლსტერის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორია და, სხვა თხზულებათა გარდა, მის კალამს ეკუთვნის კინგსლი ემისის ბიოგრაფია. ნიგნის "თავდაპირველად მოწყენილობა, შემდეგ კი - შიში" პირველივე გვერდის ნაკითხვა გვაეჭვებს, რამდენად კარგად იცნობს ბრედფორდი ლარკინის შემოქმედებასა და ბიოგრაფიასაც კი, რადგან მას მოჰყავს შეიშას ჰინის სიტყვები ლარკინის, როგორც ომისშემდგომი ინგლისის "თითქმის კეთილი, თითქმის გულწრფელი" პოეტის შესახებ და ვერ ხვდება, რომ ჰინი იმონუმებს ციტატას ლარკინის ლექსიდან "საუბარი სანოლში".

ბრედფორდის ამოსავალი მიზანი, როგორც ჩანს, გახლდათ ლარკინის ენერგიული დაცვა იმათგან, ვინც მიჯნას არ ავლებს ხელოვანის პოლიტიკურ შეხედულებებსა და ესთეტიკურ მრწამსს

შორის. ნიგნის პირველსავე გვერდებზე ის ქედმაღლურად მსჯელობს პოლინის, ჯარდინისა და სხვათა შესახებ, მაგრამ მაღე ასევე უგულვებლყოფს ლარკინის თავყანისმცემლობა თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ "წერილის აკიატიტებული შეხედულებები, რომლებიც არ შეესაბამება მის [sic] ლიტერატურულ მიღწევებს, შესაწყნარებელია, მაგრამ, ამასთანავე, ნამდვილად უცდარაო და მხარდაჭერას არ იმსახურებს". ის ამჯობინებს ამტიკიცოს, რომ ლარკინის აზროვნება და შეხედულებები მრავალფეროვანი იყო:

"ლარკინი განსხვავებული ადამიანების წინაშე განსხვავებულ როლებს თამაშობდა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ გაციცხვას იმსახურებდნენ, ხოლო 1992 წლის შემდეგ უმჯობესი ამ წელს გამოქვეყნდა წერილები ალიქვამდნენ მას, როგორც ინგლისელი მამაკაცის ამაზრუნ განსახიერებს. ის თამაშობდა მრავალ სხვა როლსაც, რომლებიც წარმოადგენდა უშუალოდ, გზავიადებისა და თვითპაროდის უჩვეულო კომბინაციებს. ამის ვათვალისწინებით, რატომ უნდა დაეცკნათ, რომ მისი ლექსების ჩვეუელ გაცეპას შემბლავს წარმოადგენა ლარკინის, როგორც ჩვენი (მარტინ ემისის თქმით) "უფრო ახალი, უფრო უზადო, უფრო მშვენიერი, უფრო გონივრული სამყაროსგან" განდგომილი პიროვნების შესახებ?"

ახლა, ლარკინის წერილების გადაკითხვისას, იოლი არ არის იმის გავება, თუ რატომ მოხდა, რომ მათი გამოქვეყნების შემდეგ ამდენ საზოგადოდენ ლარკინის ქალთმომულოებისა და მიზანთრობის შესახებ. პოეტს არასოდეს დაუშალავს თავისი შეხედულებები, თუმცა, ბუნებრივია, მათ საჯაროდ გაცილებით უფრო ზომიერად გამოხატავდა, ვიდრე - თავის წერილებში. ყველა, ვისაც ნაუკითხავს მისი ლექსები "Vers de Société", "ედენება მთავრობას" ან "ნაღვ შინ, ბავშვებისთვის" ჩასწვდება ლარკინის თვალსაზრისის საზოგადოების, პოლიტიკის, ადამიანის - და ცხოველის - არის შესახებ. როდესაც ინტერვიუებს იძლეოდა, ტკებოდა ყურნალისტების იმედაცრუებით იმასთან დაკავშირებით, როგორი უნდა იყოს, როგორ უნდა აზროვნებდეს საუბრობდეს პოეტი: "ყოველელ მემარჯვენე გახლდათ. არ ვიცი რატომ, მაგრამ თუშეცა პოლიტიკაში დიდად გათვითცნობიერებული არა ვარ, მემარჯვენეობას გარკვეულ ღირსებებთან ვაკევირებ, მემარჯვენეობას კი - გარკვეულ ნაკლოვანებებთან. ყოველფე ეს, არ თქმა უნდა, სამართლიანი არა".

ბრედფორდის თვალსაზრისით, ის, რასაც აქ ლარკინი ამბობს, შეესატყვისება ხატს რიგითი ინგლისელისა, რომელსაც უყვარს კრიკეტი, თბილი ლუდი, და უნდობლად ეკიდება ცვლილებებსა და უცხოვლებს. ლარკინის ლექსებში შიძლება ხშირად ნაწყვეთი იმავე ხატს, მაგრამ მას ახლავს ცუდლუტი და ძალზე ირონიული ღმილი - ყოფილა თუ არა ოდესმე უფრო ახირებულად სერიოზული პოეტი, ვიდრე ლარკინი? - რომელიც წერილებში იმ-

დენად ამაზრუნენ ღრეჭად იქცევა, რომ უფრო ჰელოუინისთვის დამზადებულ მახინჯ ნიღაბს ნააგავს, ვიდრე - ფანატიკოსის გრინასას.

შესაძლოა, გამოქვეყნებულ კორესპონდენცი-აში ყველაზე უფრო გასაოცარია აღიარება, რომელსაც შეიცავს ლარკინის წერილი მისი მეგობრის, ისტორიკოს რობერტ კონკვისტისადმი. მთავრობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელოს, გრაფინია დარტმუთის დაკვეთით ლარკინს უნდა დაეწერა ანგარიში "ადამიანის საარსებო გარემოს" შესახებ. შედეგად, დაიწერა "Going, Going" - ელევია, რომელშიც პოეტი სიყვარულით საუბრობს ყოველივე იმაზე, რაც ინგლისში თანდათანობით ქრებოდა - "წრიღლებზე, მინდვრებზე, ბილიკებზე / რატუმებზე, მოჩუქურთმებულ ქორედებზე". ლექსის ნაკითხვისას დამკვეთებმა დაასკვნეს, რომ პოეტის შთაბეჭდილებები აქ ძალზე მწვავედ იყო გამოცემული; ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ სატირულ ჟურნალში Private Eye დაიბეჭდა ცნობა იმის თაობაზე, რომ გრაფინიამ მოსთხოვა ლარკინს განსაკუთრებით გესლიანი სტროფის ამოღება, რაზეც ლარკინი დათანხმდა. ლარკინი თავამეტებით უარყოფდა ამ ფაქტს, მაგრამ კონკვისტის მან მისწერა:

"ზომ არ გინახავთ შეკვეთილი ლექსი, რომელიც დაეწერე გრაფინია დარტმუთისთვის ადამიანის საარსებო გარემოს შესახებ? მაიძულა ფეხქვეშ გავგებოდე. ამომავლებია სტროფი, რომელიც დიდ ბიზნესს ვესხმოდი თავს. გთხოვ, არავის უთხრა ამის შესახებ".

ეს "აღმამფოთებელი" სტროფი აღდგენილ იქნა, როდესაც ლექსი გამოქვეყნდა მალალი ფანჯრების ტომში, რასაც არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

3.

თუმცა ბრედფორდი, როგორც ჩანს, აპირებდა კორექტივის შეტანას ენდრიუ მოუშენის ნიგში ფილიპ ლარკინი: მწერლის ცხოვრება, მაგრამ ისიც, მოუშენის მსგავსად, სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გრძნობდა ამბის გამოცემისას. ბრედფორდისეული თხრობა გაცილებით ნაკლებად დეტალიზებულია, ვიდრე - მისი წინამორბედისა, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე (რომელთაც მოუშენი, მისი გულმოდგინების მიუხედავად, შესაძლოა, ძალზე ზოგადად მონიშნავს) ის უფრო მეტად ამახილებს ყურადღებას, ვიდრე მოუშენი. კერძოდ, ლარკინის მამის ბრედფორდისეული პორტრეტი გაცილებით უფრო საინტერესოა, ალბათ, უფრო შთამბეჭდავია. სიდნი ლარკინი - პროფესიით ბუღალტერი - საინტერესოა ადამიანი, ავტორიტარული ხელისუფლების თავგადაკლული მომხრე და ნაცისტების მტვზებარე თავყვანისმცემელი გახლდათ. თავის სახლში, ბუზრის თაროზე მას ედგა პიტლერის მინიატურული ქანდაკება, რომელიც, ღილაკზე თითის დაჭერისას, ნაცისტური მისალმების ყვებრით ხელს მალდა სწევდა. ანალოგიურად, ფილიპი ამაყობდა იმით, რომ მის მაგიდაზე ჰალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაი გორილას ფოტოსურა-



თი იდგა. მაგრამ სიდნი ლარკინი, კულტურული და განათლებული კაცი, ხელს უწყობდა თავისი ვაჟი-შვილის ლიტერატურული ნიჭის განვითარებას.

როგორც ჩანს, ლარკინი უხერხულობას გრძნობდა, როდესაც მამამისის შესახებ ესაუბრებოდნენ. მაგალითად, 1979 წლის ინტერვიუში ის განსაკუთრებული თავშეკავებით აღნიშნავს: "გერმანია მამაჩემისთვის რამდენიმე მიზეზის გამო იყო ძვირფასი: გერმანიაში საოფისე მუშაობის მეთოდები შეისწავლა და იქ სიყვარულიც ეწვია". ლარკინის დედა, ნერვიული და რამდენადმე არამყარი ფსიქიკის ქალი, მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ქმარს ძალიან უყვარდა. მოუშენის ნიგში დაბეჭდილია ევა ლარკინის საინტერესო (დაახლოებით 1970 წელს გადაღებული) ფოტოსურათი: ქალი სავარძელში ზის, ხოლო სავარძლის სახურვეზე გადმობრილი ვაჟიშვილის მხერვაში ირეკლება გაბოროტებაც, თავდაცვის სურვილიც და სვედაც; სურათის მეორე მხარეს ლარკინის დაუწერია: "ბედნიერი - მთელი სიცოცხლის განმავლობაში".

ახლა ლარკინის ცხოვრება უკვე კარგადაა ცნობილი. ის დაიბადა ქოვენთრიში, 1922 წელს. მშობლების მეორე შვილი გახლდათ (ოთხიდან). მშობიარობამ დაახლოებით ერთი თვით დაავიანა და ბავშვი თითქმის ათ ფუნტს იწონიდა. თუმცა ლარკინი ხანდაზმულობის ასაკზე გამელოტა, მაგრამ, ბედის ირონიით, დაბადებისას "შესანიშნავი შავი თმა ჰქონდა". პატარა ფილიპი უადრესად მორცხვი იყო და, სანამ ოცდაათი წლის ასაკს არ გადაბიჯა, ენასაც უკიდებდა. ქოვენთრიში სწავლის დასრულების შემდეგ ოქსფორდში გაემგზავრა. აქ ყოფნა



დიდად არ მოსწონდა, სანამ კინგსლი ემისს გაიცხობდა. ლარკინს ახალისებდა ემისის იუმორი და იმიტაციის ნიჭი, თუმცა, პრედფორმის თქმით, მისივე შინაგანი ძალა და პატივმოყვარეობა თრგუნავდა.

ლარკინი თავდაპირველად რომანებს წერდა. ოცდახუთი წლისას, უკვე ორი რომანი ჰქონდა დაწერილი. ამასთან, უჩვეულო, მყისიერად მოპოვებულმა წარმატებამ ემისის "ილბლიანი ჯიმისა" (1954), რომელიც, ნაწილობრივ მაინც, ლარკინთან ავტორის მეგობრობით იყო შთაგონებული, სულიერად იმდენად გატეხა ლარკინი, რომ მან, პელეტრისტიკის ნაცვლად, პოეტურ შემოქმედებას მიჰყო ხელი. 1982 წელს ლარკინმა უთხრა The Paris Review-ს ჟურნალისტს: "რომანების წერა გაცილებით უფრო მიზიდავდა, ვიდრე პოეზია. ჩემი აზრით, რომანები უფრო მდიდარი, ფართო, ღრმა და მშვენიერია, ვიდრე - ლექსები". ამგვარად, ლარკინისთვის პოეტური შემოქმედება იმთავითვე დანაკარგის გრძნობით იყო მოწამლული, რამაც მისი ტრიუმფი პოეზიაში უფრო საოცარი გახადა. იყო კი ასე? მისივე აღიარებით, "დანაკარგი ჩემთვის იგივეა, რაც ნარკოტიკი უორდსუორთისთვის".

ლარკინი თითქმის შემთხვევით თავსა ბიბლიოთეკარი. მისი თქმით, ომის დროს "ჩემს სახლში ვიჯექი და მშვიდად ვწერდი "ჯილს". შრომის სამიწისტირადან მომწერეს და ძალზე თავზადავად მკითხეს, სახელდობრ, სად ვმუშაობდი. დაგვრისი. Birmingham Post-ში ამოვიკითხე, რომ შრომის ქალაქის საბჭოში ბიბლიოთეკარი ესაჭიროებოდათ. ამდენად, თხოვნით მივმართე და ამ თანამდებობაზე დამინიშნეს".

მიყრუებულ შრომისში გატარებული სევდიანი წლების შემდეგ ის ცხოვრობდა კიდევ ერთ პირქუშ ადგილას, სანამ 1950-იან წლებში ბელფასტის სამედიკალური უნივერსიტეტში ბიბლიოთეკარად დაინიშნებოდა. თუკი ლარკინმა ოდესმე "იპოვა" თავი, ეს სწორედ ბელფასტში მოხდა. აქ ის დროებით მართო, ოჯახის გარეშე ცხოვრობდა. კოლეჯის თანამშრომელთა შორის ლარკინმა იპოვა მეგობრები, რომლებმაც მას თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის ახალი გზები აჩვენეს. კერძოდ, ის დაუახლოვდა პეტის სტრენგს (ქალიშვილობა ევისს), რომელიც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა პოეტ რიჩარდ მარფის - ფილოსოფიის კათედრის პროფესორს. მოუშენი წერს, რომ ლარკინი მოიხიზლა "მაღალი, ოდნავ ტლანჩი პეტის სტრენგით, რომელიც პესანინოზე კულნარა იყო, უყვარდა სპორტიანი სასამელები და ძაღლები, ზოგჯერ კი ჩიბუხსაც ეწეოდა". მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და ამ სიყვარულის წყალობით (ზოგიერთის აზრით), ლარკინი პირველად ვაზიარა იმ სულიერსა და გრძნობად გამოცდილებას, რომელიც სცილდებოდა მისი წარმომავლობითა და მისივე ნევროტული პიროვნებით განპირობებულ საზღვრებს.

პეტის ვახლდათურთ-ერთი იმ ქალთაგან, რომელთაც ლარკინი ენდობოდა ან რომელთაც ექსპლუატაციას უწევდა, მონიკა ჯონსის ჩათვლით (მონიკასთან მას ყველაზე უფრო ხანგრძლივი ურთიე-

რთობა აკავშირებდა). პეტისთან ერთად, ლარკინის სატრფობები იყვნენ - სხვადასხვა დროს - მისივე კოლეგა ჰალის უნივერსიტეტში, მეივ ბრენანი და მდევანი, პეტის მაკერტი. ლარკინს ყოველ მათგანთან ჰქონდა ფიზიკური ურთიერთობა და საკმაოდ მოუხერხებლად ცდილობდა დაემალა თითოეულისთვის ისეთი გრძნობები დანარჩენთა მიმართ. ძნელია, მაკერტი არ განესაჯოს ის ამგვარი ქცევის გამო, მაგრამ უჩვეელია, რომ ყველა ეს ქალი, ლარკინის უღირსი ქცევის მიუხედავად, პოეტის სიკვიდილამდე მისი ერთგული იყო. როდესაც ლარკინი საყლაპავი მილის კიბოთი ჩვედებოდა, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ავადმყოფის საწოლთან, რაც ნამდვილად ადასტურებს მისი, როგორც მამაკაცის ღირებულებას. ეს ძლიერი, ღირსეული ქალები კარგად იცნობდნენ ლარკინის ბუნებას და პატიობდნენ ღალატს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანი ფაქტებია ისეთ უმნიშვნელოვანეს ფენომენთან შედარებით, როგორიც პოეზიაა. კვდევ არ ვიცხავთ შექსპირის პიესებს იმის გამო, რომ მან ენ ჰათაუეის ანდერძით დაუტოვა უხარისხო (ხარისხის მიხედვით - "მეორე") საწოლი; არც ჯეზუალდის მუსიკას ვგვმობთ, თუმცა მან თავისი ცოლი მოკლა. იმ დროს, როდესაც ყვეჩეჩი ხმას ჩაიკმენდენ, დარჩება შემოქმედება, რადგან იმის მიუხედავად, რომ ფილოზ ლარკინს homme moyen-ად მოჰქონდა თავი, ის ჭეშმარიტი პოეტი გახლდათ. როდესაც 1970-იანი წლების შუა ხანებში მუშა მის ფაქტობრივად, მიატოვა - 1974 წელს გამოცემული კრებულის, მაღალი ფანჯრების შემდეგ, ლარკინმა დაწერა მხოლოდ რამდენიმე ლექსი, რომელთა შორისაა მისი უკანასკნელი შედევრი, "დილის სერენადა" - მან თქვა, რომ ისევე განიძარცვა ლექსების წერის უნარისგან, როგორც - თმისგან. არსებითად, ლარკინი, როგორც პოეტი, გამოიფიტა და ბოლო ათი წლის ტანჯვა და შრისხანება, ალბათ, დიდწილად უკავშირდება ამ დანაკარგს. შესაძლოა, ამ ბრყევთა ქვეყანაში არავის ესმოდა, რას განიცდიდა გენიოსი თავისი შემოქმედებითი უნაყოფობის გამო. ფილოზ ლარკინს ბევრი სულიერი ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მშვენიერება და შემოქმედება, როგორც მშვენიერი ნაწარმოებების შექმნის შესაძლებლობა. ამაში მდგომარეობს მისი სიღაღე.

და, ელიოტის შეხედულების საპირისპიროდ, ლარკინი იყო - და არის - დიდი პოეტი. ისეთი ლექსები, როგორებიცაა "ქორწინებები სამების დღესასწაულზე", "ბებერი ბრყევები", "ექლესიისკენ" თანამედროვე ეპოსია. მიუხედავად ამისა, ყველასთვის, ვისთვისაც ჯერ უცნობია ეს შესანიშნავი პოეტი, უკეთესი იქნება, თავდაპირველად წაიკითხოს არა ჩამოთვლილი შედევრები, არამედ, მანკითად, მომცრო ლექსი "გათიბული ბალახი" - ინგლისურენოვანი პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკული ლექსი, რომელშიც იგრძნობა ზაფხულისა და კვდომის ბიბლია და უჩვეულოდ ნაზი, მანკითად განკურნება" - ლექსი, რომელსაც ვერ დანერდა ვერც ერთი ჭეშმარიტად ქალთმომოყულ პოეტი.

დალილა გოგია

ბიტნიკები „ნმინდა თავისუფლების“ ძიებაში



ბიტთაობის დაბადების ოფიციალურ თარიღად 1955 წლის 7 ოქტომბერი ითვლება, დღე, როდესაც სან-ფრანცისკოში, **6 Gallery-ში**, ალენ გინსბერგმა თავისი - შემდგომში მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნაწარმოები - ლექსი „ყმუილი“ წაიკითხა. სხვებთან ერთად ამ მოვლენას ესწრებოდნენ გინსბერგის მენტორი უილიამ კარლოს უილიამსი, კენეტ რექსროტი, მაიკლ მაკკლური და ლოურენს ფერლინგეტი. როგორც მაკკლური იხსენებს: „გინსბერგმა ლექსი ბოლომდე წაიკითხა, და ჩვენ ყველანი ვიდექით, აღფრთოვანებულები ტაშს ვუკრავდით, გაოგნებისგან არ ვიცოდით რა უნდა გვეთქვა, მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდით, რომ ბარიერი უკვე დაიმსხვრა, და რომ ადამიანის ხმა და სხეული ამერიკის უღმობელ კედელს შეეხეთქა“.

ლოურენს ფერლინგეტიმ გინსბერგს ლექსების წიგნად გამოცემა შესთავაზა. 1956 წელს თავის გამოცემლობაში მან **City Lights** „ყმუილი და სხვა ლექსები“ გამოსცა, მაგრამ ის მაშინვე აიკრძალა, როგორც „ვეულგარული წიგნი“. თუმცა, ამ აკრძალვის წყალობით, გინსბერგის სახელი, და საერთოდ, ბიტთაობა ფართო საზოგადოების ინტერესის სფეროში მოექცა. როდესაც ბიტმოდრობაზე საუბარი, არ შეიძლება არ აღინიშნოს ლოურენს ფერლინგეტის გამოცემლობა **City Lights**-ისა და დღემდე მოქმედი, ახლა უკვე ისტორიული წიგნების მაღაზია **City Lights**-ის მნიშვნელოვანი როლი.

ბიტმოდრობა 1944 წელს, ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში კანადელი ფრანგი კეთოლიკე ჯექ კერუაკის, საშუალო ფენიდან გამოსული ამერიკელი რუსი ებრაელი ალენ გინზბერგისა და მაღალი კლასის წარმომადგენლის, ანგლო-ამერიკელი პროტესტანტის უილიამ ბეროუზის შეხვედრით იწყება. ისინი ირგვლივ უამრავ ახალგაზრდა მწერალს, პოეტსა და, უზრალოდ, თანამოაზრეს იკრებენ, რომელთა შორის არიან გრეგორი კორსო, ჯონ კლელონ ჰოლმსი, ლუსიენ კარი და ა.შ. ისინი არსებულ პოლიტიკურ და კულტურულ მენისტრიმს აკრიტიკებენ და ალტერნატიულ გზებზე ფიქრობენ. ზოგადად, ამერიკის მიფერ იაპონიაში ატომური ბომბის გამოცდის შემდეგ, ამერიკის იმჟამინდელ საზოგადოებას, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, უამრავი შეკითხვა უჩნდება, რომ არ ვახსენოთ, რწმენის შერყევა და ნიჰილიზმი. ახალგაზრდა მწერლები მიაჩნდათ, რომ, მართალია, არ ჰყავდათ ისეთი გამოკვეთილი სპიკერი, როგორებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰემინგუეი და სკოტ-ფიტჯერალდი იყვნენ, მაგრამ მათი თაობა, სულ მცირე, ჩუმად არ უნდა ყოფილიყო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მოძრაობა ახალი ცნობიერების, „ახალი ხედვის“ დასაწყისია. „ახალი ხედავ“ ემერსონისეული ტრანსცენდენტალიზმისა და პარიზული ბოჰემიანიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ლუსიენ კარმა თუზისებად ჩამოაყალიბა:

Blame these 4 men for the Beatnik horror

THE outbreak of beatnik violence that wrecked Lord Montagu's jazz festival of Beaulieu last week must be blamed on the cult of despair preached by four strange men.

The four beatnik "prophets" do not themselves preach violence. But they do infect their followers with indifference or outright hostility to established codes of conduct.

Nothing matters to the beatnik save the "kick" or thrill to be enjoyed by throwing off inhibition. It is not just sex, but sex untrammelled, indulged in it. If the beat of jazz whips up violent emotions, why not give way to them?

● Britain has been shocked by Peter Forbess's report on the great unwashed army of beatniks.

● Today he names the men whose rantings have mesmerized a large and impressionable section of young people throughout the world... men who have nothing to offer but despair.



CORSD the crank poet

● *The only way to enter a modern city, he wrote, is "very tentatively with your antennae filled with despair."*

became a talented writer, unfortunately he did not live the great life he could have lived as a poet and journalist of the New York New Yorker.

'Corrupts'
Korson created a theory of "beat" by society, but he was not a "beatnik" by his own definition. He was a "corrupter."

Some of the younger, better generation of Americans took that to mean that they would have a different morality, say.

They became - which is not a good thing - a generation that looked to the streets as a source of world. They despised work.

All this because - which is not a good thing - they were a generation that looked to the streets as a source of world. They despised work.

William S. Burroughs for example, in his 1952 fiction, wrote about in some ways, but he is not a "beatnik" by his own definition. He was a "corrupter."

This is how he wrote about it in his book "The Beat Generation": "I tried to use words, but I had no words. I had only the feeling of a man who had been crushed by the forces of a world that was not his own. I tried to write about it, but I had no words. I had only the feeling of a man who had been crushed by the forces of a world that was not his own."

Allen Ginsberg is the most of the beatnik "prophets," whose despair has become a social movement. He is a man who has not only written about it, but he has lived it.

I have to write about it, but I have no words. I have only the feeling of a man who has been crushed by the forces of a world that was not his own.

They have become a generation that looks to the streets as a source of world. They despised work.

They have become a generation that looks to the streets as a source of world. They despised work.

They have become a generation that looks to the streets as a source of world. They despised work.

They have become a generation that looks to the streets as a source of world. They despised work.



HEARDING the sales prophet

An ex-convict who became a talented writer, he prefers to devote his talents to writing the lives and jazz music of the New York New Yorker.

THEIR CULT OF DESPAIR IS DRIVING THE TEENAGERS TO VIOLENCE



BURROUGHS the ex-gang addict

He lived for a year in a room in a Tenby without taking a bath or removing his clothes.

GINSBERG the hate merchant

At 36 this gifted poet's hate-filled and modern life led him to write: "I am the best minds of my generation destroyed by madness." Now the beatniks worship his philosophy.



How one section of the media saw the Beats - an extract from an article in The People of Sunday, 7 August, 1960.

შემოქმედება მიეძღვნა ჩაისახოს მხოლოდ საკუთარი თავის მიშეული გამოხატვით. 2. შემოქმედელი ადამიანის ცნობიერება ფართოვდება გონების ფსიქიკური აპლიკაციით. 3. ხელოვნება თავს აღწევს საყვედურსა მორალს.

როდესაც მკვლევრები ბიტიმოდრობაზე საუბრობენ, ძირითადად ორი ტენდენცია იკვეთება - პირველი, რომ ეს იყო ვინორ მიმართულება, ასე ვთქვათ, ლიტერატურული და კულტურული იმპულსი, და მეორე, რომ ბიტიმოდრობა აუცილებლად უარყოფით კონტექსტში უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი მატერიალურ-ტექნიკური პროგრესისა და უზრუნველ, ადამიანების კეთილდღეობის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა უილიამ ბეროუზის „შიშველ სადილს“ ზიზისა და სიძულვილის უსასრულო კვიელი დაარქვა, და ასევე მხედლობა, რომ კითხვის დროს მკითხველს ტალღაზიდა ცხვირი არ ახვევინოს. სხვა კრიტიკოსი კი, კერუაქის, „ბიტიმოდრობის მეფის“ საკულტო რომანის, „გზაზე“ ნაკითხვის შემდეგ აღცხადებს, რომ ეს ნიგრი შორსა ნამდვილი ლიტერატურისგან, მისი „მინიერი ემოციური, ინტელექტუალური და ესთეტიკური რესურსის გამო“, და აქვე ახსენებს მწერლის უუნარობას, შექმნას დრამატულად მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ყველაზე მეტად კრიტიკონებს ბიტიმოდრობის ნეგატიურობა ანუხეობა. ჟურნალი Life ბიტიმოდრობას ანარქისტებს და კომუნისტებს ადარებს და აღცხადებს, რომ ისინი ომს უცხადებენ ყველაფერს, რაც ამერიკაში წმინდადამინდაა - დედა, მამა, პოლიტიკა, ქორწინება, სახანო ანგარიშები, ორგანიზაციული რელიგია, ლიტერატურუ-

ლი ელვგანტურობა, კანონი, უმაღლესი განათლება, რომ არაფერი ვთქვათ, ჭურჭლის სარეცხ მანქანაზე, ცელოფანში შეფუთულ კრეკერებზე, პატარა კოტეჯებსა და მშვიდილბის გარანტი - ატომურ ბომბზე“. 1958 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ხელმოწერა თანამგზავრი „სპუტნიკი“, გაუშვა, სანდონციკოს ჟურნალისტმა ჰერბ კენება ბიტიმოდრობას რუსული დაბოლოება მისცა და ბიტიკები შეარქვა.

ისეთმა ჟურნალმაც კი, როგორცაა Playboy, მათ ნიპილისტები უწოდა. კრიტიკოსი პოდპორცი წერდა: „კომოცდათიანების ბოშემა ცივილიზაციის მტერი, ის აღწევს პრივილეგიზმს, ინსტიტუტებს, ენერჯის და სისხლს“. და ის ეკითხება ბიტიკების დამცველებს - „სადაა სიცოცხლის ნიშანწყალი ამ ყველაფერში? სადაა სპონტანურობა და სიცოცხლისუზრანიანობა? ამას უფრო სიკვდილის სუნი ახდის“.

ბიტიკებმა ბრალდებებს ერთხმად უპასუხეს ერთი სიტყვით - Beat.

სიტყვას - Beat მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯაზმენები იყენებდნენ, როგორც სლენეს, რომელიც აღნიშნავდა სულიერად დაცემულ, საზოგადოების ფსკერზე მოქცეულ, უსუსურ, ძალაგამოღებულ, ცხოვრების ქარცეცხლში განადგურებულ, ლატკ ადამიანს. 1946 წელს გამოქვეყნებულ ნიშნში ცნობილი ჯაზმენი მეზ მეზროუ იყენებს ტერმინებს - Beat up, და Dead beat.

ტერმინი „ბიტიმოდრობა“ გამოიყენებოდა იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებმაც იმპაზინდელი ამერიკის ამერიკულ ოცნებას ადევნებულ მატე-



რილისტურ საზოგადოებას და ცხოვრების სტილს პროტესტი გამოუცხადა. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ეს ტერმინი ამ მნიშვნელობას კარგავს და ხდება ყველა იმ ადამიანის სახელი, რომელსაც ცხოვრების ბოჰემური ან რევოლუციური სტილი აქვს. ბიტმოდრობა ისეთი მოძრაობის წინამორბედად ითვლება, როგორცაა ჰიპები.

ისტორიკოსები და სოციალოგები ომის შემდეგომ ამერიკას აღწერენ, როგორც „ერთგანზომილებიან“ საზოგადოებას, სადაც „ორგანიზაციის ადამიანები“ ქმნიდნენ მასკულტურას, რომელსაც მოიხმარდა „ეული მასა“. რელიგიის თვალსაზრისით, ისტორიკოსები იმ პერიოდს უფრო „მშვიდს“ უწოდებენ, ვიდრე „ეკაყოფილს“.

ბიტმოდრობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სულიერი პროტესტი არსებულ „მშვიდ“ საზოგადოებაში. როგორც ყველა სულიერი ინოვაცია, „ახალი ხედავ“ ითვალისწინებდა იმ დროს არსებული დომინანტური სულიერი ნორმებისა და რელიგიური ინსტიტუტების უარყოფას. ამ თემაზე შექმნილ იმ დროის პოპულარულ ნაშრომებს შორის, ოსვალდ შპენგლერის ნაშრომი - *Decline of the West* (დასავლეთის დასი) და მისი აპოკალიპტიური განწყობა ბიტნიკებზე დიდ გავლენას ახდენს, ისინი ამერიკაში მატერიალიზმისა და მექანიზაციის ღმერთების სიკვდილს აცხადებენ და სულიერების ძებნას იწყებენ. თავის ლექსში *Siesta in Xbalba* (სიესტა შიბალაში) გინსბერგი ამბობს: **ღმერთი კვდება ამერიკაში.**

ხოლო მის „ყმუილიში“ მოლოქი, ბიბლიური ღმერთი, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ძველი ებრაელები, გამოყენებულია, როგორც ამერიკის კამბოჯალიზმისა და ინდუსტრიული პროგრესის მეტაფორა:

„ცემენტის და ალუმინის რომელია სფინქსმა გააპო მათი თავის ქალა და ამოჭამა მათი ტივი და წარმოსახვები?“

მოლოქი! მარტოობა! ჭუჭყი! სიმახინჯე! სანაკვე ურნები და მიუწვდომელი დილორები! ბავშვების წიფილი კიბების ქვეშ! ბიჭების ქვითინი სამხედრო ნაწილებში! ბერიკაცების ტირილი პარკებში!

მოლოქი! მოლოქი! მოლოქის კომპარი! მოლოქი უსიყვარულობი! ცნობიერების მოლოქი! მოლოქი, სასტიკი მსაჯული კაცობრიობის!

მოლოქი, ამოუცნობი საპატრიო! მოლოქი, გადაჯვარდინებული ძვლების უსულგულო ჯურღული და მწუხარების კონგრესი! მოლოქი, რომლის შენობები განაჩენია! მოლოქი, ომის უშედეგებელი დოლაბი! მოლოქი, შეძრწუნებული მთავრობები!

მოლოქი, რომლის გონება წმინდა მექანიზმია! მოლოქი, რომლის სისხლი ფულის მიმოქცევაა! მოლოქი, რომლის თითები ათი არამია! მოლოქი, რომლის მკერდი კაცობაშია დინამოა! მოლოქი, რომლის ყური მხრწოლავი სამარეა!

მოლოქი, რომლის თვალები ათასი ბნელი ფანჯარაა! მოლოქი, რომლის ცთამბეჭვნები გრძელ ქუჩებში დგანან მსგავსად მარადი იელოვების! მოლოქი, რომლის ფაბრიკები ოცნებობენ და ჩხვიან ნისლიში! მოლოქი, რომლის საკვამურები და ანტენები თავზე გვირგვინად ადგანან ქალაქი!

მოლოქი, რომლის სიყვარული უღვევი ნავთობი და საშენი ქვაა! მოლოქი, რომლის სული ელექტრობა და ბანკებია! მოლოქი, რომლის სილატაკე გენიის აჩრდილია! მოლოქი, რომლის ბედისწერა წყალბადის უსქესო ღრუბელია! მოლოქი, რომლის სახელი გონებაა!

მოლოქი, რომელშიც მარტო ვარ! მოლოქი, რომელშიც ანგელოზები მელანდებ! შეუძლია მოლოქში! ყლისმწოველი მოლოქში! სიყვარულს და კაცს მოკლებული მოლოქში!“

თუმცა, მეორე მხრივ, შპენგლერის მიერ მოცემულ ისტორიის ციკლების ცვლილების ფონზე, ბიტნიკები ნაშხერვებიდან ლეტაების გამოჩენას წინასწარმეტყველებენ (როგორც გინსბერგი იმავე ლექსში ამბობს: **შინავანი, პირველადი სახე ლეტაებისა, რომელიც პილიგრიმობისკენ მომინდებს.**)

1938 წელს, ჰარვარდის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ, უილიამ ბეროუზი - როგორც მას ახასიათებდნენ - ბრწყინვალე ინტელექტისა და სრულიად ამორალური თვისებების ადამიანი, წერს ოუმ-ორისტულ, თუმცა წინასწარმეტყველურ მოთხრობას *Twilight Last Gleaming*, ტიტანისკის კატასტროფის ანალოგიას, სადაც ავტორი (ცინიკური ალგორითის გზით ასახავს ამერიკის დაცემასა და მისი მოქალაქეების სიფიქტესა და სიბრმავეს, რის გამოც მათ არ სურთ მათი და მათი ცივილიზაციის გარდაუვალი დაღუპვის დანახვა. როგორც ბეროუზი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ გემი იძირება, არაფერი იცვლება, „ცრუ ადამიანები ცრუობენ, ყანალები ყანალობენ, მეომრები იბრძვიან, მქადაგებლები ქადაგებენ“.

მიუხედავად აპოკალიპტიური იდეებით გატაცებობისა, ბიტმოქმედებებში ჩნდება ადამიანის ინდივიდუალური ტანჯვისა და სიკვდილის პრობლემა. მიიძღვება ითქვას, რომ ბიტნიკებმა მთელი თავისი ცხოვრება და ლიტერატურა საკუთარი და იმ ადამიანების პირადი ტრადიციისა და რეალური ცხოვრების შეუღამაზედგეს ასახავს მიუძღვნეს, რომლებიც ომის შემდგომ ე.წ. აყვავებულ ამერიკაში ამა თუ იმ მიზეზის გამო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩნენ. ასეთ ადამიანებს ისინი ჰომსტრებს უწოდებდნენ და ახასიათებენ, როგორც გათვლილ, დაუცველ, მიუხედელ, უპროფესიო, ავადმყოფ, სასონარკვეილ და უიმედო ადამიანებს, რომლებიც მანანალობის ან კრიმინალის გზას ადგანან და ძირითადად მათი ნახვა ბოვერის, ჰარლდისა და თამის სქერის ჯავსკლებში, პორნოშოუებსა თუ ბარებშია შესაძლებელი. კერუაკმა ეს ადგილები თავის რომანში „დიდი და პატარა ქალაქი“ ასე აღწერა:

ჯარისკაცები, მებღაურები, მათხოვრები, მანანალები, ხულიგნები, ახალგაზრდები, რომლებიც ერთ სანაპიროდან მეორე სანაპიროზე დაიანად და კაფეებში ჭურჭელს რეცხავენ, მიჩაპიკრები, ლოთები, ჯიბიგორები, მარტოხული, განადგურებული ზანგები, თვალყუყუნა პატარა ჩინელები, მუქკანიანი პუერტო-რიკოელები, ბრეზენტის კომბინიზონიანი და ტყავის ქურთუკიანი ახალგაზრდა ამერიკელები, რომ-

ლებიც ყველგან მუშაობენ - მეზღვაურებად, ხან მექანიკოსებად, ხანაც მანქანის შემკეთებლებად... ყველა კატა და გვირი, კობტარუნა თუ შავი მუშა, პარლემში გათქვეფილი, ჭაჩის ლოთი და მკვლელი ერთად ირევა, წინ და უკან დადის, რაღაცას ეძებს, რაღაცას ელის, მუდმივად მორაობაშია.

კერუაკმა ამ ადამიანებს სამოთხეში მიუჩინა ადგილი და „გულვატეხილი ანგელოზებად“ მონათლა.


სწორედ ასეთი გულვატეხილი ანგელოზი ჩამოვარდა მათთან ციდან - ჰერბერტ ჰანკი. იმ დროისთვის კერუაკს ახალი დაწერილი აქვს თავისი პირველი რომანი „დიდი და პატარა ქალაქი“. ჰანკი იყო სწორედ ის ტიპი, ჰიპსტერი, მრავლად რომ ხედავდნენ თაიმ სქვერზე. ბეროუსისგან განსხვავებით, კერუაკი არ აპირებდა მის ნარკოტიკებისა და კრიმინალების სამყაროში შესვლას. მისთვის საინტერესო იყო, რომ ჰანკიმ ყველაფერი თავის ტყავზე ინუნია. ჰერბერტ ჰანკი საშუალო ფენის ოჯახში დაიბადა, როგორც თვითონ ამბობს, მშვენიერი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა მისი მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ. მას არა მარტო მამასთან, დედასთანაც არ შეეძლო საერთო ენის გამონახვა და ჯერ კიდევ თორმეტი წლის იყო, როცა სახლიდან გაიქცა და ქუჩაში ცხოვრება დაიწყო. მას მშობლების მიტოვება და სამყაროს ნახვა სურდა. მისი მიზანი ნიუ-იორკი იყო. „თავს საოცრად თავისუფლად და მსუბუქად ვგრძობდი. არც ერთი ნაცნობის სახის დახახვაც კი აღარ მინდოდა“, იხსენებდა ის მოგვიანებით. აქედან იწყება მისი კრიმინალური ცხოვრება, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, მოგვიანებით უკვე ქურდობას და ყაჩაღობას იწყებს. პირველად, როცა მამაკაცთან ორალური სექსი ჰქონდა, ჯერ კიდევ ბავშვი, ავტოსტოპით მოგზაურობდა. მძღოლმა, როცა გააცნობიერა, რომ ის ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო, მას ათდღიანიანი შეაჩერა და იქვე, როგორც ჰანკი ამბობს, „რომელიღაც ქალაქში მთელი ათი დოლარით ხელში“ დატოვა. მას შემდეგ მისთვის ეს საქმიანობა სარფიან საქმედ იქცა, ხოლო ადამიანების მხრიდან საზიზღარი მოპყრობა არასოდეს აკვირვებდა. ის პოლიციამ იპოვა და სახლში დააბრუნა, თუმცა ბიჭი ისევ გაიქცა.

მას ყოველთვის სურდა ხელოვანი გამდარიყო, მწერლობის სურვილი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაუჩნდა. 34 წლის ასაკში ჰერიონზე უკვე ძლიერად იყო დამოკიდებული, და თავი იმ ფულით გაჰქონდა, რომელსაც მეგობრებისგან სესხებლობდა ან იპარებდა. ამის მიუხედავად, მწერლობის სურვილი მაინც არ ტოვებდა, და 1949 წლის ცივი თებერვლის დღეს, ის ნიუ-იორკის სადგურ პენ სთეიმენის ტულეტში ჩაიკეტა და წერა დაიწყო. ასე დაწერა **სიმღერა საკუთარ თავზე. Song of Self.**

ჰერბერტ ჰანკიმ შემთხვევით გაიცნო ულიამ ბეროუზი და დაუმეგობრდა. ბეროუზის მეშვეობით ჰანკი კერუაკსა და გინსბერგს დაუახლოვდა და დიდი გავლენა მოახდინა მათზე. კერუაკთან საუბრის დროს ჰერბერტი ხშირად ახსენებდა სიტყვას - **Beat**, რათა თავისი საკუთარი და თავისი ჯანჭი მეგობრების განადგურებული, დამსხვრეული, ნაცემი, გარიყული, დამცირებული, სასინდურკვეთილი მდგომარეობა გამოეხატა.

სწორედ ეს სიტყვა გახდა შემდგომში მთელი იმ ლიტერატურული თაობისა და მოძრაობის სახელიც. ჰანკის გაცნობის შემდეგ, კოლუმბიის მთელი ლიტერატურული წრე მის გამოცდილებას სწავლობს. ლიტერატორები ხშირად უცნაურად მიიჩნევენ, თუ რით მოხიბლა ასეთმა ადამიანმა ამდენი ხალხი. ამის ახსნა ალბათ იმით შეიძლება, რომ პირველ რიგში, ის არ აღმოჩნდა მხოლოდ დეპრესიული ნარკომანი და კრიმინალი. რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ის უზომოდ ნაკითხი იყო, ჰქონდა ელევანტური, დახვეწილი მანერები, ასევე გამორჩეოდა ამბების მოყოლის განსაკუთრებული ნიჭით, რის გამოც მის გარშემო ყოველთვის უამრავი თაყვანისმცემელი იკრიბებოდა და საათობით უსმენდა. როგორც კერუაკი აღნიშნავდა, ის ნამდვილი ტენიის იყო ამ სფეროში. საინტერესო იყო ჰანკის მიმართება მეგობრების მიმართ და ღირსების მისეული გაგება. ის გამოუსწორებელი ქურდბაცაცა იყო, შექმლო ყველასთვის ყველაფერი მოეპარა, მაგრამ არავის არასოდეს დაასმენდა. ჰანკი, რომელმაც საერთო ჯამში, 11 წელი გაატარა ციხეში, არასოდეს ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, და განიხილავდა მას, როგორც გარდაუვალ ბედისწერას. ჰანკის ეს დამოკიდებულება უფრო აძლიერებდა მის მეგობრებს აზრს, რომ ის იმდროინდელი უსულგულო და სასტიკი საზოგადოების, ამერიკულ ოცნებას გამოკიდებული ადამიანების მსხვერპლი გახდა.

Song of Self კერუაკმა თავისთვის დააწერა და ჰანკის გვერდით ბრჭყალებში ჩაწერა „ჯანკი“. ჰანკის რეალური, შავ-ბნელი და სასიხარუკვეთილი ისტორიების გავლენით, გინსბერგმა, კერუაკმა, და ბეროუზმა ჰიპსტერების ცხოვრების შესწავლა დაიწყეს. სწორედ იმ ცხოვრებას აკვირდებოდნენ, რასაც აღენ გინსბერგი „ყმოილში“ აღწერს. მათ ისეთი ადგილები მოიარეს, როგორცაა **Angler Bar, the Pokerino arcade**, ბეროუზი განსტერების, ნარკომანების, მანანნალების ცხოვრებას იკვლევდა და მასში თავადაც იღებდა აქტიური მონაწილეობას. კერუაკი ჯაზკლუბებისა და მარისუანაბარების ხშირი სტუმარი გახდა, გინსბერგი კი პატერსონსა და ნიუ-ჯერსიში დღიურ მუშათა ცხოვრებას აკვირდებოდა. სამივეს სურდა, საკუთარი დაკვირვებები და იქ მიღებული გამოცდილება ნამდვილ ლიტერატურად ექცია. „ახლა თაიმ სქვერზე ვიყავი, თანაც პიკის საათში და ფანტასტიკურ დომბლს შეეცქეროდი, როგორ ითქვივება ერთმანეთში მილიონობით ხალხი ერთი კინკლა დოლარისთვის, გიჟური ოცნებისთვის - სტეკებზე, იღებენ, აძლევენ, ოხრავენ, კედებიან, რომ საბოლოოდ ლონგ-აილენდ სიტის სამინელ სასაფლაოზე განისვენონ“. წერს კერუაკი. ჰერბერტ ჰანკის სამივე ლამის წმინდანივით სცემდა თავყანს (უნდა ითქვას, რომ გინსბერგმა, ულიამ კარლოს ულიამის ნინასიტყვაობით გამოსული თავისი პოეტური კრებული - **Empty Mirror**, (ცარიელი სარკე) ჰერბერტ ჰანკის მოუძღვნა ნარწერიც: „ჰერბერტ ჰანკის მისი აღსარებებისთვის“), მისი გავლენით და ჰიპსტერების უიმედო ცხოვრებასთან თანაზიარებით, ძალიან დიდი იყო რისკი, რომ მათი „ახალი ხედავ“ ამორალური, ნიჰილისტურ აპოკალიფსიზმად ჩამოყალიბებულიყო.



ალბათ ასეც მოხდებოდა, რომ არა ნილ კესიდი, რომელმაც მათ სწორედ რომ სულზე მიუხსნო.

ალენ გინსბერგის „ყმუილის“ „საიდუმლო გმირი“, მთავარი პერსონაჟი კენ კიზის რომანისა - „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ და ასევე კერუაკის რომანის - „გზაზე“ - მთავარი გმირის, დინ მორიარტის პროტოტიპი ნილ კესიდი, პირდაპირი მნიშვნელობით, გზაზე დაიბადა, როცა მისი მშობლები ჰოლივუდში მიდიოდნენ. როცა ნილი ექვსი წლის იყო, მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ის ალკოჰოლიკმა მამამ გაზარდა, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდა და ბავშვთან ერთად აქეთ-იქით დახეტიალობდა. თინეიჯერობის დროს კესედიმ ასობით მანქანა გაიტაცა და თითქმის ამდენივე გოგო აცდუნა.

ჯეკ კერუაკი და ალენ გინსბერგი მას „წმინდა შემლილს“ უწოდებენ და მისგან რომანტიკულ გმირს ქმნიან. მათ ამ დროისთვის უკვე მობეზრებული ჰქონდათ ბეროუზისა და ჰანკის „აპოკალიპტური ინტელექტუალიზმი“, ასევე სხვა მეგობრების გაზეპირებული ფრაზები, დაუსრულებელი საუბრები ფსიქოანალიზზე და ნილ კესიდის ისე შეეგებნენ, როგორც დიდი ხნის უნახვე ძმას. კესიდი ამ დროს ახალი გამოხული იყო ციხიდან, თუქვა, როცა კერუაკმა მისი და ჰანკის კრიმინალური წარსული ერთმანეთს შეადარა, აღმოაჩინა, რომ ნილის კრიმინალი არ იყო ის, რაც ადამიანებს დასცინის და ანადგურებს, ის მხოლოდ მანქანებს იპარავდა, რომ დრო მზიარულად გაეტარებინა. ნილი დასავლეთიდან იყო, დასავლეთის ვესტერნის გმირი, მსუბუქი და მზიარული სიო.

ჯეკ კერუაკი, ანუ მისი რომანის - „გზაზე“ - მთავარი გმირი, სალ პარადაისი დინ მორიარტიზე, იგივე ნილ კესიდიზე ამბობს: „დღინი სულ სხვა იყო,

ნათელი გონების პატრონი, უაღრესად ჯანსაღად აზროვნებდა, ყოველგვარი ძალდატანებული ინტელექტუალობის და ძალად სიჭკვიანების გარეშე... მხოლოდ პურსა და სიყვარულს ეძებდა ხარბად“.

გინსბერგიც აღფრთოვანებული დარჩა კესიდით: „კაცი-ასო და დენვერელი ადონისი“ ასე მოიხსენიებს ის „ყმუილში“. სალ პარადაისი კი მათ შეხვედრას შემდეგნაირად აღწერს: „ორი მოზღვავებული ენერჯია შეეჯახა ერთმანეთს და მე ვინ ვიყავი, რომ გაეტოლებოდი, ქაჯივით ვჩანდი მათ გვერდით.“... „მთელი ცხოვრება ასე გავატარე, ასე კუდში დავდევი ადამიანებს, ვინც მაინტერესებდა, რადგან მხოლოდ გიჟებს ვთვლი ადამიანებად, ვისაც სიგიჟემდე უნდა, იცხოვროს, ვინც შემლილივით გელაპარაკება, ვისაც გაგიჟებით უნდა, შეამჩნიონ და თან ყველაფერს დახარბებულა, ყველაფერი ერთბაშად უნდა, რომ მიიღოს... და იწვიან, იწვიან, იწვიან რომაული ყვითელი სანთლებივით და მერე ფეთქდებიან, რათა ვარსკვლავებს ობობას ქელისმაგვარი შუქი მოაფრქვიონ. ვარსკვლავების შუაგულში ცისფერი სინათლე კამკაშებს და ვინც მას დაინახავს, ააუუუ!“ აღმოხდებდა. ...სწორედ იმ საღამოს დაიწყო მთელი ის ალიაქოთი და სიგიჟე, რომლის თანამონაწილედ გახდა ყველა ჩემი მეგობარი და ისინი, ვინც კი ოჯახიდან შემომრჩა, ყველა გაეხვია კოსმოსური მტკრის უზარმაზარ ღრუბელში, „ამერიკული ლამის“ თავზე რომ ეკიდა“.

რაც შეეხება ბეროუზს, მისთვის ნილ კესიდი მიუღებელი აღმოჩნდა. ნილ კესიდის გამოჩენამ დააჩქარა ბიტმოდრობის გახლეჩა. პრო-ჰანკი ბეროუზი ახალ ხედვაში აბსურდისტულ და აპოკალიფტურ მიმართულებას გულისხმობდა (Beat Down), კერუაკი და გინსბერგი კი კესედისეულ ხედვას უჭერდნენ მხარს (Beat Up) და მათთვის მნიშვნელოვა-



ნი იყო ამერიკის იმ დროინდელ გარემოში ხსნა ეპოქათ, მათთვის ტრანსცენდენტალური იმედი აუცილებლობას წარმოადგენდა. აქედან გაჩნდა ახალი ტერმინი - beat as beatitude - ნეტარი, მათ ახალი, ბოჰემური, ნეტარი „ახალი ხედვა“ ჩამოაყალიბეს.

კესიდიმ „ნეტარ“ ბიტნიკებს „ახალი ხედვის“ განსხვავებული კუთხე დაანახვა: ის წმინდას უწოდებდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ადამიანურ ურთიერთობებს. ამბობდა, რომ ყოველი წამი წმინდაა, განსაკუთრებით, თუ მეგობართან ერთად ხარ, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკას, რადგან, მისი აზრით, ყველა ადამიანი ერთი მთლიანის ნაწილია, და ამიტომ თითოეულმა უნდა გაიზიაროს სხვისი წუხილი, რადგან ყველასთვის ბოლო ერთია - ზეცა.

ჰერბერტ ჰანკი კარუაკისა და გინსბერგისთვის თაიმ სქეპერის ბნელით მოცულ ბარებში მარტოსული ინდივიდების უბედურ ყოფასთან, ტანჯვით სიკვდილთან და სრულ უიმედობასთან ასოცირდებოდა.

ბიტთაობის მიერ სინაგოგისა და ეკლესიის იგნორირება და ქუჩაში გადანაცვლება, სადაც მეტაფიზიკური, ჯაზმენები, ჯანსიები, და ჰობოები ბინადრობდნენ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ძებნა რალაცისა, რისი რწმენაც შეიძლებოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უარყოფენ ღმერთს:

„- ორივეს კარგად გვესმის, დრო არ გვეყოფა, ერთმანეთს დავუმტკიცოთ, რატომ მწამს მე, ან რატომ გწამს შენ, რომ ღმერთი არსებობს“. - ამბობს დინ მორიარტი.

და როდესაც სალ პარადაისი წუნუნს იწყებს ცხოვრებისეულ პრობლემებზე, მისი ოჯახის ფინანსურ გაჭირვებზე, დინი პასუხობს:

„პრობლემები, როგორც შენ ამბობ, განზოგა-

დობული გამოხატულებაა იმისა, რაშიც ღმერთი არსებობს. მთავარია, არაფერზე დამოკიდებული არ იყო... ახლა, ამ გზაზე რომ მივქრით, მშვიდად ვარ, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენზე ზრუნავენ, თუნდაც მაშინ, როცა შენ უზიხარ საქვს, დამფრთხალი და შეშინებული“.

ჯექ კერუაკის რომანი „გზაზე“ ბიტთაობის საკულტო რომანი გახდა. მან ის ამერიკისა და მექსიკაში თავისი და თავისი მეგობრების მოგზაურობის შესახებ დაწერა. უნდა აღინიშნოს ნილ კსილის დიდი დამსახურება, რომ კერუაკი ტომას ვულფის ლიტერატურული გავლენისგან გათავისუფლდა (ამ გავლენითაა დაწერილი მისი პირველი რომანი „დიდი და პატარა ქალაქი“) და საკუთარი ჟანრის, სპონტანური პროზის შექმნა დაიწყო. „გზაზე“ სამ კვირაში, ნარკოტიკების მუდმივი ზემოქმედების ქვეშ, საბეჭდ მანქანაზე, ქალაქის ერთ მთლიან გრაფილზე 1951 წელს დაიწერა. ის ავტობიოგრაფიულია და სპონტანური პროზის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. მხოლოდ 6 წლის შემდეგ მოახერხა კერუაკმა გამომცემლის მოძებნა და წიგნის გამოცემა.

ბიტნიკებს ბევრი საერთო აქვთ პოლიგრამებთან, რომლებიც გზას მათი წმინდა ადგილებისკენ მიიკვლევენ. მათაც, პოლიგრამების მსგავსად, ცხოვრების სპონტანური წესი აქვთ, რითაც კულტურულ მარგინალობას გამოხატავენ. ბიტნიკებს ყველაფერი საზიარო აქვთ, აღმერთებენ სიმიშველესა და სექსუალობას, ნარკოტიკებისა და მედიტაციის საშუალებით მისტიკურ ცოდნას ეძებენ, „შეშლილი ტენისტებივით“, ანუ „წმინდა შემლიეზივით“ იქცევიან, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათთვის უმთავრესი ადამიანური ურთიერთობებია. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ბიტთაობა არა მხოლოდ



ოდ გზაზე, არამედ ზღვარზეც ცხოვრობდა, მრავალ საშობო ექსპერიმენტს ატარებდა, ყველანაირ ნარკოტიკს საკუთარ თავზე ცდიდა, სექსუალურ თავისუფლებას ქადაგებდა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, პოლიტიკის მსგავსად, მათთვის გადაადგილება ნახევრად მუდმივი დეგომარეობა იყო. თუმცა შესამჩნევია ერთი ძირეული განსხვავება: ბიტნიკებმა არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ - პოლიტიკისგან განსხვავებით, რომლებსაც ვარკვეული გეოგრაფიული მიზანი ჰქონდათ (მექს, იერუსალიმი და ა.შ.). ბიტნიკების მიზანს დანიშნულების ადგილას მიღწევა კი არა, მოძრაობა და ძიება წარმოადგენდა.

ზოგჯერ სალ პარადაისი ეკითხება თავის თავს, რატომ დადის აქეთ-იქით, რას ეძებს. ის დინ მორიარტის თავის წუხილს უშვებს: „სულ ასე ხომ არ შეიძლება გაგრძელდეს ეს სივრცე და ხეტიალი, რაღაც წერტილამდე ხომ უნდა მივიდეთ, რაღაც ხომ უნდა ვიპოვოთ“.

„ჩვენ ხომ შინ ვართ, ამერიკაში, სადაც მინდა, ნავალ და მივიღებ იმას, რაც მინდა, იმიტომ, რომ აქ ყოველი კუთხე ერთნაირია, ვიცნობ ხალხს, ვიცი, რასაც აკეთებენ. ჩვენ ვაძლევთ, ვიღებთ და ზიგზაგებებით მივუყვებით საოცრად რთულ და ტკბილ ცხოვრების გზას“. - ამბობს დინი.

და მართლაც, მათი მოგზაურობის, ამერიკის სულის ძიების, ცხოვრების შესწავლისა და „ამერიკული ღამით“ ტკობის მშვენიერებას აღწერს კერუაჯი. ჯაზით, ბობოშოთ, ნარკოტიკებით, ალკოჰოლით, სექსით გაჯერებული „ამერიკული ღამის“ მერე „ჰაერში მოლივლივი წმინდა ყვავილები - ასე გამოიყურებოდნენ ჯაზურ ამერიკაში გამთენიისას დალოლი ადამიანები“.

ბიტნიკებისთვის, ამ წმინდა მოგზაურობისთვის, მთავარია დრო, დროის შეცნობა, დროის შენელება, მთავარია ერთად ყოფნისა და საუბრის სიხარული, და რწმინდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, და ესაა კიოეი, ექსტაზი, რომლებიც ეძებენ და როგორც სალ პარადაისი ამბობს, ერთხელ მიაღწია: „სულ რაღაც ერთი წამით ექსტაზს მივაღწიე, რასაც დიდი ხანია ვნატრობდი, ეს იყო ქრონოლოგიურ დროზე გადაბიჯება ჩრდილების სამყაროში, სადაც დრო უკვე აღარ არსებობს, ეს იყო უფერული მოკვდავი სამყაროსთვის უჩვეულო ადრთოვანების შეგრძნება და სიკვილისაც, რომელიც მიმერკებოდა, რომ არ გავჩერებულყავი და ჩქარა მიმელნა ბაქანამდე, საიდანაც ყველა ანგელოზი ფრინდება და იკარგება წმინდა, ჯერ შეუქმნელ ნათებაში“.

სწორედ ამ ექსტაზზე საუბრობს გინსბერგიც „ყმბოლი“:

მოლოქი, რომელმაც ადრევე შემოაღწია ჩემს სულში! მოლოქი, რომელშიც ცნობიერება ვარსხეულის ვარეშე! მოლოქი, რომლის შიშით დამეკარგა ბუნებრივი ექსტაზი! მოლოქი, რომელსაც ვტოვებ! გაიღვიძე მოლოქში! სინათლე იღვრება ციდან!

ბიტნიკებსა და იმდროინდელ საზოგადოებას შორის განსხვავებას კარგად ხსნის დინ მორიარტი; ის ავტობუსში სხვა მგზავრებზე მიუთითებს და სალს ეუბნება: „მიდი, ამათ შუხედე, წინ რომ სხედ-

ან, თავიანთი დარდი აქეთ, მიღებს ითვლიან, ფიქრობენ, ამაღალ სად დაიძინებენ, ბენზინი რა ღირს, როგორ ამინდი იქნება, როგორ ჩააღწევი იქ. არადა, როგორც ვიცით, ყოველთვის ყველგან აღწევენ. მაგრამ ასეა საჭირო, უნდა ინერვიულონ, დროს უნდა უღალატონ თავისი ყალიბი, მაგრამ გულწრფელად შემოთვალენ მოთხოვნებით, მათი სულელები ვერასოდეს მოისვენებენ, სანამ უკვე შემომხმებულ და დადგენილ სადარდებელს არ იშოვიან. სადარდებელს რომ გაინაღდებენ, შესაბამისი სახის გამოხეტყველებაც ხომ უნდა შეარჩონ, გამოხეტყველება, რომელსაც ჰქვია უბედური“.

ყოველთვის ადვილი არ იყო ნეტარება და სიცოცხლითი ტკობა. მკვლევარების თქმით, ამერიკაში ეს იყო პერიოდი, როდესაც ხელშეწყობილება, დაბნეულობა თუ უიღბლობა ღამის სამოქალაქო ცოდვად ითვლებოდა, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სხვა რასების, სექსუალური უმცირესობებისა თუ ქალთა უფლებები, ჯაზს უჭვინთავლით უყურებდნენ, ამერიკული ოცნების ძებნაში ადამიანებს ერთმანეთისთვის არ ეცალათ და მომხმარებელ საზოგადოებას ქმნიდნენ. დენვერში, დაქანცული, სასონარკვეითი, სხვა ადამიანების ცხოვრების შესასწავლად წასული, დროს გაკიდებული სალ პარადაისი სინანულით აღნიშნავს: „ვეგრძნობდი, რომ ის, რასაც თეთრი სამყარო მთავაზობდა, არ იყო საკმარისი თურულიყოი ექსტაზისთვის, არც სიხარულის, არც სიბნელის, არც მუსიკის, არც ღამისთვის. მთელი ცხოვრება თეთრი ამბიციები მქონდა. ახლა ვნატრობდი, ნეტა მეც ზანგი ვყოფილიყავი, დენვერული მექსიკელი მაინც ვყოფილიყავი, ან ჯანდაბას, ღარიბი, მუშაობით დაქანცული იპოვნოდი. ყველაფერზე თანახმა ვიქნებოდი, ოღონდ იმდგაცრუებული თეთრი არ ვყოფილიყავი. მაგრამ ეს მხოლოდ მე ვიყავი, სალ ვარადაისი, რომელიც სვედიანად დაეხეტებოდა იისფერ სიბნელებაში და სურდა, თავისი ცხოვრება ამერიკელი ზანგის ბედნიერ, ექსტაზურ ცხოვრებაზე გადაედევალა, რადგან მათთან, ჰაერში ჭებმარები ხალისის და აღტაცების ვიბრაცია იგრძნობოდა, რომელმაც არც კი იცოდა, რა არის იმდგაცრუება და თეთრი სინანული“.

და მაინც, ამ რომანის გმირები „წმინდა თავისუფლებას“ ძებნაში, რომელიც მათთვის საკუთარი დაბნეულობისა და უიმედობისგან გათავისუფლებას ნიშნავს, საკუთარი ოჯახის მუდმივ ძიებაში არიან. დინი ყველგან და ყოველთვის მამას დაეძებს, რომელიც საღვრე გზაზე დაკარგა და დიდი ხანია, არაფერი სმენია მასზე, ყველა შუა ხნის მანანწალა მამას აფერებს. სალის მოგზაურობა კი, ისევე, როგორც თავად ჯექ კერუაჯისა, სახლიდან სახლისკენ უსასრულო ოდისეა. „სად არიან ჩემი მეგობრები? სად არის ცხოვრება? მე ჩემი სახლი მქონდა და ადგილი, სადაც იქნებოდა შემქმნელი, თავის დადებდა და დაფიქრება, რა დავკარგე და რა შევიძინე“. - ფიქრობდა სასონარკვეითი სალ პარადაისი.

საინტერესოა, რომ აღენ განსტრეგისთვის მოგზაურობა საკუთარი ოჯახიდან „უსაფრთხო დისტანციაზე“ ყოფნის მცდელობაა. მამამისი, ლუის გინსბერგი ცნობილი პოეტი იყო. დედა - ნაომი გინ-

ოლაც, რაღაც დრო განდევნილი ცხოვრობს, და ბედნიერია, როცა ფიქრობს - „რა უსასრულო მანძილი მამორებს ბიტნიკების თაობას აქ, ამ ტროპიკულ ტყეში“. და მისი ინტერესის სფერო ახლა ბუნება, განსაკუთრებით ზღვა, რომლის ნაპირას ზის, ტალღების ხმას წიგნაკში იწერს და საკუთარ თავს „ზღვის ბიტნიკს“ უწოდებს.

კურუაქი აქვე გვაძლავს რომანის - „გზაზე“ - გმირების აღწერილობა უკვე ორმოცი წლის ასაკში და ასევე, ორმოცდაათიანი წლების დასასრულის ამერიკის სურათს. კურუაქი, რომელმაც ამერიკა აღმოსავლეთ სანაპირომ დასავლეთ სანაპირომდე ავტოსტრატოში გადაკვეთა, სინანულით ამბობს: „ამდენი წლის შემდეგ ეს ჩემი პირველი ავტოსტრატოპია, და მალევე ვხვდები, რომ ამერიკაში რაღაცეები შეიცვალა, მანქანას აღარავინ გიჩერებს. ...მძღოლის სავარძელში ქმარი ზის, და თავზე დამძვენილის წონოლა ქუდი ახურავს ბეისბოლისტის წაგრძელებული კეპით, რომელშიც იდიოტურად გამოიყურება. უკან ცოლუკა უზის, ამერიკის მმართველი ძალა, მოციხარით, მუქი სათვალით, ქმარს ჩემი, ან ვინმეს დამგზავრება რომც უნდოდეს კიდეც, ცოლი ნებას არ დართავს, - კი, მაგრამ ორ ღრმა უკანა სავარძელში ხომ ბავშვები სხედან... აქ ჰიჰაიკერების ადგილი არავითარ შემთხვევაში აღარ არის“.

ცოლის თემა განსაკუთრებით მტკივნეულია ბიტნობის მეფისთვის, რადგან ბიტნიკებისთვის იდეალური ქალის სახეა როის ცოლი, რომელზეც დინი ამბობს: „აი, ძმაო, ნამდვილი ქალი, არც უხეში ლაპარაკი, არც წუნწინი, არც შენიშვნა, მის კაცს შეუძლია, ღამე გვიან დაბრუნდეს, ვინც უნდა, ის მოიყვანოს, სამზარეულოში დაჯდეს ლუდის დასალევად და როცა უნდა წავიდეს“.

კამილა კესიდი, რომელიც სხვათა შორის, აცხადებს, რომ „გზაზე“ არ ნაუკითხავს, რადგან არ აინტერესებს, მისი ქმარი სად და როგორ ერთობოდა, წერს წიგნს *Off the Road*, სადაც ნილის, როგორც ოჯახის უფროსის, სანიმუშო სახეს ხატავს და მის ერთგვარ რეაბილიტაციას ახდენს: „ის სულ მუშაობდა, რომ ოჯახი ერჩინა“. კამილა ასევე ამბობს, რომ მიუხედავად ტალანტისა, ნილი მეტისმეტად მოძრავი და დაუდევარი იყო იმისთვის, რომ ერთ ადგილას დიდხანს მჯდარიყო და ეწერა. კურუაქი კი „ბიგ სურინი“ ასე ახსნის ამას: „მწერლად გახდომას სულაც არ აინტერესებს, მისთვის ცხოვრებაა ისეთი წმიდათაწმინდაა, რომ მეტი არც არაფერი სჭირდება“. კამილა და ნილ კესიდი ერთმანეთს სა-

ბოლოოდ მაინც დამორდნენ. ნილ კესიდი მოულოდნელად გარდაიცვალა 1968 წელს.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, ორი მიმართულება - კალიფორნიის, დასავლეთ სანაპიროს მწერლები (*West Coast Writers*) და ბიტმოძრაობა ერთმანეთს უერთდება და იქმნება კალიფორნიული რენესანსი (*San Francisco Renaissance*), ამ ერთიანებით ორივე მიმართულება ახალ ძალებს იკრავს.

საბოლოოდ, ჯექ კურუაქი ეთიშება ბიტნობას; როგორც ამბობენ, ის ფიქრობდა, რომ ბიტმოძრაობა სხვა გზით წავიდა. ის დაუპირისპირდა აღენ გინსბერგს, რომელიც პოლიტიკურად და სოციალურად აქტიური დარჩა და მონაწილეობდა გამოსვლებში ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, ანტიმილიტარისტულ აქციებში, ჰიპების მოძრაობაში და ა.შ. კურუაქს აღიზიანებდა ის ფაქტიც, რომ გინსბერგს ბიტმოძრაობის მთავარი ფიგურად მიიჩნევდნენ.

აღენ გინსბერგი, საზოგადო ფიგურა და ახალი ეპოქის ნაწარმრეტყველი, გამოწვევი და არტისტიკული გაბრუნებული ბიჭიდან გადაიქცა წვერიან და შემეყნარებელ პოლიტიკურ აქტივისტად, ლიტერატურული მეამბოხიდან - ამერიკის დე ფაქტო პოეტ-ლაურეატად, თუმცა პიროვნულად იგივე დარჩა. ადამიანს, რომელმაც ლოს-ანჯელესში ტანსაცმელი გაიხადა თავისი ლექსების კითხვისას, ვინც ჩიკაგოში, გრანდ პარკში, 1968 წლის დემოკრატიული პარტიის ყრილობის პარალელურად მიმდინარე ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციის დარბევის დროს მედიტირებდა, ვინც თავის თავზე გამოსცადა თითქმის ყველა ნარკოტიკი, იყო ღია გეი და წლების მანძილზე ცხოვრობდა პოეტ პიტერ ორლოვსკისთან ერთად, ღრმა სავარძელში ჩამჯდარი ჩინოვნიკები თუ ხელოვნების წარმომადგენლები, საუკეთესო შემთხვევაში, სასაცილოდ იგდებდნენ, ხოლო უარესში - დასავლური ცივილიზაციის მუქარად აღიქვამდნენ. თუმცა არავინ უარყოფდა მის ჭეშმარიტ ლიტერატურულ ტალანტსა და ინტელექტს.

უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება წინააღმდეგობრივია. გინსბერგი წერდა ხშირად, სწრაფად, და როცა სახელი გაითქვა, როგორც ჩანს, დიდად არ ინუხებდა თავს თავისი ლექსების ხელმოწმად ვადასახებდა და შესასწორებლად. ისეთმა პოეტმა, როგორცაა ელიოტი, შექმნა თანამედროვე მითი (მაშინ, როცა გინსბერგმა წერა დანყო), რომ ხელოვანი, რაც უნდა რევოლუციური იყოს, მაინც გუ-



ლმოდგინედ მუშაობს და თავისი საქმის დისციპლინირებული ოსტატია. გინსბერგი, ეს აღიარებული რეჟოლუციონერი, მაინც რისკავს იყოს არაინდეალური და არ დაგიდევთ, თუ ვერ შექმნა ხელოვნების სრულყოფილი ნიმუში. მისი ლექსები პირადი კრიზისითაა ნაკარნახევი, რაც უდავოდ გარღვევა და მისი შემოქმედების განსაკუთრებულ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

„ყმუილი“ და „კადიში“ გამორჩეული ყურადღების ღირსია, რადგან ისინი, არაერთი კრიტიკოსის აზრით, 50-იანებში მოდური სიმბოლისტური ლექსის ალტერნატივას წარმოადგენს. ეს ლექსები ორ მიმართულებას აერთიანებს - აღსარებისა და მისტიკურს, რომელიც აქტუალური სამოციან წლებში ხდება. ორივე ლექსში იგრძნობა სიურრეალისტური ენის, ყველანაირი შიშის ჰალუცინატორული ბრწყინვალეობის, ხმისა და ხასიათის არაჩვეულებრივი მონაცვლეობის კონცენტრირებული ენერჯია. დიდი ხნის განმავლობაში მათი ფეთქებადი პოეტური ენერჯია იკარგებოდა, რადგან კითხვის დროს მკითხველი შოკირებული იყო ამ ლექსების ენითა და თემებით, და ასევე, მკითხველები იმითაც იბნეოდნენ, რომ ლექსებს კონკრეტული ფორმა არ გააჩნდათ.

ორივე ლექსი საკუთარ გამოცდილებასა და ცხოვრებაზეა დაძაბებული. „კადიშის“ წერა გინსბერგმა დადის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წელს დაიწყო და 1959 დაასრულა, და მიუძღვნა დედას, რომლის ტრაგიკული ისტორია, და ამის გამო დანაშაულის გრძნობა, მთელი ცხოვრება დაღდა აწნდა.

რაც შეეხება უილიამ ბეროუსს, მან მედიცინა ავსტრიაში შეისწავლა და შეუყრობილი იყო აზრით, რომ ჰალუცინოგენები საკუთარ თავზე გამოეცადა და ამით მისტიკური ცოდნისთვის მიედნია. ის და მისი ცოლი ნარკოტიკების ლამის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. როგორც თავად აღნიშნავს, მისი მწერლობა ტრაგიკულმა შემთხვევამ განაპირობა: მან ბრმა ტყვიით სასიკვდილო დაჭრა ცოლი. ცოლის სიკვდილის შემდეგ საზრეთ აპერიკაში ჰალუცინოგენ იახეს საძებნად მიემართება, ხოლო შემდეგ - ჩრდილოეთ მაროკოში, ტანჯურში მიდის, რომელიც იმ დროისთვის ნარკომანებისა და ჰომოსექსუალების თავშესაფრად იქცა. იქ ის ქმნის სკანდალურ ნაწარმოებს „შიშველი სადილი“, რომელსაც ამორალურობის გამო ასამართლებენ. ბეროუსი ამის შემდეგ ცხოვრობს პარიზში, შემდეგ - ლონდონში. 1974 წელს მან მოახერხა და ნარკოტიკებს თავის დაანება, რის შემდეგაც, გინსბერგის დახმარებით, ნიუ-იორკის სითი კოლეჯში შემოქმედებითი წერის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ბეროუსის დამსახურებაა ლიტერატურაში „ნაფლეთების მეთოდის“ დახვეწა.

საინტერესოა ბიტმოდრობაში ქალების როლი. კრიტიკოსები და ლიტერატორები ძირითადად იყენებენ ტერმინს „ბიტთაობის ქალები“ და არა „ბიტნიკი მწერალი ქალები“, რაც თავისთავად მიანიშნებს მათ როლზე ამ მიმდინარეობაში. ლიტერატორების დაკვირვებით, ბიტმოდრობის ქალები კაცებზე ნაკლებად ნარცისები, ეგოისტები და უფარდებლები არიან და შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მათი თამამი ცხოვრების წესისა, ისინი რომანტიკუ-

BEATNIK

A Do-It-Yourself Beatnik Kit
 Perfect for parties and gag gifts.
 Kit contains: Lettered coffee cup; Beatnik beard; Beatnik-style shirt; white pants; rope belt (no buckle); plus six authentic Beatnik poems. Beatnik Instructions. All merchandise brand new. Specify small, medium or large for apparel.

Only **\$995** postpaid

Be the First Beatnik on the Block
 Send check, cash or money order to:

WILCO SALES
 Box 3646 Washington 7, D. C.

ულ და ოჯახის მოყვარულ ქალებად დარჩნენ. ეს ბუნებრივია, რადგან მათ საზრუნავიც მეტი ჰქონდათ. ერთ-ერთი ქალბატონი იხსენებს, რომ მისი მეგობარი ბიტნიკი ქალი, რომელიც ორგიაზე იყო მიწვეული, მას მიუბრუნდა და ჰკითხა, ვინ მიხედავდა მის შეილებს მაშინ, როდესაც ის იქ იქნებოდა. მისი პასუხი კი იყო: „თუ ასეთი პრობლემა გაწუხებს, ორგიაზე რაღა გესაქმება?“

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ბიტნიკი ქალები ძირითადად წერდნენ ბიტნიკების შესახებ, ბიტნიკების გავლენითა და მიბაძვით, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათ მამაკაცი ბიტნიკების დონის ლიტერატურა არ შეუქმნიათ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაიანა და პრიმა, ჯენინ ვევა, ენე ვალდმენი, სანდრა ჰორმენი, და ა.შ. ისინი საზოგადოებას დაუპირისპირდნენ და ბევრი წინააღმდეგობა გადალახეს. როგორც მკვლევრები ამბობენ, რაც გინდა იყოს, მაინც ორმოცდაათიანი წლები იყო, რთული იყო თავისუფლების მოპოვება, თვით ბიტთაობისთვისაც კი.

და აქვე არ შეიძლება არ გავგვასენდეს გინსბერგის „ყმუილი. შენიშვნები“:

წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა!
წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა!
წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა! წმინდა!
ყველაფერი წმინდა! ყველა წმინდა! ყველაწმინდა!
წმინდა! ყოველი დღე მარადიულია! ყველა კაცი ანგელოზია!


წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები შემდეგი ნაწარმოებებიდან:

1. ა. გინსბერგი, „ყმუილი“, შოთა იათაშვილის თარგმანი.
2. უ. ბეროუსი, „შიშველი სადილი“, დალილა გოგიას თარგმანი.
3. ჯექ კერუაკი, „გზაზე“, თამარ ჭილაძის თარგმანი.
4. ჯექ კერუაკი, „ბიგ სური“ ნინო სურამელაშვილის თარგმანი.
5. ა. გინსბერგი, „ყმუილი. შენიშვნები“, დალილა გოგიას თარგმანი.
6. ჯექ კერუაკი, „დიდი და პატარა ქალაქი“, დალილა გოგიას თარგმანი.
7. ა. გინსბერგი, „სისხტა შობალობა“, დალილა გოგიას თარგმანი.

ჰერბერტ ჰანკი

სიმღერა საკუთარ თავზე

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაშვილი



ჩემი სახელი: თუმცა საერთოდ ჰანკის მეძახიან, ზოგიერთი ჰერბერტად მიცნობს, ნარსულში კი ვიყავი ჰერბი. ძალიან იშვიათად მომმართავენ „მისტერ ჰანკი“, და თუ ოფიციალური წარდგენაა საჭირო, როგორც წესი, ამბობენ „ჰერბერტ ჰანკი“.

ჩემს სახელთან დაკავშირებულ ამბებს უბრალოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ ბოლო დროს ჩემი სახელი აღარ მომწონს - არა იმიტომ, რომ ჰერბერტ ჰანკი მექია, არამედ უფრო იმიტომ, რომ იმ წერტილს მივალნიე, სადაც ჩემი სახელის (ნებისმიერი სახელის, რომელიც შესაძლოა მქონოდა) წარმოთქმაც კი ჩემში დაქანცულობასა და სიძულვილს იწვევს. როცა ჩემს სახელს ჩემთვის ვიმეორებ, - და საერთოდ, ხშირად ვიმეორებ ხოლმე - მაშინვე უცნაური ზიზღის გრძნობა მეუფლება, თითქოს ის ბეგრები, რასაც გამოვცემ, არა მხოლოდ ჩემი, არამედ რაღაც უცნაური დაავადების აღმნიშვნელიცაა, და სულ მცირე, ერთი ნაშბი, ეჭვი არ მეპარება, რომ საბოლოოდ ისეთ სიგიჟეში გადავდივარ, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს.

წლების განმავლობაში, დარწმუნებული ვიყავი, რომ ტყუილად შევიმღებოდი, ფაქტიურად, რამდენადაც მახსოვს, მგონი შევიშალე კიდეც.

ერთხელ, როდესაც მეგონა, მწერალი გავხდებოდი (მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი, ასე, თითხმეტი წლის) - პერიოდულად ლექსების წერას ვცდილობდი ხოლმე, - ერთ უკონკრეტულ მომენტში მილიანად გავაცნობიერე გარდაუვალი სიკეთის პერსპექტივა. გარიჟრაჟზე, მკითხველს ცხადე, უზარმაზარი, ელვარე მზე ამოდიოდა; ადრეულ წლებში იდგა, და ხალხი ზაფხულის მოკაზმულობის კამპაზა ფერებით ტკებობდა. მე ჩიკაგოში ნორს სითი-სტრიტის აღმოსავლეთით, სუპერიორ-სტრიტზე ვცხოვრობდი, ძველ ხის სახლში, რომელიც, როგორც ახლა ეძახიან, სტუდიოებად იყო გადაკეთებული. სახლი მყარად იყო ნაშენი, ფართო, მაღალჭერიან ოთახებში ფანჯრები თითქმის ჭერამდე ადიოდა.

ჩემი ერთი ფანჯრიდან (იმ ოთახს, თეთრად მოპირკეთებული ბუხრის ორივე მხარეს, ფანჯარა ჰქონდა, ბუხრის თაროზე თითბერის გრძელი მწვანე სანთლებიანი დიდი მანდლები ენყო, ორი უზარმაზარი ფანჯრიდან კი მთელი ქუჩის ხმაური, სუნი და ჰაერი შემოდის) ვუცქერდი, როგორ ბანაობდა განთიადი მთვარის შუქში, ჩემი აზრები, როგორც ყოველთვის, თავისუფლად ნავარდობდნენ და ჩემი პრობლემებისა და ალიონის დიდებულების შესახებ ფიქრობდნენ.

ჩემი ერთი წუთის ენერგია ზევით გაგვზავნე, რომ ჩემი სურვილი შეერსულებინა - წყვილის თითოეულ ნაპარაკში სინათლის ხვეულა გაეშალა და ასე გაეკვალა გზა უდიდესი ძალისთვის, შხისთვის.

და მერე, როდესაც ქუჩის დინეზე, კიბის პირველ საფეხურამდე ჩამოვედი, მზე სპირალეზად იმლეოდა და უზარმაზარ ლურჯ სივრცეს იპყრობდა.

კიბის ერთ მხარეს, პატარა გაზონზე ყვითელი ნარგისები ყვავდა, მე მათ ვუცქერდი, მერე ტროტუარს გავვდე, ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ და სამსახურზე ლაპარაკობდნენ, და კიდევ რაღაც მზიარულზე, და როცა ლამის უკვე კუთხმდე მივიდნენ, სიცოცხლე ნასკდათ. ლამაზად ეცვათ, ერთ-ერთის კოსტუმს ყაყაჩოსფერი დიდი ფიგურები ეხატა და ძალიან მომეწონა.

საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებისა და შიშის ქვეშ გახლდით. დიდი ხანი ვიდექი და ამაზე ვფიქრობდი, და ყოველ წამს უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი საქმე ნასული იყო.

მოგვიანებით, როდესაც საუზმეს მოვრჩი და სახლში დაებრუნდი, ვეცადე, ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი, ღქსად მექცია, და ფრიალ კმაყოფილი დავრჩი იმით, რა მოვიდა, თუმცა იქიდან სიტყვაც არ მახსოვს, არ და არც სხვა რამიდან, რაც იმჟამად ჩემს თავს

არც ისე დიდი ხნის შემდეგ, მოგზაურ ჩიკაგო ჩემს სახლად აღარ მიმჩნდა.

ან
თერ-
ებ -




ენდი უორჰოლი

სახელგანთქმულობა

ნაწყვეტი ნიგნიდან „ენდი უორჰოლის ფილოსოფია“

ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანი



ბ: იმ ხალხს რა უნდოდა?

ა: ჩემი ჩაწერა. ამას ისე იზამენ, თითქოს ვმღეროდე და არა ვლაპარაკობდე.

ბ: შენი „დეილი ნიუსის“ რეკლამა მაგრად მომწონს. ერთი თხუთმეტჯერ მინახავს.

ერთი კომპანია ახლახან ჩემი აურის ყიდვით დაინტერესდა. ჩემი ნამუშევრები არ უნდოდათ. იმეორებდნენ, შენი აურა გვინდაო. ვერაფრით მივხვდი, მაინც რა სურდათ. მაგრამ დიდი ფულის გადახდას კი აპირებდნენ ამაში. ამიტომ ვიფიქრე, თუ ვინმე ამდენის გადახდას აპირებს, ისიც უნდა გავარკვიო, რაში-მეთქი. მგონი აურა არის ის, რასაც სხვები ხედავენ. ეგ რაღაც მხოლოდ სხვას შეუძლია აღიქვას. თან მხოლოდ იმ ხალხის აურას თუ შეამჩნევ, რომლებსაც კარგად არ იცნობ ან საერთოდ არა.

იმ დღეს ჩემი ოფისის თანამშრომლებთან ერთად ვსაძილობდი. ესენი, ჩემი ოფისის ხალხი, ნაგავით მექცევა, იმიტომ რომ მიცნობენ და ყოველ-

დღე მხედავენ. იქ კი ვილაძვას თან ჩემთვის უცნობი მეგობარი მოეყვანა და მაგ ყმანვილს ვერც კი დაჯერებინა, ჩემთან ერთად რომ სადილობდა. სხვები მე მხედავდნენ, ის კი - მხოლოდ ჩემს აურას.

ქუჩაში რომ უცხო ვინმეს დაინახავ, იმის აურას შეამჩნევ. მაგრამ გააღებს თუ არა პირს, ეგ აურაც გაქრება. როგორც ჩანს, აურას პირის გაღებამდე ინარჩუნებ.

ყველაზე სახელგანთქმულები ის ადამიანები არიან, რომელთა სახელებიც მალაზიებს ჰქვიათ. აი, იმ ხალხის მართლა მშურს. მაგალითად, მარშალ ფილდის.

სახელგანთქმულობა არც ისე მნიშვნელოვანია. მე რომ სახელგანთქმული არ ვყოფილიყავი, ენდი უორჰოლობის გამო არავინ დამახლიდა ტყვიას. შესაძლოა ჯარში დავჭრილიყავი. ან იქნებ მსუქანი მასწავლებელიც კი ვყოფილიყავი, რას გაივებ, აბა?! მაგრამ სახელგანთქმულობა იმით არის კარგი, რომ უურნალებში სულ შენს ნაცნობებზე წერენ, თითო-

ეულ გვერდზე. მომწონს ეგეთების კითხვა. სახელ-
განთქმულობის მთავარი უპირატესობაც ეგაა.

რა მანებეს იცით?! რეალურად ვის ეკუთვნის
ახალი ამბები? თავში ყოველთვის მიტრიალებდა ის
აზრი, რომ თუ შენი სახელი ახალ ამბებშია მოხე-
ნიებული, მაშინ ამაში უნდა გიხდიდნენ კიდევ. ეს
ხომ შენი სიახლეებია, ისინი კი იღებენ და თავიანთ
პროდუქტად ასალებენ. მერე გაყვედრიან კიდევ,
გეხმარები. მართლმეტყველებს არიან, მაგრამ მაინც, სა-
ხელგანთქმული ხალხი თავის ცხოვრებისეულ სია-
ხლეებს საიდუმლოდ რომ ინახავენ, ახალი ამბე-
ის რუბრიკაში არაფერი იქნებოდა ახალი. ალბათ,
ერთმანეთს უნდა ვუხაზოთ. ჯერ ბოლომდე ვერ გა-
ვრკვეულვარ ამ ამბავში.

ყველაზე ცუდი, ყველაზე ღვარძლიანი მიმოხი-
ლვა, რაც კი ჩემზე წამიკითხავს, ჟურნალ „ტაიმიში“
ჩემი დაჭრის შემდეგ გამოქვეყნდა.

თითქმის ყველა ინტერვიუ წინასწარაა მოფიქ-
რებული, როგორც მივხვდი. ჟურნალისტებმა იქამ-
დე იციან, რა უნდათ რომ შენზე დაწერონ და შენ
შესახებ რა აზრისა არიან, ვიდრე დაელაპარაკებო-
დე, ამიტომ შენთან ინტერვიუს აღებისას მხოლოდ
სიტყვებსა და ფაქტებს ეძებენ იმ ამბის ზურგის გა-
სამაგრებლად, რისი დანერაც უკვე განუზრახავთ.
ვერასდროს მიხვდები, ვინ როგორ სტატეიას დაწ-
ერს შენზე. ყველაზე სასიამოვნო და მომდიმარ ჟურ-
ნალისტებს შეუძლიათ ყველაზე ღვარძლიანი სტა-
ტეია შეითხზნონ, ისინი კი, ვისაც გგონია, რომ ეზი-
ზლები, ზოგჯერ ყველაზე მზიარულს, ყველაზე კარგ
სტატეიას მოგიძღვნიან. ჟურნალისტების შეცნობა
უფრო რთულია, ვიდრე პოლიტიკოსებისა.

როცა ვინმე ძალიან ცუდ სტატეიას წერს, ყოვე-
ლთვის ვატარებ ამას, რადგან ვინ დაგიჯერებს, რომ
თქვა, ეს სიმართლე არ არისო?

ჩემზე ამბობდნენ, მედიისთვის თავგზის არეუ-
ს ცდალობსო, რადგან ერთი გაზეთის ერთ ავტობიო-
გრაფიულ ცნობებს ვანდობდი, მეორეს კი გაზეთის კი -
სხვაგვარი ცნობებს. მომწონდა სხვადასხვა ჟურ-
ნალისტების სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება,
ამით თითქმის თვალყურს ადევნებ სხვებს, იგებ სად
ეცნობა ინფორმაციას. იმით, თუ რა იცოდნენ ჩემ
შესახებ, ყოველთვის ვგეგმობდი, ვინ რა ჟურნალ-
გაზეთის კითხულობდა. ზოგჯერ ძალიან მასაცილო
ინფორმაციას შენ შესახებ წლების შემდეგ გახე-
ნებენ. აი, ვთქვათ, ჟურნალისტი გუგუბია, ერთხელ
გიოქტვამთ, რომ ლევანოვ სიტყვა სამყაროში ყვე-
ლაზე ლამაზი ადგილია. ამ დროს გხვდები, რომ
მას ოდესღაც „არქიტექტურული ფორუმისთვის“
მიცემული ჩემი ინტერვიუ ნაუკითხავია.

სწორ ადგილას განთავსებულ სწორ ამბავს შე-
უძლია თვეების, ზოგჯერ კი წლების მანძილზე, სა-
ყოველთაო ყურადღების ცენტრში მოგაქცეოს. 12
წელი სასურათო მალაზია „გრიუსტიდინის“ გვერდით
ვცხოვრობდი და ყოველ დღე შევიდოდი იქ, ვი-
ლდები რაც მომესურვებოდა - ეგ რიტუალი მისწო-
რდებოდა. ერთხელ „ნიუ-იორკ-პოსტი“ გამოვიდა
ყდაზე ჩემი, მონი ვა ვან ვურენისა და რუდოლფ ნუ-
რიევის ფეხები ფოტოთი. მერე კი, როცა იმ მალა-
ზიაში ისევ შევედი, საწყობის თანამშრომელმა ბი-
ჭებმა ვყირილი დაიწყეს - „აი, ისიც, ხომ გეუბნებო-

დით, ის არის-მეთქი“. მეტჯერ იქ შესვლის სურვი-
ლი არ გამჩენია. აი, მას შემდეგ კი, რაც ჩემი ფოტო
ჟურნალ „ტაიმიში“ დაიბეჭდა, ერთი კვირა ძაღლს
პარკში ვერ ვასვლიდებდი, რადგან ხალხი ჩემკენ იმ-
ვერდა თითებს.

გასულ წლამდე იტალიაში საერთოდ არაფერი
წარმოვაგდენდი. საერაულოდ, გერმანიაში და ინ-
გლისში რამე მაინც სმენიათ ჩემ შესახებ, ამიტომ
ამ ქვეყნებში აღარ მივემგზავრები ხოლმე - აი, იტ-
ალიაში კი ჩემი სახელის დამარცვლაც არ შეეძლ-
ოდა. ბოლოს ჟურნალმა L'Uomo Vogue ვაგრო, როგ-
ორ ინერება ჩემი სახელი ერთი ჩვენი სუპერკარაი-
სგან, რომელმაც ერთ მათ ფოტოგრაფთან დაიწყო
სიარული - ალბათ საწოლში ილაპარაკეს ამაზე -
ასეა თუ ისე, მან ამ ჟურნალს ისიც გააგებინა, როგ-
ორ ინერება ჩემი სახელი, ჩემი ფილმები ჩამოეთ-
ვალა, ნამუშევრების ფოტოებიც მიანონდა და ახლა
უკვე იტალიაშიც იციან ჩემზე. ერთ ძალიან პატარა
ქალაქში, ბოისანოში კი ვიყავი, რივერას მარცხე-
ნა მხარეს, და ერთხელ აპერიტივს რომ ვსვამდი გა-
ზეთების კიოსკების რიგში, ერთი ყმაწვილი, სტუ-
დენტის ბიჭი, მომიახლოვდა და მითხრა - „ეი, ენდი,
შოლო ვულფონი როგორ გყავს?“ შეკვირებული ვი-
ყავი. ინგლისურად ხუთიდან სიტყვა იცოდა სულ
და მათ შორის ოთხი ესენი იყო - ხორცი, ნავაგი, სი-
ცხე და დაღესანდრო, მაგრამ ის სათვალავში არ-
ცაა ჩასაღვები, რადგან ინგლისისათვის.

ყოველთვის მიზიდავდნენ ტოქსიკულების წამყვა-
ნები. ერთმა ნაცნობმა მითხრა, შეგხვდავ თუ არა
ჟურნალისტს ტელეეკრანზე, მაშინვე ვხვდები საი-
დან არის, სად სწავლობდა და რა აღმსარებლობი-
სააო. ამისთვის მხოლოდ ის კმარა, ვნახო რა ტიპის
სტუმრები ჰყავს მონვეული გადაცემაში და რა შე-
კითხვებს უსვამს მათო. შეც მინდა ყველაფერს ვი-
გეგმე დადიანებზე ტელეეკრანზე მათთვის ერთი
თვალის შევლებით - მინდა ვხვდებოდე, რა აწუხ-
ებენ. წარმოიდგინე, აბა, ტოქსიკოს რომ უყურებ და
მაშინვე ხვდები ასეთ რამეებს - „აი, ამის პრობლემა
იმამია, რომ ლამაზმანობა სურს“, „იმის პრობლემა
კი იმამია, რომ მდიდრები ეზიზღება“, „ამის პრობ-
ლემა ისაა, რომ უნდა საბრალო გამოჩნდეს“, „იმის
პრობლემა კი ისაა, რომ ინტელიგენტობა მოესურ-
ვა“.

და იქნებ ისიც გამეჩქვია - რატომ არ აქვს არ-
ცერთი პრობლემა დინა შორს?

ასევე ისიც გამახარებდა, ტელეეკრანზე ადამი-
ანის თვალის ვერი რომ გამარხია ერთი მეხუდგე-
ით, ფერად ტელევიზორზეც კი მიჭირს ეს.

ზოგი ადამიანი სატელევიზიო ჯაღდის ფლობს -
კამერა გამართებული თუ არა, ისინიც გამოირთვე-
ბიან, მაგრამ საკმარისია კამერა ჩაირთოს, მაშინვე
ჩაირთვებიან თვითონაც. ვიდრე ეთერი დაიწყებო-
დეს, ცახცახებენ და ოფლი ასხამთ, ცახცახებენ და
ოფლი ასხამთ რეკლამის დროსაც, და ცახცახებენ
და ოფლი ასხამთ ეთერის დასრულების შემდეგაც,
მაგრამ როცა კამერა მათკენაა მიმართული, მშვი-
დები და თავდაჯერებულები არიან. კამერა რთავს
და თიშავს მათ.

შე არასდროს ვითიშები, რადგან არც არასდრო-
ს ვირთვები. უბრალოდ ვზივარ იქ და ვიმეორებ -



„ახლა გული ნამივა. ვიცი რომ გული ნამივა. ჯერ გული არ ნამსვლია? აი ახლა ნამივა გული“. პირდაპირი თეორის დროს, ვერასდროს ნარმოშიდგენია, რა შეიძლება მკითხონ, ვერც ის ნარმოშიდგენია, რა შეიძლება ნამოვყარანტალო, მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებს თავში - „ნუთუ ეს პირდაპირი ეიე-რია? მართლა? არა, მაშინ ნამდვილა გული ნამივა. აი, ახლა ნამივა გული“. აი, ეგაა პირდაპირ თეორში ჩემი ქვეცნობიერის სტრიმი. ჩანანერი კი სულ სხვანაირია ხოლმე.

ყოველთვის მეგონა, რომ ტოქსოუების ნამყვანები და ტელევიზიის სხვა თანამშრომლები ვერასდროს გაიგებენ, რა არის ეგრე ნერვიულობა, მაგრამ მერე მიხვდები, რომ ზოგიერთ მათგანს შესაძლოა ანუხეივდეს იმავე სახის პრობლემები - აი, ვიქვათ, ყოველ წელს შეიძლება ფიქრობდნენ ასე - „აი, ამას გაეფუჭებ, აი, ეს არ გამოივა, აი, ეს დამავინყდება. ჯერ საზაფხულო სახლი უნდა ვასხენო ისტ შემტორში, მერე პარკ ავეციო, მერე სახანა“. ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვიდრე ისინი „ახლა გული ნამივას“ თავიანთ ვერსიას იმეორებენ, როგორღაც იმასაც ახერხებენ, თავიანთი სატელევიზიო ჯადოს მეშვეობით, გონებაში სადაღა შენახული ინფორმაცია გაისხენონ და ნარმოთქვან.

არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩაირთვებათ თუ არა კამერა, ნარმოდგენას იწყებენ. კამერასთან მუშაობა სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს. ერთხელ ტელევიზორში ვუყურებდი ახალგაზრდა მსახიობს, რომელმაც „ემი“ მიიღო. ავიდა სცენაზე, მერე შემოტრიალდა და თავისი მსახიობური ნიჭით ნამოიწყო ლაპარაკი - „მადლობას ვუხდის ჩემს ცოლს, ჩემი ცოლის ნყალობით ...“ ზეიშობდა რა. იმაზე დაიჯეჯე ფიქრი, რა მაგარია ამ ადამიანისთვის ეგეთი ჯილდოს მიღება, ის მხოლოდ აუდიტორიის წინ ირთვება და, ალბათ, როცა ეს შანის ძქლევა, თავს იმდენად კარგად გრძნობს, რომ ფიქრობს - „ნებისმიერ რამეს შეეძლება, ნებისმიერ რამეს“.

ასე მგონია, ყველას აქვს თავისი დრო და ადგილი, სადაც ისინი ჩაირთვებიან ხოლმე. მე სად ვირთვები?

მე მაშინ ვირთვები, როცა ვითიშები და დასაძინებლად ვწევი. აი, ეგაა ჩემი ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელსაც მუდამ მოველი.

კარგი შემსრულებლები ინფორმაციის კარგი შემმახვებლები არიან, მათ შეუძლიათ როგორც ემოციების ნაბაძვა, ასევე ლაპარაკის მანერისა თუ გარეგნობის. ისინი ამ ინფორმაციის ჩანერასა და შენახვას ხმისა და გამოსახულების ჩამნერ მოწყობებს აქეთ უნარი, დაიმახსოვრონ ყველაფერი და როცა დასჭირდებათ გამოიყენონ. მათ შეუძლიათ შესაბამის სიტუაციაში ბუნებრივად ნარმოთქვან საჭირო ფრაზა, რადგან მათ ეს სცენა უკვე სადაღა უნახავთ და გონების რომელიღაც თაროზე შემოუდგიათ შესანახად. ისიც იციან, რა თქვან და ისიც - როგორ.

მე მხოლოდ დილექტანტი ან ცუდი შემსრულებლები მომნონს, რადგან მათში სიყალბე არაა. აი,

პროფესიონალი შემსრულებელი კი არასდროს მომენიება.

ყველა პროფესიონალი შემსრულებელი, რომელიც მე მინახავს, ყოველ შოუზე ყველაფერს ზუსტად იმეორებს. მათ კარგად იციან, როდის და რაზე გაეცინება მყურებელს. მე კი ის მომნონს, ყველაფერი ყოველ ჯერზე რომ სხვადასხვაგვარადაა. ამიტომ მიყვარს მოყვარული და ცუდი შემსრულებლები - ვერასდროს წინასწარ ვერ განსაზღვრავ, რის შემდეგ რას მოიმოქმედებენ.

ჯაკი კურტისი პიესებს წერდა და მეორე ავენიუზე დამადა, და ყოველ ღამით სპექტაკლი სხვადასხვანაირი გამოდიოდა - განა მხოლოდ ტექსტი იცვლებოდა, შინაარსიც კი. მხოლოდ სპექტაკლის სათაური რჩებოდა უცვლელი. ორ ადამიანს შოუ სხვადასხვა საღამოს რომ ენახა და ამაზე ელაპარაკა, მიხვდებოდნენ, ამ ორ შოუს საერთო რომ არაფერი ჰქონდა. ეს სპექტაკლები ევოლუციური იყო, რადგან აქისა გამოდგებოდა იცვლებოდა.

ვიცი რაცაა პროფესიონანების უშირატესობა, ისინი ყველაფერს სწორად ასრულებენ, საჭირო დროს და არანაირი დაბრკოლება არ ექმნებათ. მათი შესრულება იმდენად ბუნებრივად გვჩვენება, რომ ის სასაცილო ფრაზა, ახლა რომ ნარმოთქვან, იმპროვიზებული გგონია. მაგრამ მეორე საღამოს ისევ მოდიხარ შოუს სანახავად, ისინი კი ზუსტად იმას იმეორებენ, რაც წინა საღამოს იმპროვიზაცია გგონია.

მსახიობის შერჩევისას ყოველთვის როლისთვის შეუფერებელ ადამიანს ავირჩევ. არ შემიძლია როლზე სწორად შერჩეული მსახიობი დავამტკიცო. ეგ მტკისმეტი იქნებოდა. გარდა ამისა, არცერთი მსახიობი არ არის ყველა როლისთვის სრულიად შესაფერისი და თუ იმას ვერ იძოვი, ვინც სრულიად შესაფერისია რამესთვის, ჯობს სრულიად შეუფერებელი ვინმეტი დამკაყოფოდა. ასე შეიძლება მართლა რამეს გამოჰკრა ხელი.

შეუფერებელი ადამიანები ყოველთვის მისაღებად მიმანდა. და თან, როდესაც როლისთვის შესაფერისი უამრავი ადამიანი გახვევია თავს, რომელიმეს გამორჩევა ძალიან რთულია, ამიტომ ყველაზე მარტივი ცუდი მსახიობის არჩევაა. მე კი ყოველთვის უმარტივეს არჩევდა ვაკეთებ. რადგან ჩემთვის საუკეთესო ნიშნავს უმარტივესს.

ამას წინათ რაღაც ხმის აპარატურისთვის ვაკეთებდი რეკლამას და ვერ ვაიძულე თავი მათ რაც სურდათ, ის გამეძეოვრებინა.

როდესაც ფილმში ელიზაბეტ ტელიორთან ერთად აეროპორტის თანამშრომელი ვითამაშე, დაახლოებით ამდგავარი რამ უნდა მეთქვა: „მოდი, ნა-ვიდეო. მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს“. პირიდან კი მხოლოდ ეს ამომდიოდა - „ნამოდით, გოგონებო“. მაგრამ იტალიაში ყველაფრის დუბლირებას მაინც მოგვიანებით ახდენენ, ამიტომ რაც არ უნდა თქვა, საბოლოოდ მაინც იმას გათქმეინებენ, რაც მათ სურდათ.

ერთხელ სონი ლისტონთან ერთად ვადამილეს რეკლამაში. ამას გავიძახდი: „თუ ეგ გაქვს, თავიც მოიწონე“. მომწონდა კიდევ ეგ ფრაზა. მაგრამ მოგვიანებით ჩემი ხმის დუბლირება მოხდა, აი, სონი

ლისტონისა კი არა.

ზოგი ამბობს, რომ ჩვენზე შთაბეჭდილებას მხოლოდ ის სახელოვანი ადამიანები ახდენენ, რომლებზეც ბავშვობიდან გვსმენია, ან იქამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, ვიდრე გავიცნობდით. ამბობენ, რომ თუ ვინმეს გაიცნობ, მერე კი გაირკვევა, რომ ის გერმანიაში უმდიდრესი, სახელოვანი ადამიანი ყოფილა, სულ არ გავიცდები, რადგან არასდროს მასზე ფიქრში დრო არ დაგვიხარჯავს. აი, მე კი სხვანაირად ვარ, სახელგანთქმულ ადამიანებთან შეხვედრა არაფრად მიმაჩნია, რადგან ყველაზე მარტივია მათი გაცნობა. ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ჩემზე იმათთან შეხვედრა ახდენს, რომლებსაც მეგონა არასდროს გავიცნობდი - რომლებთან ლაპარაკზეც კი ვერასდროს ვიოცნებებდი. აი, მაგალითად, კეიტ სმიტთან, ლესისთან, პალომა პიკასოს დედასთან, ნიქსონთან, მეიმი ეიზენშაუერთან, ტაბ ჰანტერთან და ჩარლი ჩაპლინთან.

ბავშვობაში, როდესაც საწოლში ვიწეკი და ვხატავდი, რადიოთი სულ ვუსმენდი სიმღერას *The Singing Lady*. მერე კი 1972 წელს ერთ წვეულებაზე ნიუ-იორკში გამაცნეს ქალი და მითხრეს, ის ასრულებდა *The Singing Lady*-სო. გავოგნდი. ვერ დამეფრეებინა, რომ მართლა გავიცანი ის ქალი, რადგან ამაზე არც კი მოიცნებია. უბრალოდ მივიჩნიე, რომ ეს შუუძლებელი იყო. როცა იმას გაიცნობ ვისთან შეხვედრაზეც არასდროს გიოცნებია, ეგაა საოც-

რება, რადგან მის შესახებ არაფერი წარმოგიდგენია და არც იმედი გიცრუვდება.

ზოგი ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას ერთ კონკრეტულ სახელოვან ადამიანზე ფიქრში ატარებს. აირჩევენ ვინმე სახელოვანს და მერე მთელი ცხოვრება ფიქრობენ მასზე, ვისაც არც კი იცნობენ და შესაძლოა, არც კი უნახავთ. თუ რომელიმე სახელოვან ადამიანს ჰკითხავთ, რა სახის წერილებს იღებენ, გაიკვებთ, რომ ყოველი მათგანით ვინმე ერთი თავყვანისმცემელი მაინც არის შეპყრობილი და გამუდმებით უგზავნის წერილებს. რა უცნაურია, რომ ვილაც გამუდმებით შენზე ფიქრობს.

მე ყოველთვის გიჟები მწერენ. მგონი, გიჟების მისამართების რომელიმე ნიგნში ვარ შეყვანილი.

ყოველთვის ვდარდობ გიჟებზე, რადგან მათ შეუძლიათ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გაიმეორონ თავიანთი ქმედება და ეგონათ, რომ სრულიად ახალ რამეს აკეთებენ. მე 1968 წელს დამჭრეს, ასე, რომ ეგ 1968 წლის ვერსია იყო. მაგრამ ხშირად მიფიქრია - „იქნებ, 1970 წელს ვინმეს ისევ მოუხდეს ჩემთვის სროლა?“ ეგ თავყვანისმცემლის სხვა ტიპი იქნება.

ადრე თავყვანისმცემლები რომელიმე მსახიობს მთლიანად აღმერთებდნენ. ამოირჩევდნენ რომელიმე კინოვარსკვლავს და ყველაფერი მოსწონდათ მისი. დღეს თავყვანისცემის სხვადასხვა ეტაპებია. ახლა თავყვანისმცემლებს ვარსკვლავის ნაწილ-ნა-



ნილ გაღმერთებაც შეუძლიათ. დღეს ისინი ერთ სფეროში აღმერთებენ ვინმეს და საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას სხვა სფეროში რას აკეთებს. როკვარსკვლავი შესაძლოა ყიდდეს მილიონობით ჩანანერს, მაგრამ თუ ცუდ ფილმში მიიღებს მონაწილეობას, ამას ყურადღებას არავინ მიაქცევს.

ახლა უკვე სხვებიც ხდებიან ვარსკვლავები, აი, თუნდაც სპორტსმენები (ზოგჯერ, როდესაც ოლიმპიურ თამაშებს ვუყურებ, ვფიქრობ - რა იქნებოდა, მიზანი რეკორდის არდამყარება რომ ყოფილიყო? გაირბენდა ვინმე 2.2-ით, სხვა ვინმე 2.1-ით, მომდევნო 2.0-ით, 1.9-ით და ა.შ. ვიდრე 0.0-ს არ მიანევენდნენ. და როდემდე გასტანდა ასე? ან მერე რაღას იზამდნენ?).


დღეს თუ ვარსკვლავი ხარ, თუ გინდა ყალთაბანდიც იყავი. შეგიძლია წერო ნიგნები, გამოხვიდე ტელევიზიით, მისცე ინტერვიუები - სახელოვანი თუ გახდები, არავის დააინტერესებს ყალთაბანდობა თუ არა, რადგან უბრალო ადამიანებს ყველაზე მეტად ვარსკვლავები სურთ.

დიდ ფულზე მუშაობამ შეიძლება თვითშეფასება დაგიმდაბლოს. როდესაც ჟურნალებისთვის ფეხსაცმელებს ვხატავდი, თითოეულ ფეხსაცმელში გარკ-

ვეული ოდენობის თანხას მიხდიდნენ, ამიტომ გადავითვლიდი ხოლმე ამ ფეხსაცმელებს იმის გასაგებად, რამხელა ანაზღაურება გამოვიმუშავე. ფეხსაცმლის ნახატების რაოდენობით ვირჩენდი თავს - როცა მათ ვითვლიდი, ვიცოდი რამდენი ფული მქონდა.

მოდელები ძალიან უხეშები არიან, რადგან მათ საათობრივად უხდიან. რეასაათიანი სამუშაო დღის მერე სახლში რომ ბრუნდებიან, ჰგონიათ, ისევე უნდა უხდიდეთ ვინმე. კინოვარსკვლავები მილიონობით დოლარს სრულიად არაფერში იღებენ, მერე კი, თუ ვინმე სთხოვთ, რამე არაფრის სანაცვლოდ გააკეთონ, გიჟდებიან. დარწმუნებული არიან, რომ ვინმეს თუ გამოელაპარაკებინ სასურსათო მალაზიამ, საათში 50 დოლარი უნდა აიღონ.

ამიტომ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რა არის შენი პროდუქტი და თავი არ უნდა მიგაჩნდეს პროდუქტად. მსახიობმა მის მიერ შესრულებული როლები უნდა გადაითვლოს, მოდელმა - თავისი ფოტოები, მწერალმა - სიტყვები, მხატვარმა - ნახატები, რომ ყოველთვის იცოდნენ, რა ღირს მათი პროდუქტი და იმაზე ფიქრს არ გადაჰყენენ, რომ თავად არიან პროდუქტი, და არც თავიანთი სახელგანთქმულობა ან აურა გადააყოლონ ამას.




არჩილის ნოემბრის რჩეულები



შეშორა ლიანა გოგიანი, ფორა (რომანი), თბ., ბაკურ სულაკაურიის გამომცემლობა, 2014




გვანცა ჯობაძე, Check-In, (სამომცემლობა რომანი) თბ., გამომცემლობა ინტელექტი, 2014




რუნე კალანდია, იხე კალანდია, თბ., გამომცემლობა მერიდიანი, 2014




მაზა თვარაძე, ჩაღვნი მანდი! ესეები, იმეფიერო მოგონება, სოზარეული, ჩანანური, თბ., გამომცემლობა ინტელექტი, 2014



სიყვარული ჩაღვნი დროს, თბ., გამომცემლობა ინტელექტი, 2014




მეგობარი სუბკონკრეტული, თამარ სუბკონკრეტული, თბ., ბაკურ სულაკაურიის გამომცემლობა, 2014




ფილიპო უაკობე, ნევიდადი, ფრანგულადან თარგმნა დათო აკოიანმა, თბ., გამომცემლობა ნექტარი, 2014



ჩუკანტა, თბ., გამომცემლობა ორიპინტუ, 2014



არსილოზი, თბ., გამომცემლობა მცდელობა, 2014



ამარტია სენი, იდეტობა და მთარგმნელი სანდრო გაბისონია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

ერლომ

ახვლედიანი

აკადემიკოსული

კანონი

